ფედერალიზმი - ძლიერ სახელმწიფოთა ფუფუნება თუ გაჭირვებულთა მძიმე ხვედრი A3
დიასპორა B4-B5
ფოტოკონკურსი B8

www.24hours.ge
24 საათი
ყოველდღიური
© გაზეთი 24 საათი
სამშაბათი, 22 ოქტომბერი, 2002 წელი. №142
ფასი 50 თეთრი

პოლიტიკა

ან ბოდიში, ან კანონის უპირობოდ შესრულება

"საქართველოს ხელისუფლებას აჭარის წინაშე სინდისი სუფთა აქვს. ჩვენ იქიდან ზედმეტი არაფერი წამოგვიღია. ლაპარაკია იმაზე, რომ ვერ ვღებულობთ იმას, რაც უნდა მივიღოთ. აჭარამ, ისევე როგორც საქართველოს სხვა რეგიონებმა, საერთო სამშობლოს წინაშე ვალი პირნათლად უნდა მოიხადოს. თუ ბიუჯეტთან პირნათელი არა ხარ, მაშინ არც ქვეყნის წინაშე ხარ პირნათელი", - განაცხადა გუშინ გამართულ ბრიფინგზე პრეზიდენტმა შევარდნაძემ.

A3

ეკონომიკა

ქართველი მეწარმეები სტაჟირებას ამერიკაში გაივლიან

გუშინ სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" აშშ-ს საელჩოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებისა და აშშ-ს არაკომერციული ორგანიზაციის - "პროექტ ჰარმონიის" - წარმომადგენლებმა საზოგადოებრივი კავშირების პროგრამის დასკვნითი ეტაპის დაწყების პრეზენტაცია მოაწყვეს.

A4

უცხოეთი

ადგილობრივი არჩევნები სომხეთში

სომხეთის რევოლუციური ფედერაცია "დაშნაკცუტიუნი" ბოლო დროს სულ უფრო მეტად უთმობს პოზიციებს რესპუბლიკურ პარტიას

A5

საზოგადოება

„ბატონები" - თავდაცვის აკადემიაში

ამბავი, თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში წითელას გავრცელების შესახებ, გუშინ ტელეფონით მოგვაწოდეს. ინფორმატორი იტყობინებოდა,
რომ, უკვე ერთი კვირაა, აკადემიაში წითელას ეპიდემიაა, ავადაა 20-მდე კურსანტი. მათი ნაწილი სამკურნალოდ შინ გაუშვეს, ნაწილი კი ლაზარეთში წევს. ყველაზე უცნაური ის არის, რომ აკადემიის ხელმძღვანელობა
ამ ფაქტს მალავს.

A6

სამართალი

ციხეს რად უნდა რკინის კარები, იქ უნდა ჰქონდეთ კომპიუტერები

"საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემა იავარქმნილია", – ამბობს იუსტიციის მინისტრის მოადგილე კახა კობერიძე და ხელისუფლებას სისტემის აღმშენებლობისთვის რეფორმის კონცეფციას სთავაზობს.

A7

ამინდი

თბილისი	14	☀
ქუთაისი	16	☀
ბათუმი	15	☀
სოხუმი	14	☀
ფოთი	15	☀
თელავი	12	☀
ზუგდიდი	16	☀
გორი	9	☀
ახმეტა	12	☀
ჭიათურა	14	☀

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1751
ევრო	2.1146
გირვანქა სტერლინგი	3.3666
რუბლი	0.0687

ოპოზიციური ალიანსის პირველი სამიზნე - სახელმწიფო მინისტრი

ლევან ხერხეულიძის ფოტო

"ოთხეულის" დახურულ თათბირს ვაჟა ლორთქიფანიძეც შეუერთდა.

მიმდინარე კვირის პლენარული სხდომების წინ, 12 ოქტომბრის ცნობილ დემარშში მონაწილე ოთხი საპარლამენტო ფრაქცია – "ახალი მემარჯვენეები", "ტრადიციონალისტები", "დემოკრატები" და "ნაციონალური მოძრაობა" მოქმედების ერთიან გეგმას აყალიბებენ, რომელსაც, პირობითად, შეიძლება, "აღმასრულებელი ხელისუფლების წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის გახსნა" ვუწოდოთ.

თამარ მჭედლიშვილი

გუშინდელ დახურულ შეხვედრაზე ფრაქციებმა ამ გეგმის საბოლოო კონტურები მოხაზეს. საგულისხმოა, რომ ამ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო ფრაქცია "ახალი აფხაზეთის" თავმჯდომარემ ვაჟა ლორქიფანიძემ. გუშინდელ კონსულტაციებს ასევე ესწრებოდა აშშ-ს ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) წარმომადგენელი მარკ მალენი, რომელიც ამ ფრაქციათა შორის ბოლო დროს გამართულ მოლაპარაკებებში მედიატორის როლს ასრულებს.

გუშინ ფრაქციებმა რამდენიმე საერთო გადაწყვეტილების მიღება შეძლეს. პირველ რიგში, ისინი ერთობლივად გაილაშქრებენ სახელმწიფო მინისტრის - ავთანდილ ჯორბენაძის წინააღმდეგ.

გაგრძელება A3 გვერდზე

„საქართველოს უნდა მიენიჭოს ევროკავშირში გაწევრიანების კანდიდატი ქვეყნის სტატუსი"

"24 საათი" გთავაზობთ, ექსკლუზიურ ინტერვიუს ევროპარლამენტის წევრ ოლივერ დიუპუსთან

ზაზა წულაძე
შოთა უტიაშვილი

ევროპარლამენტის გავლენიანი დეპუტატი, ბელგიელი ოლივერ დიუპუა, რომელიც ევროპის ტრანსნაციონალური პარტიის გენერალური მდივანია, სენსაციური ინიციატივით გამოვიდა. ტრანსნაციონალურმა პარტიამ ევროკავშირის ლიდერებს მოუწოდა, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ათ სახელმწიფოს, მათ შორის, სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანას – საქართველოს, აზერბაიჯანს და სომხეთს, ევროკავშირში გაწევრიანების კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიანიჭონ. ოლივერ დიუპუა, ტრანსნაციონალურ პარტიასთან ერთად, მესამე კვირაა, ამ ინიციატივის მხარდამჭერ სერიოზულ კამპანიას ეწევა. თავად დიუპუას განცხადებით, ყველაზე მნიშვნელოვანი, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა პარლამენტარების ხელმოწერათა შეგროვებაა.

დიუპუას ინიციატივას უკვე მოაწერეს ხელი 86-მა ქართველმა, 42-მა ალბანელმა, 5-მა სომეხმა და 5-მა ხორვატმა პარლამენტარმა. გუშინწინ კი კამპანიას აზერბაიჯანის მილიმეჯლისის 80 დეპუტატიც შეუერთდა.

44 წლის ოლივერ დიუპუა, რომელიც რამდენჯერმე არის საქართველოში ნამყოფი, მიიჩნევს, რომ აღნიშნული ინიციატივა ხელს შეუწყობს, ევროკავშირის ერთიანი სტრატეგიის ფორმირებას ამ ათი ევროპული სახელმწიფოს მიმართ. "24 საათი" ბატონ დიუპუას სტრასბურგში დაუკავშირდა. იგი თავაზიანად დაგვთანხმდა, გაეზიარებინა ჩვენი მკითხველისთვის საკუთარი მოსაზრებები.

გაგრძელება A8 გვერდზე

მეომართა ფორუმი აბაშიძის გადაყენებას მოითხოვს

ვერიკო თევზაძე

"ასლან აბაშიძე 1993 წლის 27 სექტემბერს არძინბასთან ერთად გუდაუთაში იყო და სოხუმის დაცემას ზეიმობდა... აბაშიძე ესწრებოდა ჟიული შარტავას წამებას. მან შარტავას მოსთხოვა, დაიჩოქეო. "ჩემი სამშობლოს მტრების წინაშე არასოდეს დავიჩოქებ", - ჟიული შარტავამ ასლან აბაშიძეს შეაფურთხა"... *გუშინ გამართულ მეომართა ფორუმზე უჩვენეს (კინო-ეკრანზე) ასლან აბაშიძის ყოფილი მრჩევლის ლევან ქიძინიძის ინტერვიუ. ქიძინიძე იმასაც ამბობს, რომ ომის დროს აბაშიძე აფხაზებს იარაღით ამარაგებდა.*

"აბაშიძე მაშინ ჩაერთო კონფლიქტის მოგვარების პროცესში, როცა ეს დასჭირდა იმ ძალას, რომელიც აბაშიძეს მართავს", - ასე ამხილა ფრაქცია "აფხაზეთის" თავმჯდომარემ გივი ლომინაძემ აჭარის უზენაესი საბჭოს ხელმძღვანელი რუსეთთან მოღალატურ კავშირში.

გაგრძელება A2 გვერდზე

იური მეჩითოვის ფოტო

დარბაზში სამხედროფორმიანები სჭარბობდნენ.

ჯორბენაძის იმპიჩმენტი - საპარლამენტო ძალთა ბალანსის ტესტი

თამარ ხორბალაძე

ოპოზიციურმა პარტიებმა ავთანდილ ჯორბენაძის იმპიჩმენტის საკითხის მოსინჯვა გუშინ პარლამენტის ბიუროზე სცადეს.

ძალთა გუშინდელმა მოსინჯვამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ბიუროზე "პროტესტანტთა" სასარგებლო ძალთა ბალანსი, ჯერჯერობით, არ არსებობს.

სახელმწიფო მინისტრის იმპიჩმენტის საკითხის დასმა თავის თავზე აიღო "დემოკრატთა" ფრაქციის თავმჯდომარემ გიორგი ბარამიძემ, რომელმაც ავთანდილ ჯორბენაძის პარლამენტში მოსვლა შემდეგი არგუმენტებით მოითხოვა:

ჯორბენაძემ აიღო პასუხისმგებლობა ადგილობრივი არჩევნების ჩასატარებლად მაშინ, როცა პარტიათა

გაგრძელება A3 გვერდზე

ენერგეტიკოსები საქართველოს არ ჩააბნელებენ

მაია ურუშაძე

ტრადიციულად, "ელექტროგადაცემასა" და "ელექტროდისპეტჩერიზაციას" საბითუმო ბაზარი ფულს არ უხდის. ტრადიციულად, ენერგეტიკოსები გაფიცვით იმუქრებიან. ტრადიციულად, არის იმის საშიშროებაც, რომ გაფიცვამ სერიოზული შედეგები გამოიღოს და ელექტროენერგიის გარეშე დარჩეს არა მარტო თბილისი, არამედ მთელი საქართველო. ენერგეტიკოსთა რისხვა თავს ყველა ურჩ გადამხდელს დაატყდება, მათ შორის, დიდი დავალიანების მქონე რაიონებსა და საწარმოებს.

ენერგეტიკოსების მიერ დაუმორჩილებლობის გამოცხადება და გაფიცვები უკვე იმ ჩვეულებად იქცა, რომელსაც ვერაფერს შველიან სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროში. თუმცა, ერთადერთი, რასაც სამინისტროში აცხადებენ, ისაა, რომ საქართველო არ ჩაბნელდება. **"არც ისეთი უმართავია საქართველოს ენერგოსისტემა, გაფიცვების გამო რომ ჩაბნელება ელოდეს,"** – გვითხრა სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტოს ხელმძღვანელმა ნინო ასათიანმა.

გაგრძელება A4 გვერდზე

„ნადირობა" წითელ ხიდზე

ამ დღეებში წითელი ხიდის საბაჟოზე მოვლენები ისე განვითარდა, ნებისმიერი ანტიკრიმინალური სპეცოპერაციის ჩამტარებლებს შეშურდებოდათ. ორიოდ დღეში მოხდა რამდენიმე დანაშაულის ერთად გამოვლენა. ცხადია, დანაშაულის სპეციფიკა საბაჟოზე ერთია – კონტრაბანდა. სამართალდამცველებმაც სწორედ კონტრაბანდისტები დააკავეს – ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო საქონლისაც და ნარკოტიკებისაც.

სოფიკო ჩხაიძე

როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, განსაკუთრებული გართულება სწორედ საყოფაცხოვრებო კონტრაბანდისტების დაკავების მცდელობას მოჰყვა. არადა, ერთი შეხედვით, ოპერაცია კარგად დაგეგმილი და ორგანიზებული იყო. საბოლოოდ, ამ ოპერაციის შედეგად, საბაჟო წესების დარღვევის ფაქტზე ამხილეს გარდაბნის რაიონის სოფელ ფონიჭალაში მცხოვრები, 30 წლის შალალა ალმამედოვა. მან აზერბაიჯანიდან საქართველოში საკუთარი მანქანა "გაზ-24"-ით შემოიტანა 700 ათასი ლარის ღირებულების სხვადასხვა დასახელების მამაკაცის, ქალისა და ბავშვის ტანსაცმელი. საქონლით დატვირთული ავტომანქანის დაკავებისას მძღოლმა პოლიციის თანამშრომლებს წინააღმდეგობა გაუწია და უკან, აზერბაიჯანში, გადასვლის მცდელობისას შეეჯახა კორუფციასა და ეკონომიკურ დანაშაულთან მებრძოლი სამმართველოს თანამშრომლის მანქანას. შეჯახების შემდეგ იგი მწყობრიდან გამოსული მანქანიდან გადმოხტა და ტყეს შეაფარა თავი.

გაგრძელება A7 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 პოლიტიკა
B2 კულტურა B3 ანკეტა B4-B5 დიასპორა B6 განცხადებები B7 სპორტი B8 სხვადასხვა

მოკლედ

თბილისი. საქართველოსა და რუსეთს შორის ერევანში ხელმოწერილი დოკუმენტი გულისხმობს იმ შეთანხმებათა რეალიზაციას, რასაც ამ ქვეყნების პრეზიდენტებმა მიაღწიეს კიშინიოვის სამიტის დროს. როგორც საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ დღევანდელ რადიოინტერვიუში განაცხადა, ეს უაღრესად მნიშვნელოვანი შეთანხმება იყო. საუბარია საქართველო-რუსეთს შორის გაფორმებულ დოკუმენტზე საზღვრის ერთობლივი პატრულირების შესახებ, რომელსაც ხელი მოაწერეს საქართველოს სასაზღვრო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ვალერი ჩხეიძემ და რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის დირექტორმა კონსტანტინ ტოცკიმ.

შევარდნაძის თქმით, ის თავის რუს კოლეგასთან შეთანხმდა, რომ ერთდროულად რამდენიმე მიმართულებით გადაიდგმებოდა მნიშვნელოვანი ნაბიჯები. აქ უკვე შედგა ინტერესთა თანხვედრა, რაც მომავალი სტრატეგიული თანამშრომლობის წინაპირობაა. იგულისხმება სახელმწიფო საზღვრის ჩეჩნეთ-ინგუშეთის მონაკვეთების საიმედოდ დაცვა, რაც შეესაბამება ორივე ქვეყნის ინტერესებს. "საქართველო ძალზე დაზარალდა საზღვარზე უკონტროლო ჯგუფების მოძრაობით, ერევანში ხელმოწერილი ოქმი კი იმის გარანტიას ქმნის, რომ ქართველი და რუსი მესაზღვრეები მჭიდროდ ითანამშრომლებენ საზღვრის დაცვისას," - განაცხადა პრეზიდენტმა. **"კავკას-პრესი"**

■ ■ ■

თბილისი. ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების საკითხში ქართული მხარე პორტუგალიაში 22-28 ოქტომბერს, კონფლიქტის მოგვარების მერვე რაუნდზე დამატებით გარანტიებს მოითხოვს. ამის შესახებ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში საქართველოს პრეზიდენტის პირადმა წარმომადგენელმა ირაკლი მაჭავარიანმა განაცხადა.

მისი თქმით, ქართულ მხარეს არ აკმაყოფილებს კონფლიქტის მოგვარებაში გარანტად მხოლოდ რუსეთი და ამასთან დაკავშირებით შეხვედრაზე მრავალმხრივი გარანტიების ახალი წინადადებები და ვარიანტები იქნება წარმოდგენილი.

აღსანიშნავია, რომ გუშინ ვლადიკავკაზში დასრულდა ორდღიანი შეხვედრა, სადაც მხარეებმა კონფლიქტის მოგვარების, დევნილთა დაბრუნებისა და სეპარატისტული რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებისთვის ბერკეტების შემუშავების შესახებ იმსჯელეს. როგორც მაჭავარიანი აცხადებს, რუსეთის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროთა წარმომადგენლებმა დევნილთა დაბრუნების საკითხთან დაკავშირებით მოითხოვეს 3-თვიანი ვადა, რათა დაზუსტდეს კონკრეტული ღონისძიებები და მათი ხარჯთაღრიცხვა.

გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ კონფლიქტის პოლიტიკური გზით მოგვარების საკითხი აქტუალური გახადა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ანტიკრიმინალურმა ოპერაციამ. "ანტიკრიმინალურმა ოპერაციამ განაწყო ოსები პოლიტიკური მსჯელობისათვის, რაც ნდობის ზომების, უსაფრთხოების ღონისძიებებისა და გარანტიების შექმნის ვიზირებით დასრულდა," - განაცხადა მაჭავარიანმა.

ცნობისათვის: ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარებაში, რუსეთის გარდა, ეუთო-ც მონაწილეობს. **"კავკას-პრესი"**

■ ■ ■

ბაქო. რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა აზერბაიჯანის პრეზიდენტს ჰეიდარ ალიევს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით მისალოცი წერილი გაუგზავნა. წერილში, კერძოდ, აღნიშნულია, "ჩვენთვის, თქვენი მეზობლებისათვის, განსაკუთრებით ნათელია ის პოზიტიური შედეგები, რასაც მეგობრულად განწყობილმა აზერბაიჯანმა გასულ წლებში მიაღწია სახელმწიფოებრიობის განმტკიცებაში, ღრმა გარდაქმნების განხორციელებაში საზოგადოებრივი და ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროში".

პუტინის თქმით, რუსეთი კმაყოფილია ორ ქვეყანას შორის არსებული თანამშრომლობის დონის განვითარებით. რუსეთ-აზერბაიჯანის სტრატეგიული პარტნიორობის შემდგომი გააქტიურება ხელს შეუწყობს ორმხრივი ურთიერთობების განვითარებას, კავკასიაში მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცებას.

"ბაქო და მოსკოვი დსთ-ს მუშაობის ეფექტურობის მისაღწევად ერთობლივი ძალისხმევის გაგრძელების მომხრენი არიან. თანამეგობრობის ამასწინანდელმა სამიტმა კიშინიოვში კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ დსთ-ს სერიოზული პოტენციალი გააჩნია ინტეგრაციული პროცესების არსებითი გაღრმავებისათვის, რომელიც თანამედროვე მსოფლიო განვითარების მოთხოვნებს შეესაბამება", - აღნიშნულია წერილის დასკვნით ნაწილში. **"კავკას-პრესი"**

■ ■ ■

თბილისი.. ნოემბერში თბილისში გაიმართება სუუამ-ის წევრი ქვეყნების (საქართველო, უკრაინა, უზბეკეთი, აზერბაიჯანი და მოლდოვა) სასაზღვრო ორგანიზაციების სარდალთა შეხვედრა.

თავდაპირველად შეხვედრის გამართვა დაგეგმილი იყო სექტემბრის ბოლოს ან ოქტომბრის დასაწყისში, მაგრამ კიშინიოვისა და ბაქოს თხოვნით გადაიდო.

შეხვედრაზე დეტალურად განიხილავენ მილსადენების უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემას და მოქმედებათა კოორდინაციის შესაძლო მიმართულებებს სუუამ-ის წევრი ერთ-ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე პრობლემური სიტუაციის წარმოქმნის შემთხვევაში. **"კავკას-პრესი"**

■ ■ ■

თბილისი. პანკისის ხეობაში ათეულობით არაბი ტერორისტის დაკავების ფაქტს საქართველოს უშიშროების სამინისტრო კატეგორიულად უარყოფს.

როგორც უშიშროების სამინისტროს პრეს-სამსახურის უფროსმა ნიკა ლალიაშვილმა განაცხადა, ერთადერთი ეთნიკური არაბი, რომელიც პანკისის ხეობაში მიმდინარე ანტიტერორისტული ოპერაციის ფარგლებში დააკავეს, ხალედ ოლდალია, რომელიც აგვისტოს ბოლოს უშიშროების სპეცსამსახურებისა და შინაგანი ჯარების ერთობლივი ოპერაციის დროს აიყვანეს.

ლალიაშვილის თქმით, ანტიტერორისტული ოპერაციის დაწყებამდე ხეობაში 700-მდე ჩეჩენი და 100-მდე არაბი იმყოფებოდა, თუმცა მათმა უმეტესობამ პანკისის ხეობა ოპერაციის დაწყებამდე დატოვა. ამასთან ნიკა ლალიაშვილი არ გამორიცხავს, რომ პანკისის ხეობაში შერეული ეთნიკური წარმომავლობის ტერორორისტები კვლავ იმყოფებოდნენ, თუმცა მათი რიცხვი, მისი თქმით, 60-ს არ აღემატება.

პანკისის ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად ათეულობით არაბი ტერორისტის აყვანის შესახებ ინფორმაცია ყოველკვირეულ ჟურნალ "თაიმსში" გამოქვეყნდა. სტატიის თანახმად, ხეობაში დაკავებული არაბთა ორი ჯგუფი ქიმიური ნივთიერებებისა და ასაფეთქებელი მოწყობილობების დამზადებაზე მუშაობდა. იმავე წყაროს მტკიცებით, ქართულმა სპეცსამსახურებმა პანკისის ხეობაში "ალ ქაიდას" საშუალო დონის ორი ლიდერიც" დააკავეს, რომლებიც კუბაში, გუანტანამოს ამერიკულ სამხედრო ბაზაზეა გადაყვანილი. ამავე ჟურნალის ცნობით, ქართული მხარე კიდევ 30 არაბის დაკავების ოპერაციას გეგმავს. **"ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

ერევანი. ერევანი "გარკვეულ შეშფოთებას" ინარჩუნებს სამხედრო სფეროში საქართველოსა და თურქეთის დაახლოების გამო, - განაცხადა ორშაბათს სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვარდან ოსკანიანმა.

ამავე დროს, მან "სერიოზული და დამაიმედებელი" უწოდა საქართველოს დაპირებას, არ გადადგას ნაბიჯები, რომლებიც საფრთხეს შეუქმნის სომხეთის უშიშროებას.

"გარკვეული შეშფოთება სომხეთში, რა თქმა უნდა, რჩება, რამდენადაც, ზოგიერთ შემთხვევაში, სურვილის მიუხედავად, სიტუაცია, შეიძლება, სხვა მიმართულებით განვითარდეს", - განაცხადა სომხეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა. **"პრაიმ-ნიუსი"**

■ ■ ■

თბილისი. სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი კორნელი სალია ქართულ მხარეს რუს კოლეგებთან მოლაპარაკებებზე უხელმძღვანელებს, რომელზეც 2003 წელს ერთობლივი ღონისძიებების გეგმა უნდა შემუშავდეს.

როგორც კორნელი სალიამ განაცხადა, ორშაბათსვე იგი დაუკავშირდება რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურისა და სასაზღვრო უწყების ჩრდილო კავკასიის რეგიონალური სამმართველოს ხელმძღვანელებს, რათა შეათანხმოს მუშა ჯგუფების პირველი შეხვედრის თარიღი.

შეხვედრა უახლოეს დღეებში გაიმართება მოსკოვში, ვლადიკავკაზში ან ყაზბეგში. საზღვარზე ერთობლივი ოპერაციები არ ჩატარდება, მაგრამ შეთანხმდება სასაზღვრო უწყებების ღონისძიებები საკუთარ ტერიტორიებზე, მოხდება ინფორმაციის რეგულარული გაცვლა ყველა დონეზე, - თქვა კორნელი სალიამ.

17 ოქტომბერს ორი ქვეყნის სასაზღვრო უწყებათა ხელმძღვანელებმა ხელი მოაწერეს ოქმს "რუსეთისა და საქართველოს ერთობლივი საზღვრის განმტკიცებისაკენ მიმართული კომპლექსური ღონისძიებების შესახებ", რასაც წინ უსწრებდა 6 ოქტომბერს კიშინიოვში საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების შეთანხმება სასაზღვრო სფეროში თანამშრომლობის შესახებ. **"პრაიმ-ნიუსი"**

■ ■ ■

თბილისი. სოხუმში თვლიან, რომ საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების სწრაფვასთან დაკავშირებული განცხადების მიღმა, შესაძლოა, აფხაზური კონფლიქტის დარეგულირებისათვის, რუს სამშვიდობოთა ნაცვლად, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის "ცისფერი ჩაფხუტების" ჩართვა მოიაზრებოდეს.

"ასეთი გეგმები თბილისში, უკვე დიდი ხანია, მწიფდება, რომელსაც პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, უბრალოდ, ახმოვანებს", - განაცხადა აფხაზეთის ლიდერის თანაშემწემ ასტამურ ტანიამ.

მისი თქმით, რუსეთი საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების წინააღმდეგ გამოდის, რამდენადაც ეს მის ეროვნულ ინტერესებს არ პასუხობს.

ასტამურ ტანიამ აღნიშნა, რომ სოხუმში განსაკუთრებულ შეშფოთებას გამოთქვამენ საქართველოს ასეთი განცხადებების მიმართ, რამდენადაც საქართველოს თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებაში ნატო-ს ქვეყნების დახმარება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ძალისმიერი მეთოდებით დარეგულირებასთან დაკავშირებულ გეგმებს აძლიერებს.

პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ორშაბათის პრესკონფერენციაზე არ გამორიცხა, რომ საქართველომ, შესაძლოა, ნატო-ში გაწევრიანების საკითხი ოფიციალურად დასვას ნოემბერში, პრაღაში დაგეგმილი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამიტზე.

თუ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანდებიან ბალტიისპირეთისა და ბალკანეთის ქვეყნები, კანონზომიერი იქნება საქართველოს მხრიდან ნატო-ში შესვლის შესახებ განაცხადის გაკეთება, - თვლის პრეზიდენტი. **"პრაიმ-ნიუსი"**

მეომართა ფორუმი აბაშიძის გადაყენებას მოითხოვს

პირველი გვერდიდან

აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ თამაზ ნადარეიშვილმა მკაცრად გააკრიტიკა აბაშიძის თვალსაზრისი აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით, რომელიც მან ჩამოაყალიბა შევარდნაძისადმი გაგზავნილ წერილში. ნადარეიშვილი აუცილებლად მიიჩნევს აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრას. იგი სასტიკი წინააღმდეგია აფხაზეთში რკინიგზის, პორტისა და საავტომობილო მაგისტრალის გახსნისა. **"ეს გამოიწვევს რეგიონის გაძლიერებას უსაქართველოდ. თუ ცენტრალურმა ხელისუფლებამ მსგავსი რამ დაუშვა, გამოდის, რომ ქართველის ხელით განმტკიცდება აფხაზეთის სახელმწიფოებრიობა... ვერც ერთი გემი, მატარებელი ან ავტომანქანა აფხაზეთის ტერიტორიაზე ვერ შევა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ლიცენზია ექნებათ. ჩვენ მათ ავაფეთქებთ",** - კატეგორიულად აცხადებს ნადარეიშვილი.

თამაზ ნადარეიშვილი დარწმუნებულია, რომ "წვრთნისა და აღჭურვის" ქართულ-ამერიკული სამხედრო პროგრამა მხოლოდ პანკისში ჩატარებული ანტიკრიმინალური ოპერაციისთვის არ ამოქმედებულა. **"პანკისის ოპერაცია მიმართული იყო უკანონო სამხედრო ფორმირებების, კრიმინალური დაჯგუფებების, ტერორისტების წინააღმდეგ. ასეთები აფხაზეთში მრავლად არიან. ოპერაციამ პანკისიდან აფხაზეთში უნდა გადაინაცვლოს."** აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის აზრით, ახლა მთავარია, საქართველოს ხელისუფლებამ განსაზღვროს აფხაზეთის დაბრუნების კურსი. ნადარეიშვილი იზიარებს გაერო-ს წესდების მეშვიდე მუხლს, რომელიც იძულებითი მშვიდობის დამყარებას ითვალისწინებს. იგი პრობლემიდან ერთ-ერთ გამოსავლად რუსეთის განეიტრალებას მიიჩნევს. **"ნურავინ იფიქრებს, რომ აფხაზებსა და ქართველებს შორის ურთიერთობის მოგვარებით აფხაზეთის კონფლიქტი გადაწყდება. ეს არის სამხედრო-პოლიტიკური კონფლიქტი რუსეთსა და საქართველოს შორის".** ვიდრე ლტოლვილები უკან არ დაბრუნდებიან, მანამდე ნადარეიშვილი დაუშვებლად მიიჩნევს ყოველგვარი დახმარების პროგრამის განხორციელებას რეგიონში. **"ასევე არავის არ მივცემთ უფლებას, აფხაზეთში სანტიმეტრი მიწა გადაეცეს უცხოელ ინვესტორებს, რომლებიც იქ საქმიანობის წამოწყებას აპირებენ."**

ნადარეიშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აფხაზეთისა და აჭარის ხელმძღვანელობის კონფლიქტში ცალკეული პოლიტიკოსები მონაწილეობენ. **"ჩვენ გვებრძვიან ქუთაისელი, ჭიათურელი, თბილისელი პოლიტიკოსები, რომლებმაც "ალორძინებას" შეაფარეს თავი. მაგალითად, გამახარია ჩვენი მიწა-წყლის კაცია, იგი სოხუმის დაცემას ტაშფანდურით შეხვდა. დაბეჯითებით გეტყვით, რომ ჩემი, ჩემი მეგობრებისა და ახლობლების სახლები გამახარიას მითითებით გადაწვეს. ყველა მასალა გადავეცი პროკურატურას,"** – მეომართა ფორუმზე მოითხოვეს გენერალურ პროკურატურაში არსებული ორასტომიანი მასალების გამომზეურება.

შეკრების ორგანიზატორებმა ასევე მოითხოვეს ყველა იმ საკანონმდებლო აქტის გაუქმება, რომელიც, მათი თქმით, მეომრების დისკრედიტაციას ისახავს მიზნად.

ფორუმს პარტიზანი რუზგენ გოგოხიაც ესწრებოდა. იგი პარტიზანული მოძრაობის აღორძინებისა და მისთვის სახელმწიფო მხარდაჭერის მომხრეა. კონფლიქტის მოგვარების გზა რუზგენ გოგოხიას ამგვარად ესახება: **"თავდაპირველად უნდა ვცადოთ ძალით მშვიდობის დამყარება. თუ ეს ვერ მოხერხდა, მაშინ აფხაზეთი ომით უნდა დავიბრუნოთ."** გოგოხიას აზრით, შევარდნაძის მიერ ასლან აბაშიძის დანიშვნა პირად წარმომადგენლად აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხებში, მიზნად ისახავს აჭარის ლიდერის პოლიტიკურ დისკრედიტაციას. **"აბაშიძეს 11 თვის წინ რომ ეთქვა უარი ამ თანამდებობაზე, მაშინ გაშიშვლდებოდა. სხვა რა გზა ჰქონდა, დათანხმდა და დრო გაწელა – 11 თვის შემდეგ მაინც გაშიშვლდა",** - რუზგენ გოგოხიას სჯერა, რომ შევარდნაძე აფხაზეთს დაიბრუნებს. **"შევარდნაძე უკვე მოხუცი კაცია, მას, ბუნებრივია, უნდა, მისი გვარი შემორჩეს ისტორიას."**

პარლამენტარი გია გვაზავა, რომელიც შეკრებას ესწრებოდა, იზიარებს ფორუმის განწყობილებას. **"ეს არის აფხაზეთის საზოგადოების და, საერთოდ, ყველა ნორმალურად მოაზროვნე ქართველის პოზიცია. ჩემთვის სრულიად მიუღებელია აბაშიძის პოზიცია აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით",** - განუცხადა "24 საათს" გვაზავამ.

მეომართა ფორუმმა მიიღო მიმართვა. მეომრები მოითხოვენ აბაშიძის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას შევარდნაძის პირადი წარმომადგენლის პოსტიდან. **"თუ პრეზიდენტმა ეს არ გააკეთა, მაშინ იგი ხელს უწყობს აფხაზეთის გასხვისებას. ბოლო უნდა მოეღოს აბაშიძის მოღალატურ ქმედებებს, იგი არაქართულ საქმეს აკეთებს."**

ფორუმის მონაწილეები ამ ეტაპზე დევნილებს გაერთიანებისკენ მოუწოდებენ: **"ჩვენი ბოლო გაჩერება გაგრაა, იქ გავარჩიოთ მტყუან-მართალი. მანამდე საერთო გზაზე ყველამ ერთად ვიაროთ."**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

ფედერალიზმი - ძლიერ სახელმწიფოთა ფუფუნება თუ გაჭირვებულთა მძიმე ხვედრი

დისკუსია თემაზე - “ფედერალიზმი და ტერიტორიული დეცენტრალიზაციის პერსპექტივები საქართველოში”, საპარლამენტო ფრაქცია “ქრისტიან-დემოკრატის” თავმჯდომარის ვაჟა ლორთქიფანიძისა და ჟურნალ “ქრისტიან-დემოკრატის” ინიციატივით, აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობათა კვლევის საერთაშორისო ცენტრში გაიმართა. “გაერთიანებული დემოკრატები”, “ახალი მემარჯვენეები”, “ედპ”, “ნაციონალური მოძრაობა”, “ტრადიციონალისტები” –ეს ის პოლიტიკური პარტიებია, რომლებმაც გუშინ, მეცნიერ-ექსპერტებთან ერთად, დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს. პარტიების ლიდერებმა პირობა დადეს, რომ დაივიწყებენ საკუთარ პარტიულ ინტერესებს და საკითხს სახელმწიფო ინტერესების შესაბამისად გადაწყვეტენ.

ტერიტორიულ-ადმინისტრაციული საკითხის გადაწყვეტა დღევანდელი პარლამენტის გასაკეთებელია.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

სოფო ბუკია

საპარლამენტო გამოსვლაში პრეზიდენტმა შევარდნაძემ მწვანე შუქი აუნთო ქვეყნის ადმინისტრაციული მოწყობის რეფორმას და საქართველოსთვის ყველაზე მისაღებ ვარიანტად “ასიმეტრიული ფედერალიზმი” მიიჩნია.

გუშინდელ შეხვედრაზე ყველა ერთხმად აცხადებდა, რომ ქვეყანა ვერ განვითარდება ტერიტორიული მოწყობის კონკრეტული მოდელის გარეშე. ხოლო ამ პროცესის უმთავრეს მტრად და მის შემაფერხებლად კი პოლიტიკოსებმა სწორედ პრეზიდენტი შევარდნაძე და დღევანდელი ხელისუფლება გამოაცხადეს, **“რომელთა ინტერესებში ქვეყნის დეცენტრალიზაცია ყველაზე ნაკლებად შედის.”**

პოლიტიკოსებმა იშვიათი ერთსულოვნება გამოავლინეს იმაშიც, რომ ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული საკითხის გადაწყვეტა დღევანდელი პარლამენტის “გასაკეთებელი საქმეა”. თუმცა, პოლიტიკური სპექტრი ოპტიმიზმით ვერ დაიტრაბახებს. ბევრი მიიჩნევს, რომ ამ მოწვევის პარლამენტი პრეზიდენტის სურვილს წინ ვერ აღუდგება და რეალურად ვერაფერს შეცვლის. **“არ ვიცი, რომელ მოდელზე უნდა შევჩერდეთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ აუცილებელია ქვეყნის დეცენტრალიზაცია. საშინელებაა, როცა კანცელარიაში წყდება, ვინ იქნება ამა თუ იმ სოფლის სკოლის დირექტორი. შევარდნაძის პრეზიდენტობის პირობებში ეს ვერ მოხერხდება, ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული,”** – ამტკიცებს “მემარჯვენეების” ლიდერი დავით გამყრელიძე.

პესიმისტურად განწყობილთა რიგებშია თავად პარლამენტის თავმჯდომარეც:

“ვშიშობ, რომ დღევანდელ პარლამენტში გართულდება ქვეყნის ტერიტორიულ მოწყობასთან დაკავშირებით კონსესუსის გამონახვა, მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეს სწორედ დღევანდელი პარლამენტის გასაკეთებელია. მოახლოვდა საპარლამენტო არჩევნებიც და მომავალი პარლამენტის არჩევა სწორედ ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის პრინციპის გათვალისწინებით უნდა მოხდეს,” – აცხადებს ნინო ბურჯანაძე.

ფედერალიზმი, რეგიონალიზმი თუ დეცენტრალიზაცია – ტერიტორიული მოწყობის რომელი მოდელი სჭირდება საქართველოს? ამ კითხვაზე ცალსახა პასუხი პოლიტიკოსებს არ აღმოაჩნდათ. უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ერთი კონკრეტული ვარიანტის “ამოჩემება” არასწორი იქნება. საკითხის განხილვისას, პოლიტიკოსთა აზრით, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ქვეყნის ისტორიული, ფსიქოლოგიური თავისებურებები, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ფაქტორი.

“თავისი დადებითი და უარყოფითი მხარე ყველა მოდელს გააჩნია. რეგიონალიზმს რომ ვერ ავცდებით, ფაქტია, ქვეყანა ბუნებრივადაა დაყოფილი რეგიონებად. ჩვენი ორგანიზაციის პროგრამაში მკაფიოდ წერია, რომ რეგიონალიზმის მომხრე ვართ. ფედერალიზმი – ეს ძალიან საფრთხილო თემაა. ფედერალიზაციაზე ძლიერი სახელმწიფოები მიდიან, რომელთაც ძლიერი ხელისუფლება ჰყავთ. თუმცა, როცა გვაქვს ისეთი პრობლემები, როგორებიცაა აფხაზეთი და სამაჩაბლო, შეიძლება ასიმეტრიულ მოდელზეც ვილაპარაკოთ. ავტომატურად მიღებული რომელიმე მოდელი საქართველოს არ ააშენებს. მთავარია, როგორი ხელისუფლება გვყავს... “ – ასეთია “ედპ”-ს ლიდერის ირინა სარიშვილის პოზიცია.

ფედერალიზაციის აუცილებლობას ვერ ხედავს “ნაციონალური მოძრაობის” წევრი კოტე კემულარია. მისი აზრით, ის კლასიკური ფედერალიზმის ფორმა, რომელიც გერმანიამ და აშშ-მ შეისისხლხორცეს, საქართველოს არ გამოადგება. კემულარია მიიჩნევს, რომ ქვეყანა შერეული მოდელის მიხედვით უნდა მოეწყოს.

ვაჟა ლორთქიფანიძის აზრით, ნებისმიერი ტერიტორიული მოწყობის მოდელი მისაღები იქნება, თუ მკვეთრად გაიმიჯნება კომპეტენციები ცენტრსა და რეგიონებს შორის. ფედერალიზმის ხელაღებით უარყოფა ლორთქიფანიძეს მიუღებლად მიაჩნია: **“არასწორია, როცა ამბობენ, რომ ფედერალიზმს მხოლოდ ძლიერი სახელმწიფოები მიმართავენ. თვით ამ სახელმწიფოების ძლიერების საფუძველი ხშირად ფედერალიზმი გამხდარა.”**

“ჩვენ რომ სერიოზულად გვემუშავა აჭარისა და ცენტრის ურთიერთობათა გამიჯვნაზე და საკითხი გაურკვეველი დროით არ გადაგვედო, ეს იქნებოდა მართლაც სერიოზული მოდელი, რომელზეც დაფიქრდებოდნენ აფხაზებიც და ოსებიც,” – აცხადებს პარლამენტის ექს-სპიკერი ზურაბ ჟვანია, რომელიც მიიჩნევს, რომ შევარდნაძისთვის ყველაზე მისაღებია ქვეყნის მოწყობის თურქმენული და არა ამერიკული მოდელი, როგორც თავად პრეზიდენტი იბრალებს.

აჭარისა და ცენტრის გამუდმებულ პაექრობასაც, პოლიტიკოსები ტერიტორიული მოდელის უქონლობას უკავშირებენ. მათი აზრით, აჭარა ბიუჯეტის მუდამ “ურჩ გადამხდელად” დარჩება, თუ ამ ავტონომიის კომპეტენციები საქართველოს კონსტიტუციაში არ აისახება.

ფედერალიზმი აფხაზეთის დაბრუნების ერთადერთ ალტერნატივად ესახება ექსპერტ გია ჯახუას. მისი აზრით, ფედერალიზმი სახელმწიფო მოწყობის ერთადერთი ფორმაა, რომლის ფარგლებშიც საქართველოს აფხაზეთის დაბრუნება შეუძლია. გია ჯახუა ასიმეტრიულ ფედერალიზმზე ამახვილებს ყურადღებას: **“ასიმეტრიული ფედერალიზმის პირობებში ფედერალიზმის სუბიექტს, ვთქვათ აფხაზეთს, გაცილებით მეტი უფლებამოსილება აქვს, ვიდრე ავტონომიებს, მაგალითად, აჭარას. ფედერალიზმი არ ნიშნავს უწესრიგობას. რა თქმა უნდა, იქნება ძლიერი ცენტრი, მაგრამ ფედერაციის სუბიექტი არ განიხილება, როგორც ადმინისტრაციული ერთეული, ის იქნება ქვეყნის წევრი და არა ნაწილი. ავტონომიები კი ქვეყნის ნაწილებად ჩაითვლებიან. ფედერალიზმი აუცილებლად გეოგრაფიული ნიშნის მიხედვით უნდა ჩამოყალიბდეს და არავითარ შემთხვევაში - ეთნიკურის. ამიტომ, ზოგიერთის მოსაზრება, თითქოს ფედერალიზმი საფრთხეს შეგვიქმნის სამცხე-ჯავახეთში, სწორი არაა.”** გია ჯახუას თქმით, ფედერალიზმი რთული ფორმაა და სახელმწიფოსთვის იგი არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს ფუფუნებას, გაცილებით იოლია მარტივი დეცენტრალიზაციის მოდელი. მსოფლიოს ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, რომ ფედერალიზმს სახელმწიფოები მხოლოდ მაშინ მიმართავდნენ, როცა **“ძალიან უჭირდათ”.** ექსპერტის აზრით, საქართველოს დღეს სწორედ ამგვარი გასაჭირი ადგას.

ჯორბენაძის იმპიჩმენტი - საპარლამენტო ძალთა ბალანსის ტესტი

პირველი გვერდიდან

ნაწილი ხელისუფლებას არჩევნების ერთი კვირით გადადებას სთხოვდა. როგორ ჩატარდა არჩევნები, ყველასთვის ცნობილია. ამ არჩევნების შედეგად არჩეული საკრებულო კი ჯერაც ვერ ამოქმედდა.

სკოლებსა და ბევრ ისეთ ადგილას, სადაც ეს დაუშვებელია, აფუძნებენ "მოქალაქეთა კავშირის" ორგანიზაციებს თუ უჯრედებს. ეს პარტია იყენებს სახელისუფლებო რეზერვებს რეგიონებში პარტიული ორგანიზაციების შესაქმნელად. ავთანდილ ჯორბენაძე ამ პარტიის ლიდერია და, შესაბამისად, იგი საკუთარ ძალაუფლებას ამეტებს.

სახელმწიფო ტელევიზია, რომელიც საბიუჯეტო ფულით არსებობს, უზურპირებული აქვს ერთ პარტიას...

ამ და "მონათესავე" თემებზე სასაუბროდ ხუთმა ფრაქციამ ხუთშაბათის სხდომაზე სახელმწიფო მინისტრის მოსვლა მოითხოვა. მათ მიერვე გახმოვანებული ინფორმაციით, მათ გააჩნიათ საკმარისი მასალა იმისათვის, რომ განხილვის შემდეგ დაისვას ავთანდილ ჯორბენაძის პასუხისმგებლობის საკითხი.

გოირგი ბარამიძის ამ ინიციატივას მოსალოდნელი აღშფოთებით შეხვდა "მოქალაქური" ფრაქციების ხელმძღვანელობა. ირაკლი გოგავამ, პროტესტის ნიშნად, სასწრაფოდ დატოვა ბიუროს სხდომა. რამდენიმე წუთით ადრე ბიუროდან გავიდა ვახტანგ რჩეულიშვილი, რომელიც იმაზე საუბრობდა, რომ ხუთი ფრაქციის "ფაფხურის" შედეგი "აღორძინების" პოზიციაზე იქნება დამოკიდებული. "აღორძინების" ბლოკის წარმომადგენელი ფრაქციები გუშინ, გიორგი ბარამიძის მიერ ამ საკითხის გახმოვანების მომენტისათვის, ბიუროს სხდომაზე არ იმყოფებოდნენ. ბიუროზე იყვნენ "მრეწველები", რომელთა წარმომადგენელმა ვახტანგ ხმალაძემ "24 საათთან" საუბარში განაცხადა, რომ ბარამიძის არგუმენტები მეტად ბუნდოვანი იყო, თუმცა, ფრაქცია მზადაა, იმსჯელოს კონკრეტულ მასალებზე დაყრდნობით.

გოგავას მიერ ბიუროს ოთახის დატოვების შემდეგ, ბიუროზე კვორუმი აღარ შედგა, რის გამოც საკითხის კენჭისყრა ვერ მოხერხდა.

"მოქალაქეთა" ფრაქციის ლიდერმა ვიტალი ხაზარაძემ გიორგი ბარამიძეს განუცხადა, რომ საკითხს პარლამენტი არ განიხილავს, რადგან ამის არც საფუძველი არსებობს და არც სურვილი(!).

საბოლოოდ, დაპირისპირება იმ დონემდე მივიდა, რომ პარლამენტის თავმჯდომარემ დეპუტატებს ამ თემაზე საუბრის შეწყვეტა მოსთხოვა. ბიუროდან" გამოსული "პროტესტანტთა" წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ამ საკითხს ოთხშაბათს უკვე პარლამენტის სესიაზე დააყენებენ, სადაც თემის გატანის გაცილებით დიდი შანსი არსებობს.

ამ შანსის "მოცულობა" სერიოზულად არის დამოკიდებული იმაზე, მონახავს თუ არა ავთანდილ ჯორბენაძე აჭარის ლიდერის გულისკენ სავალ გზას. მართალია, ცენტრსა და რეგიონს შორის დღეს გამძაფრებული საბიუჯეტო ურთიერთობა ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ასეთი გზის პოვნა ძნელია, მაგრამ ამ ურთიერთობების უკვე რამდენიმეწლიანი გამოცდილება ნათელყოფს, რომ აქ გადამწყვეტი მაინც გარიგების საგანი და დათმობებისთვის მზადყოფნა იქნება.

ნებისმიერ შემთხვევაში, ავთანდილ ჯორბენაძის იმპიჩმენტის განხორციელება არარეალურია. თუმცა, არსებული ინფორმაციით, არსებობს უფრო მიღწევადი შედეგი, რაც, შესაძლოა, უახლოეს პერიოდში ისეთი კანონის მიღებაში გამოიხატოს, რომელიც "სახელმწიფოს როლს" სახელისუფლებო პარტიის წარმატებაში მაქსიმალურად შეზღუდავს. გამორიცხული არაა, რომ "პროტესტანტთა" აქტიურობა ამ შედეგზე უფრო იყოს გათვლილი.

გუშინ "პროტესტანტებმა" ერთი საკითხის გატანა მაინც შეძლეს - მიღწეულია შეთანხმება (თუმცა, ამ შეთანხმებისთვისაც, იგივე ქვორუმის არარსებობის გამო, კენჭი არ უყრიათ) 9 თვის ბიუჯეტის შესრულების შედეგების მოსმენის გადატანასთან დაკავშირებით. მოსმენა ხუთშაბათს უნდა შემდგარიყო. ხუთშაბათისთვის იყო დანიშნული კონტროლის პალატის მოხსენების მოსმენაც, რომელმაც 6 თვის ბიუჯეტის შესახებ დასკვნა პარლამენტში უკვე წარმოადგინა. სულხან მოლაშვილმა, რომელსაც 9 თვის ბიუჯეტის შესრულებაზე დასკვნის მომზადებაც ეთხოვა, გუშინ განაცხადა, რომ გარკვეული ინფორმაცია უკვე მზად არის.

მიუხედავად ამისა, როგორც ვთქვით, ხუთშაბათს ბიუჯეტის განხილვა, შესაძლოა, არ შედგეს. ყოველ შემთხვევაში, ბიუროზე ეს ინიციატივა "მოქალაქურმა" ძალებმა თავადაც აიტაცეს, სავარაუდოდ იმიტომ, რომ ავთანდილ ჯორბენაძისთვის საბიუჯეტო თემაზე მოსალოდნელი თავდასხმა დროებით მაინც აერიდებინათ. ჩანს, "პროტესტანტებიც", ჯერჯერობით მაინც, ამ თავდასხმისთვის ბოლომდე მზად არ იყვნენ.

და ბოლოს - დღეს პარლამენტის სხდომა ოთხ საათზე გაიხსნება კონკორდატის თემით. დღესვე ვახტანგ რჩეულიშვილი აპირებს, დააყენოს საკითხი პატრიარქის დალოცვით პარტიათა შორის იმ შეთანხმების დადების შესახებ, რომელზეც მთავრობის სხდომაზე გასულ უკვე ისაუბრა. შეთანხმების არსი, მოკლედ თუ ვიტყვით, დესტაბილიზაციის არდაშვების თაობაზე ფიცის დადებაში გამოიხატება. შეგახსენებთ, რომ გასულ ოთხშაბათს პრეზიდენტმა რჩეულიშვილს ამ საქმეში ეკლესიის ჩარევა არ ურჩია.

ოპოზიციური ალიანსის პირველი სამიზნე - სახელმწიფო მინისტრი

პირველი გვერდიდან

არ არის გამორიცხული, მიმდინარე კვირას ოპოზიციონერებმა სახელმწიფო მინისტრის წინააღმდეგ საიმპიჩმენტო პროცედურაც დაიწყონ. ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ განვითარდება მოვლენები 24 ოქტომბერს. ამ დღეს სახელმწიფო მინისტრი პარლამენტის წინაშე ცხრა თვის ბიუჯეტის შესრულების თაობაზე მოხსენებით უნდა წარდგეს.

აკაკი ასათიანი, ფრაქცია “ტრადიციონალისტის” თავმჯდომარე:

“საინტერესო იქნება ავთანდილ ჯორბენაძის მოსმენა იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ ხდება ტელევიზიის პირველი არხის უზურპირება “მოქალაქეთა კავშირის” მიერ, ასევე სახელმწიფო სტრუქტურების გამოყენება ჯორბენაძის პარტიის ინტერესებისთვის. მან პასუხი უნდა აგოს იმაზეც, თუ როგორი დარღვევებით წარიმართა ადგილობრივი არჩევნები. არადა, ყველას კარგად ახსოვს, რომ არჩევნების წინა საღამოს სწორედ მან აიღო პასუხისმგებლობა თვითმმართველობის არჩევნების ნორმალურად ჩატარებაზე.”

“ახლების” ლიდერის დავით გამყრელიძის აზრით კი, **“წინასაიმპიჩმენტო პროცედურის დასაწყებად უკვე საკმარისი მასალები არსებობს”.** როგორც გამყრელიძე აცხადებს, **“გამოსაძიებელია, ჰქონდა თუ არა ადგილი ჯორბენაძის მხრიდან თანამდებობის ბოროტად გამოყენებას და სახელმწიფო სახსრების საკუთარი პარტიისათვის დახარჯვას”.**

“მე მგონი, პარლამენტის ვერც ერთი წევრი და თვით ავთანდილ ჯორბენაძის მხარდამჭერი ფრაქციებიც ვერ იტყვიან უარს, რომ საგამოძიებო კომისიამ ნახოს და შეისწავლოს მასალები, გაარკვიოს, არის თუ არა დარღვევები და დანაშაულის ფაქტები მის ქმედებებში. თუ ჯორბენაძის მხარდამჭერები დარწმუნებულები არიან, რომ მას დანაშაული არ ჩაუდენია, მაშინ ასეთი პროცედურის დაწყებას მით უფრო არ უნდა შეეწინააღმდეგონ”, - ამბობს დავით გამყრელიძე.

ამას გარდა, ფრაქციები აპირებენ მიმართონ პრეზიდენტს, რათა მან საბოლოოდ ჩამოაყალიბოს თავისი პოზიცია ქვეყნიდან რუსეთის ბაზების გაყვანასთან და დსთ-ში საქართველოს ყოფნასთან დაკავშირებით. **“თუკი პრეზიდენტი პარლამენტის დადგენილებას არ გაითვალისწინებს, იგი კონსტიტუციას დაარღვევს, რასაც ჩვენი მხრიდან ადეკვატური ნაბიჯები მოჰყვება”,** – ამბობს აკაკი ასათიანი.

მიმდინარე კვირას ოპოზიცია პარლამენტში საგარეო საქმეთა მინისტრისა და კონტროლის პალატის თავმჯდომარის მიწვევასაც აპირებს.

“თუკი რუსეთი არ მოიშლის აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის მიმართ განსაკუთრებული რეჟიმების ამოქმედებას, მაშინ საქართველომ არ უნდა დაუჭიროს მხარი რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებას. რაც შეეხება კონტროლის პალატის თავმჯდომარეს სულხან მოლაშვილს: ბოლოს და ბოლოს, მან უნდა განმარტოს, ვის ექვემდებარება კონტროლის პალატა – მთავრობას თუ პარლამენტს. მე შეგახსენებთ, რომ, კონსტიტუციის თანახმად – პარლამენტს. თუმცა, როგორც ჩანს, ეს არავის ახსოვს”, - განუცხადა “24 საათს” აკაკი ასათიანმა.

საკუთარ შეფასებებში შედარებით ზომიერი იყო ფრაქცია “ახალი აფხაზეთის” ლიდერი, ექს-სახელმწიფო მინისტრი ვაჟა ლორთქიფანიძე, რომელმაც საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანასთან დაკავშირებით ოპოზიციურ ფრაქციებს სრული მხარდაჭერა აღუთქვა, თუმცა, უარი თქვა, კომენტარი გაეკეთებინა ავთანდილ ჯორბენაძის წინააღმდეგ დაწყებული კამპანიის თაობაზე. **“მე ჩემი პოზიცია მაქვს. თუ იგი სხვების პოზიციებს დაემთხვევა, ვითანამშრომლებ როგორც ამ ოთხ, ასევე სხვა დანარჩენ ფრაქციებთანაც”,** – განუცხადა “24 საათს” ვაჟა ლორთქიფანიძემ.

ძველი მეთოდი - აქაგე ძველი, აქე ახალი!

საბჭოთა მმართველობის პერიოდში ასეთი დაუწერელი კანონი მოქმედებდა: არსებული ხელისუფლების "ტიტანური შრომა" აუცილებლად უშეცდომოდ და უნაკლოდ უნდა მიჩნეულიყო და, თუ რომელიმე სფეროში ჩამორჩენა და ნაკლოვანებები მაინც გამომჟღავნდებოდა, ისინი წინა ხელისუფალის "სიბეცეს" დაბრალდებოდა. ამ "ოქროს წესს" საქართველოს პრეზიდენტი დღემდე იცავს.

გიორგი ასანიშვილი

ვიდრე ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი იყო, შევარდნაძე მის მიმართ საქებარ სიტყვებს არ იშურებდა და ხშირად იმეორებდა, რომ იგი მალე გაერკვა ახალ "მეცნიერებაში" და ნამდვილ პროფესიონალად ჩამოყალიბდა.

"კაცმა ძლივს ისწავლა საქმე და ახლა მოვხსნა?" - ამბობდა ჯერ კიდევ გასულ წელს პრეზიდენტი. თუმცა, ასეთ შექებას სულაც არ შეუშლია ხელი შევარდნაძისთვის, რომ სულ ცოტა ხანში ნოღაიდელი "ექსად" ექცია. მეტიც: საქართველოს პრეზიდენტი საბიუჯეტო სფეროში დღეს შექმნილ მძიმე მდგომარეობას დარგის ამჟამინდელ ხელმძღვანელობას კი არა, არამედ სწორედ "საქმენასწავლ კაცს" აბრალებს.

"ბოლო 5-6 თვის განმავლობაში სახელმწიფო მინისტრი, ფინანსთა მინისტრ მირიან გოგიაშვილთან და განახლებულ აპარატთან ერთად, ძალიან დიდი შემართებით მუშაობს. წლის პირველ ნახევარში და, განსაკუთრებით, წინა წლებში, ასე რომ გვემუშავა, მაშინ სეკვესტრზე წარმოდგენაც კი არ გვექნებოდა", - აღნიშნა გუშინ გამართულ ბრიფინგზე საქართველოს პრეზიდენტმა. ასეთი დამოკიდებულებიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ავთანდილ ჯორბენაძის იმპიჩმენტის შესახებ "ახალი მემარჯვენეების" მოთხოვნაზე შევარდნაძეს სიტყვის გაგონებაც კი არ სურს.

"სახელმწიფო მინისტრის იმპიჩმენტის საკითხის დაყენების ვერანაირ საფუძველს ვერ ვხედავ. ეს არის ადამიანი, რომელიც 24-საათიან რეჟიმში მუშაობს და, თუ ბოლო 5-6 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულებასთან დაკავშირებით პრობლემები არა გვაქვს, ფინანსთა მინისტრთან ერთად, მისი დამსახურებაც არის. ასეთ დროს იმპიჩმენტის მოთხოვნა ნიშნავს, რომ ხელისუფლებას ცუდი მუშაობისკენ მოუწოდო", - დასძენს შევარდნაძე.

პრეზიდენტი, "ახლების" გარდა, უკვე დიდი ხანია აღარ წყალობს იმ პოლიტიკურ ჯგუფებს, რომლებიც ბოლო ხანებში დაუახლოვდნენ ერთმანეთს. თუმცა, შევარდნაძე მათ მიმართ მკვეთრი შეფასებების გაკეთებას მაინც ერიდება და აცხადებს, რომ ამ გაერთიანებაში საშიშს ვერაფერს ხედავს.

"ვერ ვიტყვი, რომ ეს ანტისახელმწიფოებრივი ძალებია და ქვეყნის დაღუპვა უნდათ", - "აღიარებს" პრეზიდენტი და იქვე, ვითომ სხვათაშორის, იმაზეც მიანიშნებს, რომ **"ყველა გაერთიანება მუდმივი არ არის".**

გამყრელიძე-ჟვანია-სააკაშვილის დაჯგუფებასთან "ნეიტრალური" დამოკიდებულებისგან (ყოველ შემთხვევაში, პრეზიდენტი ასეთ პოზიციას აფიქსირებს) განსხვავებით, ბრიფინგზე შევარდნაძემ საკმაოდ თბილად მოიხსენია სოციალისტების ლიდერი ვახტანგ რჩეულიშვილი, რომელსაც, თურმე, ხშირად ხვდება და მასთან სხვადასხვა საკითხზე მსჯელობს. ძნელი სათქმელია, იყო თუ არა მათი განსჯის საგანი ახალი საპარლამენტო უმრავლესობის ჩამოყალიბება, რადგან შევარდნაძემ, ამასთან დაკავშირებით, გუშინ ბოლომდე არ გახსნა კარტი.

"არა მგონია, უახლოეს მომავალში პარლამენტში მყარი უმრავლესობა შეიქმნას. ისე, რა სჯობს, თუ ვახტანგ რჩეულიშვილი ამას მოახერხებს!" - როგორც ჩანს, ამის საწინააღმდეგო პრეზიდენტს მაინც არაფერი უნდა ჰქონდეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ადრინდელი წყენა რჩეულიშვილმაც და შევარდნაძემაც საბოლოოდ დაივიწყეს და დღეს უკვე აღარაფერს უწუნებენ ერთმანეთს.

ან ბოდიში, ან კანონის უპირობოდ შესრულება

"საქართველოს ხელისუფლებას აჭარის წინაშე სინდისი სუფთა აქვს. ჩვენ იქიდან ზედმეტი არაფერი წამოგვიღია. ლაპარაკია იმაზე, რომ ვერ ვღებულობთ იმას, რაც უნდა მივიღოთ. აჭარამ, ისევე როგორც საქართველოს სხვა რეგიონებმა, საერთო სამშობლოს წინაშე ვალი პირნათლად უნდა მოიხადოს. თუ ბიუჯეტთან პირნათელი არა ხარ, მაშინ არც ქვეყნის წინაშე ხარ პირნათელი", - განაცხადა გუშინ გამართულ ბრიფინგზე პრეზიდენტმა შევარდნაძემ.

გიორგი ასანიშვილი

ცენტრალურ და აჭარის ხელისუფლებას შორის გაჩაღებული "საგადასახადო ომი" დამთავრებისგან ჯერ კიდევ შორს არის - დათმობაზე წასვლას არც ერთი მხარე არ აპირებს. თუმცა, პირველი ნაბიჯი "დაზავებისკენ" უკვე გადაიდგა: პრეზიდენტი შევარდნაძე ასლან აბაშიძეს სთავაზობს, შეიქმნას კომისია მეცნიერების, ეკონომისტებისა და იურისტების მონაწილეობით, რომელშიც ორივე მხარის წარმომადგენლები შევლენ და და რომლის ვერდიქტიც თბილისისთვისაც და ბათუმისთვისაც სავალდებულო შესასრულებელი იქნება.

"თუ აღმოჩნდება, რომ ჩვენ ვცდებით, მაშინ საქართველოს პრეზიდენტი ვალდებულია, ბოდიში მოიხადოს მის მიერ გამოთქმული შენიშვნებისთვის, თუ არა და, კანონი უნდა შესრულდეს", - აცხადებს შევარდნაძე.

ამასთან, პრეზიდენტი აჭარის ხელისუფალთ სთავაზობს, იმოქმედონ ფედერაციული სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი მოდელის მიხედვით. იგი ბათუმს იქვე იმასაც შეახსენებს, რომ ასეთ მოდელში საბაჟო პოლიტიკის გატარება მთლიანად ცენტრის პრეროგატივაა.

მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალურ ხაზინაში აჭარიდან საბიუჯეტო გადასახადები არ ირიცხება, ქვეყნის საბიუჯეტო მდგომარეობით შევარდნაძე მაინც კმაყოფილია და აცხადებს, რომ 2002 წელს სეკვესტრის საშიშროება არ არსებობს.

"სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მხრივ, წლის პირველ ნახევარში ძალიან მძიმე მდგომარეობა იყო, მაგრამ როგორც კი გაძლიერდა კონტრაბანდასთან ბრძოლა, შემოსავლებმა იმატა და ბიუჯეტის სეკვესტრირების საკითხიც დღის წესრიგიდან მოიხსნა. მიმდინარე წლის ბიუჯეტი აუცილებლად შესრულდება. ეს საშუალებას მოგვცემს, შევამციროთ სახელფასო დავალიანება და გავზარდოთ ხელფასები", - როგორც ყოველთვის, ორშაბათის ტრადიციული რადიოინტერვიუდან იმედის მორიგ ახალ ულუფას სთავაზობს თანამოქალაქეებს საქართველოს პრეზიდენტი.

პრეზიდენტის ტრადიციული ბრიფინგიდან

პრეზიდენტი შევარდნაძე არ გამორიცხავს, რომ ნატო-ს მორიგ სამიტზე, რომელიც მომავალ თვეში ჩეხეთის დედაქალაქში გაიმართება, საქართველომ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შესვლის საკითხი დააყენოს.

"ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორ წარიმართება ეს სამიტი. თუ ნატო-ში ბალტიისა და სხვა ქვეყნებს მიიღებენ, მაშინ სავსებით კანონზომიერი იქნება, თუ ამის შედეგ საქართველოს რიგიც დადგება და შესაბამისი განცხადებაც გაკეთდება", - აღნიშნა გუშინდელ ბრიფინგზე პრეზიდენტმა შევარდნაძემ.

■ ■ ■

ამერიკულმა ყოველკვირეულმა "თაიმმა" გამოაქვეყნა სტატია, რომლის თანახმადაც საქართველოს სპეცსამსახურებმა და სამართალდამცავმა ორგანოებმა პანკისის ხეობაში მიმდინარე წელს ათზე მეტი არაბი ბოევიკი დააკავეს და ამჟამად კიდევ 30 "პანკისელი არაბის" შეპყრობაზე მუშაობენ. ამავე სტატიაში აგრეთვე ნათქვამია, რომ 2002 წელს ქართულმა მხარემ, ამერიკელების დახმარებით, ორი მსხვილი ტერაქტი ჩაშალა: პირველი მიზნად ისახავდა, იმავე "პანკისელი არაბების" მონაწილეობით, რუსეთში არსებული რიგი ამერიკული ობიექტების აფეთქებას, ხოლო მეორე - ცენტრალურ აზიაში მყოფი ამერიკისა და დასავლეთ ევროპის წარმომადგენელთა მოწამვლას.

გუშინდელ ბრიფინგზე პრეზიდენტმა შევარდნაძემ ამ ინფორმაციის დეტალური კომენტარისგან თავი შეიკავა და მხოლოდ ის დასძინა, რომ **"არ გამორიცხავს, "თაიმში" მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეესაბამებოდეს".**

პრეზიდენტის თქმით, საქართველოს ძალოვანმა უწყებებმა პანკისის ხეობაში საკმაოდ სერიოზული ოპერაცია ჩაატარეს, რომლის შემდეგაც ბოევიკების ძირითადმა ნაწილმა ხეობის ტერიტორია დატოვა.

"მათი გარკვეული რაოდენობა ხეობაში დღესაც რჩება. ამიტომ, ძალოვან სტრუქტურებს უკვე მივეცი მითითება იმის თაობაზე, რომ გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები, რათა ამ მიწაზე არც ერთი უცხოელი ბოევიკი აღარ დარჩეს", - დასძენს ედუარდ შევარდნაძე.

■ ■ ■

გუშინდელ ბრიფინგზე პრეზიდენტმა შევარდნაძემ კომენტარი გააკეთა გამყრელიძე-ჟვანია-სააკაშვილის ოპოზიციურ გუნდთან ბადრი პატარკაციშვილის შესაძლო შეხვედრისა და მათი სამომავლო თანამშრომლობის შესახებ.

"პატარკაციშვილს კარგად ვიცნობ, ის საკმაოდ ფრთხილი კაცია და ვფიქრობ, ასეთ საშიშ პოლიტიკურ თამაშებში არ ჩაებმება", - ვარაუდობს შევარდნაძე.

ენერგეტიკოსები საქართველოს არ ჩააბნელებენ

პირველი გვერდიდან

მისი თქმით, "ელექტროდისპეტჩერიზაციისა" და "ელექტროგადაცემის" თანამშრომლები 1996-97 წლებში დაგროვილ იმ სახელფასო დავალიანებას ითხოვენ, რომლის გადახდაც, 1997 წელს "საქენერგოს" დაშლის შემდეგ, მისმა არც ერთმა სამართალმემკვიდრემ არ მოისურვა. შედეგად, ენერგეტიკოსები ერთგვარ გაურკვევლობაში აღმოჩნდნენ. ახლაც ბუნდოვანია, როდის მიიღებენ ისინი "საქენერგო-2000"-ის, "ენერგოგადაცემისა" და "ელექტროდისპეტჩერიზაციისაგან" წლების მანძილზე დაგროვილ სახელფასო დავალიანებას. **"რაც შეეხება მიმდინარე ხელფასს, ისინი მას დაუბრკოლებლად ღებულობენ,"** – განაცხადა ნინო ასათიანმა.

როგორც ენერგეტიკული საზოგადოების თავმჯდომარემ მირონ ფირცხელანმა განაცხადა, **"ენერგოსისტემის გათიშვას არ ვაპირებთ. თუმცა, მოთხოვნები ძალაში რჩება".**

სახელფასო დავალიანების დაფარვას "ელექტროგადაცემა" და "ელექტროდისპეტჩერიზაცია" მხოლოდ მას შემდეგ მოახერხებენ, რაც მათ კუთვნილ თანხებს გადაუხდიან მევალეები, მათ შორის, საბითუმო ბაზარი და გაერთიანებული ენერგოკომპანია, რომელიც საქართველოს რეგიონებს ემსახურება. საბითუმო ბაზარს თავად ჰყავს მევალეები და ფინანსური პრობლემებიც აქვს. ამდენად, მის მიერ თანხის გადახდა ჯერჯერობით კვლავ გვიანდება. მიუხედავად ამისა, ამ დღეებში "ელექტროდისპეტჩერიზაციისა" და "ელექტროგადაცემის" თანამშრომლებს სახელფასო დავალიანების ნაწილი უკვე დაურიგეს. ნაწილსაც (თუმცა, არა სრული დავალიანების დაფარვას) მომავალი კვირის ბოლოსთვის ჰპირდებიან.

თუმცა, ენერგეტიკოსთა დაუმორჩილებლობის მიზეზი, გარდა სახელფასო დავალიანებისა, "ელექტროდისპეტჩერიზაციასა" და "ელექტროგადაცემაში" ირლანდიური "ი-ეს-ბი-აი ლიმითედის" შემოსვლასაც უკავშირდება. ნიშანდობლივია, რომ ენერგეტიკოსთა გამოსვლები, ძირითადად, ირლანდიელების ჩამოსვლის პერიოდისთვის აქტიურდება: "ი-ეს-ბი-აის" წარმომადგენლები საქართველოში სამ კვირაში ჩამოვლენ. სავარაუდოდ, ენერგეტიკოსთა საგაფიცვო კომიტეტი ირლანდიელების ფინანსურ ენერგოკარუსელში ჩაბმას ვერ მოახერხებს: მათ ვალდებულებებში ძველი დავალიანების მომსახურება არ შედის, რამაც თავიდანვე გამოიწვია ამბოხებულ ენერგეტიკოსთა გულისწყრომა.

მოკლედ

თბილისი. საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ინფორმაციით, 29-30 ოქტომბერს, თბილისში, სამთავრობო დონეზე გაიმართება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მშენებლობასთან დაკავშირებული თათბირი. მასში მონაწილეობას მიიღებენ პროექტში ჩართული კომპანიები.

როგორც პრეზიდენტმა ორშაბათს გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტმა გიორგი ჭანტურიამ, რომელიც ამჟამად ლონდონში იმყოფება, მას აცნობა, რომ ინვესტორები დაინტერესებულნი არიან ნავთობსადენის მშენებლობის ტემპების დაჩქარებით.

ამასთან, შევარდნაძე თვლის, რომ მშენებლობას წინ უნდა უძღოდეს "ძალიან სერიოზული ექსპერტიზები" ეკოლოგიური უსაფრთხოების თვალსაზრისით.

მისივე თქმით, დაუზუსტებელი ინფორმაციით, ინვესტორები ასევე მხარს უჭერენ სამხრეთ კავკასიის გაზსადენის მშენებლობის დაჩქარებას.

პროექტის თანახმად, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის სიგრძე 1743 კილომეტრია, საიდანაც 235 კილომეტრი საქართველოს ტერიტორიაზე გაივლის.

ნავთობსადენის მშენებლობა 2004-2005 წლებში უნდა განხორციელდეს. იგი წელიწადში 50 მილიონი ტონა ნავთობის გატარებაზეა გათვლილი. მშენებლობის ღირებულება 2 მილიარდ 700 ათასი აშშ დოლარია. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

აშხაბადი. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის სპეციალურმა მრჩეველმა კასპიის ენერგორესურსების საკითხებში, სტივენ მანმა, რუსული კომპანიები მიიწვია აქტაუ-ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტში მონაწილეობისათვის. ეს მოწვევა გაკეთდა აშხაბადში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე - "თურქმენეთის ნავთობი და გაზი".

მანმა იმედი გამოთქვა, რომ ამგვარი ნაბიჯი რუსული კომპანიების "ფინანსურ ინტერესებსაც" შეესაბამება და ხელს შეუწყობს კასპიის ზღვაზე ამერიკულ-რუსული კომპანიების თანამშრომლობის ზრდას. "აქტაუ-ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი" პროექტის უფრო ზუსტი დასახელებაა, ვიდრე მანამდე ცნობილი - "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი", - განაცხადა სტივენ მანმა.

ამავე დროს მან აღნიშნა, რომ "პროექტი წარმატებული იქნება იმ შემთხვევაშიც კი, თუ მილსადენი მარტო აზერბაიჯანული ნავთობით აივსება. ყაზახეთის ნავთობმა ეს წარმატება უნდა განამტკიცოს". "ეჭვი არ მეპარება, რომ ყაზახი ნავთობმომპოვებლები ამ წინადადებას დადებითად შეაფასებენ", - განაცხადა მანმა და დასძინა, რომ ამის შესახებ მოლაპარაკებებს აწარმოებს აზერბაიჯანისა და ყაზახეთის ხელისუფლებებთან და კერძო კომპანიებთან.

"ვიმედოვნებთ, რომ მალე მივიღებთ ფინანსურ მხარდაჭერას და ნავთობსადენის მშენებლობას უკვე მომავალი წლის ზაფხულში დავიწყებთ. ნავთობსადენი ექსპლუატაციაში 2005 წლის დასაწყისში შევა," - განაცხადა მანმა. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. პრეზიდენტი შევარდნაძე დადებითად აფასებს სახელმწიფო და ფინანსთა მინისტრების საქმიანობას და აცხადებს, რომ ქვეყანაში ბიუჯეტის სეკვესტრის საშიშროება აღარ არსებობს.

როგორც ედუარდ შევარდნაძემ დღევანდელ ტრადიციულ რადიოინტერვიუში განაცხადა, წლის ბოლომდე საბიუჯეტო დანაკლისი მთლიანად ან თითქმის მთლიანად შეივსება.

მისი განმარტებით, ბიუჯეტის შევსების თვალსაზრისით, ვითარება რადიკალურად მას შემდეგ შეიცვალა, რაც ფინანსთა და საგადასახადო შემოსავლების სამინისტროები გაერთიანდა და მას სათავეში ახალი ფიგურა - მირიან გოგიაშვილი ჩაუდგა.

"გოგიაშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მისი მტკიცე და პრინციპული მოქმედების შედეგად გაძლიერდა ბრძოლა გადასახადების დამალვის, ფალსიფიკაციისა და კონტრაბანდის წინააღმდეგ, რითაც საბიუჯეტო შემოსავლები მნიშვნელოვნად გაიზარდა", - აღნიშნა პრეზიდენტმა.

მისივე თქმით, ივნისის შემდეგ საგადასახადო შემოსავლების პარამეტრები (აჭარაში აკრეფილი თანხების ჩათვლით) ყოველთვიურად გადაჭარბებით სრულდება. რაც შეეხება არასაგადასახო და სხვა შემოსავლებს, პრეზიდენტის განცხადებით, აღმასრულებელი ხელისუფლება საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს პირნათლად ასრულებს, რის საფუძველზეც ქვეყანა წლის ბოლომდე გრანტებს მიიღებს.

ედუარდ შევარდნაძე ბრიტანელი ბანკირის, პიტერ შოუს, გატაცების გამო ევროკავშირის გრანტების დროებით შეჩერების თემასაც შეეხო და აღნიშნა, რომ ამ საკითხზე ფინანსთა სამინისტრო და ევროსაბჭოში საქართველოს ელჩი კოტე ზალდასტანიშვილი ბრიუსელთან აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებენ.

პრეზიდენტმა მაღალი შეფასება მისცა სახელმწიფო მინისტრის ავთანდილ ჯორბენაძის საქმიანობას და არ დაადასტურა ინფორმაცია პარლამენტში სახელმწიფო მინისტრის იმპიჩმენტის მზადების თაობაზე. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

მოსკოვი. რუსეთის გაზის საცდელი მიწოდება თურქეთში ერთი თვის შემდეგ დაიწყება. "ცისფერი ნაკადის" გაზსადენის მშენებლობაზე დანახარჯებმა კი 3,2 მილიარდ დოლარს მიაღწია. იტყობინება ``პრაიმ-ნიუსის`` კორესპონდენტი მოსკოვიდან.

თურქეთის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა ზეკი ჩაქანმა პირადად შეადუღა გაზსადენის ორი მილის შემაერთებელი უკანასკნელი კვანძი, რითაც შავი ზღვის ფსკერზე გამავალი მაგისტრალის მშენებლობა დასრულდა.

446 კილომეტრის სიგრძის ორმაგი მილსადენის 360 კილომეტრიანი წყალქვეშა მონაკვეთი სარეკორდო სიღრმეზე - 2,1 ათას მეტრზე გადის.

ამავე დროს, "ცისფერ ნაკადის" ტექნიკური გამშვები კომპლექსი ჯერ დასრულებული არ არის ; რუსეთის მონაკვეთზე, დაახლოებით, ორ კილომეტრამდე მილია ჩასადები.

გამშვები კომპლექსის პირველი რიგი, რომლის სიმძლავრეა 4 მილიარდი კუბური მეტრი გაზი წელიწადში, ექსპლუატაციაში ნოემბერში ჩაბარდება, პირველ გაზს კი მიმდინარე წლის დეკემბერში გაატარებს.

თურქეთის კომპანია Botas-ის წარმომადგენლები ადრე აცხადებდნენ, რომ განზრახული აქვთ 2003 წელს "ცისფერი ნაკადით", დაახლოებით, 2 მილიარდი კუბმეტრი გაზის იმპორტირება. **პრაიმ-ნიუსი**

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 16 - 22 ოქტომბრის მდგომარეობით



მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

	UK£	US$	€uro	¥en
UK£		0.6453	0.6293	0.0052
US$	1.5496		0.9752	0.008
€uro	1.589	1.0254		0.0082
¥en	193.15	124.67	121.58	

2002 წლის 22 ოქტომბრიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

ევრო	1	2.1146 ლარი
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	1	3.3666 ლარი
შვეიცარიული ფრანკი	1	1.4394 ლარი
აშშ დოლარი	1	2.1751 ლარი
თურქული ლირა	1 000 000	1.3099 ლარი
იაპონური იენი	10	0.1741 ლარი
რუსული რუბლი	1	0.0687 ლარი
აზერბაიჯანული მანათი	1 000	0.4443 ლარი
სომხური დრამი	100	0.2384 ლარი
უკრაინული გრივნა	10	4.0812 ლარი

ეგვიპტე საქართველოსთან თანამშრომლობის გზებს ეძებს

ნინო ნარჩემაშვილი

გუშინ კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში საქართველო-ეგვიპტის მთავრობათაშორისი ეკონომიკური, ტექნიკური და სამეცნიერო თანამშრომლობის კომისიის პირველი სხდომა გაიმართა. **"ეგვიპტე საქართველოს მიიჩნევს კავკასიის კარიბჭედ რეგიონის ქვეყნებში თავისი პროდუქციის ექსპორტირებისათვის. ამის სანაცვლოდ კი, ჩვენს ტერიტორიაზე ვაჭრობის უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმს გთავაზობთ",** - განაცხადა კომისიის სხდომაზე ეგვიპტის საგარეო საქმეთა და სახელმწიფო მინისტრმა ფაიზ აბულ ნაგასიმ. მისი თქმით, ეგვიპტის მხარე დაინტერესებულია საქართველოს მეტალურგიული და ქვანახშირის პროდუქციის, აგრეთვე სასმელი წყლისა და მინიტრაქტორების იმპორტითა და, ეგვიპტის ნავთობმომპოვებელი კომპანიის - EDC-ის მეშვეობით, საქართველოში ნავთობისა და გაზის საბადოების ექსპლუატაციით.

მხარეებმა განიხილეს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, სახელმწიფო საწარმოების, ნავთობის, ტურიზმის, კულტურის, ვაჭრობის, ტრანსპორტის, საბანკო საქმისა და ინვესტიციების, ფარმაცევტიკის, ტელეკომუნიკაციებისა და მედიის სფეროებში თანამშრომლობის პერსპექტივები.

"ტვირთების ერთობლივი გადაზიდვების წარმოებისათვის აუცილებელია, დაჩქარდეს კონტრაქტის გაფორმება ალექსანდრიისა და ფოთის პორტებს შორის. ვაჭრობის სფეროში ამჟამად არსებული დონე არ ასახავს სრულ პოტენციალს. სასურველია, ეგვიპტური პროდუქცია, კერძოდ, ქსოვილები, მზა ტანსაცმელი, საკვები პროდუქტები, ტყავისა და თამბაქოს ნაწარმი ფართოდ შემოვიდეს საქართველოს ბაზარზე. ამის თაობაზე გაგვაჩნია ეგვიპტური სავაჭრო კომპანიების მიერ შემუშავებული ორი პროექტი," - განაცხადა ფაიზ აბულ ნაგასიმ.

ეგვიპტის დელეგაციამ საქართველოს მხარეს განსახილველად შეთანხმების ცხრა პროექტი გადასცა. კომისიის შემდეგი შეხვედრა 2003 წელს კაიროში გაიმართება. თანამშრომლობის ოქმს საქართველოსა და ეგვიპტის სამთავრობო დელეგაციის წარმომადგენლები ხელს დღეს მოაწერენ. დღესვე ფაიზ აბულ ნაგასი საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს შეხვდება და მას ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტის ჰოსნი მუბარაქის წერილს გადასცემს.



შეხვედრა კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

"ეი-ი-ეს თელასი" მოსამართლეს არაობიექტურობაში ადანაშაულებს

"კოკა-კოლა" კი სასამართლოს გადაწყვეტილებით კმაყოფილია

სოფო კვინტრაძე

გუშინ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში "კოკა-კოლა" და "ეი-ი-ეს თელასი" ერთმანეთის პირისპირ წარდგნენ. როგორც უკვე ვიუწყებოდით, ამ ორ ორგანიზაციას შორის დავა ალტერნატიული წყაროდან ელექტროენერგიის მიწოდების გამო წარმოიქმნა. "კოკა-კოლას", რომელიც "თელასის" აბონენტია, ამ უკანასკნელისგან ელექტროენერგია ორი ფიდერით მიეწოდება. თუმცა, როგორც "კოკა-კოლას" წარმომადგენლები აცხადებენ, მათ დენი ხშირად ეთიშებათ, რაც უარყოფითად მოქმედებს ქარხნის საწარმოო პროცესზე. "კოკა-კოლას" იურისტი შალვა გიგაია აცხადებს, რომ გაუფრთხილებელი გათიშვებით მიღებულმა ზარალმა უკვე 350 000 ლარს გადააჭარბა. ყოველივე ამის გამო "კოკა-კოლამ" ალტერნატიული კვების წყაროს გამოძებნა გადაწყვიტა და ამ მიზნით ელექტროენერგიის მარეგულირებელ კომისიასაც მიმართა, რომელმაც დაადგინა, რომ შპს "კოკა-კოლას" უფლება აქვს, ელექტროენერგია მისთვის სასურველი მიმწოდებლისგან მიიღოს. ასეთი მიმწოდებელი სააქციო საზოგადოება "ელექტროგადაცემა" აღმოჩნდა, რომელიც მზად არის, "კოკა-კოლას" ხელშეკრულება გაუფორმოს და ერთი ფიდერით ელექტროენერგია უწყვეტად მიაწოდოს. როგორც შალვა გიგაია აცხადებს, ოთხი წლის მანძილზე "კოკა-კოლამ" ვერ მიაღწია "ეი-ი-ეს თელასისგან" მსგავსი ხელშეკრულების გაფორმებას.

მიუხედავად იმისა, რომ სემეკმა გამოიტანა დასკვნა "კოკა-კოლასთვის" ელექტროენერგიის ალტერნატიული წყაროს მიცემის თაობაზე, "ეი-ი-ეს თელასმა" აღნიშნულზე უარი განაცხადა. "კოკა-კოლამ" დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს მიმართა, რომელმაც გამოიტანა განჩინება იძულების წესით აღსრულების თაობაზე მანამ, სანამ მხარეებს შორის სასამართლო დავა დასრულდებოდა. ეს კი იმას გულისხმობს, რომ ზემოთ აღნიშნული ერთი ფიდერი იძულების წესით უნდა გადაირთოს "ელექტროგადაცემის" ქსელზე.

გუშინ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში შპს "კოკა-კოლას" სამოქალაქო სარჩელის მოსამზადებელი განხილვა შედგა. "კოკა-კოლას" იურისტმა შალვა გიგაიამ სასამართლოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, პროცესში მესამე მხარედ სემეკისა და სააქციო საზოგადოება "ელექტროგადაცემის" ჩართვის თაობაზე. მოსამართლე ნუნუ კვანტალიანმა შუამდგომლობის მხოლოდ ერთი ნაწილი დაკმაყოფილა, ანუ პროცესში მესამე მხარედ სემეკის ჩართვა დაუშვა, ხოლო "ელექტროგადაცემა" მოწმედ დაიბარა.

კვანტალიანმა "ეი-ი-ეს თელასის" იურისტის დავით კაკაბაძის არც ერთი შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. პირველი, რასაც კაკაბაძე ითხოვდა, სასამართლოს განჩინების გაუქმება იყო, იძულების წესით აღსრულებასთან დაკავშირებით. თუმცა, მოსამართლემ შუამდგომლობა დაგვიანებულად მიიჩნია და არ დააკმაყოფილა. კაკაბაძის მეორე შუამდგომლობა მთლიანად სასამართლოს შეწყვეტას ეხებოდა, იმ მოტივით, რომ აღნიშნული დავის გადაწყვეტა სემეკის კომპეტენციაში შედის. მოსამართლე კვანტალიანმა კი განაცხადა, რომ, მართალია, სემეკის კომპეტენციაა "კოკა-კოლასთვის" პირდაპირი მომხმარებლის სტატუსის მინიჭება, მაგრამ ეს არ გამორიცხავს, რომ "კოკა-კოლამ" თავისი უფლებების დასაცავად სასამართლოს მიმართოს. მოსამართლის ამ გადაწყვეტილებას "ეი-ი-ეს თელასის" იურისტმა აბსურდული უწოდა და სასამართლოს ობიექტურობაში ეჭვი შეიტანა.

სხდომის დასასრულს, "ეი-ი-ესმა" კიდევ ერთი შუამდგომლობა დააყენა სასამართლოს წინაშე. დავით კაკაბაძის განცხადებით, სასამართლომ, ფაქტობრივად, "კოკა-კოლას" პირდაპირი მომხმარებლის სტატუსი მიანიჭა, ანუ სემეკის კომპეტენციაში შეიჭრა, ამდენად აღნიშნულ სამოქალაქო დავაში "ეი-ი-ეს თელასი" უკვე აღარ წარმოადგენს სათანადო მოპასუხეს. პირდაპირი მომხმარებლის სტატუსის მინიჭებით, "კოკა-კოლას" უფლება ეძლევა, ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარზე მისთვის სასურველი დისტრიბუტორისგან იყიდოს ელექტროენერგია. "კოკა-კოლას" წარმომადგენლები აცხადებენ, რომ "ეი-ი-ეს თელასს" არ სურს, დაკარგოს ისეთი კარგი და მსხვილი გადამხდელი, როგორიცაა "კოკა-კოლაა" და სწორედ ამითაა განპირობებული მათი უკმაყოფილება. თავის მხრივ, "ეი-ი-ეს თელასი" მიაჩნია, რომ მას შემდეგ, რაც "კოკა-კოლას" "თელასმა" აღრიცხვიანობა მოუწესრიგა, აღმოჩნდა, რომ ქარხანა სამი-ოთხჯერ იმაზე მეტ ელექტროენერგიას მოიხმარს, ვიდრე მანამდე მოიხმარდა. დავით კაკაბაძე აცხადებს, რომ "კოკა-კოლას" დაჟინებული მოთხოვნა, ალტერნატიული წყაროს მოპოვების თაობაზე, სწორედ ელექტროენერგიის საფასურის არგადახდის სურვილით არის მოტივირებული.

სასამართლოს ძირითადი სხდომა ნოემბრის პირველ რიცხვებში გაიმართება. შესაბამისად, მოსამართლის გადაწყვეტილება მოგვიანებით გახდება ცნობილი.

ქართველი მეწარმეები სტაჟირებას ამერიკაში გაივლიან

გუშინ სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" აშშ-ს საელჩოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებისა და აშშ-ს არაკომერციული ორგანიზაციის - "პროექტ ჰარმონიის" - წარმომადგენლებმა საზოგადოებრივი კავშირების პროგრამის დასკვნითი ეტაპის დაწყების პრეზენტაცია მოაწყვეს.

სოფიკო ოხანაშვილი

საზოგადოებრივი კავშირების პროგრამას საქართველოში აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის განათლებისა და კულტურის საქმეთა ბიურო აფინანსებს. ეს პროგრამა ქართველ მეწარმეებსა და თავისუფალი პროფესიული ჯგუფების წარმომადგენლებს ამერიკაში სამიდან ხუთ კვირამდე სტაჟირებასა და ტრენინგს სთავაზობს. პროგრამა მოიცავს სემინარებსა და შეხვედრებს. პროგრამის მონაწილეები მასპინძელ ამერიკულ ოჯახებში იცხოვრებენ. კონკურსისა და გასაუბრების საფუძველზე შერჩეული მეწარმეები აშშ-ში სტაჟირებას თავიანთი კომპანიების მსგავსი პროფილის ორგანიზაციებში გაივლიან. საზოგადოებრივი კავშირების პროგრამის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, აშშ-დან საქართველოში დაბრუნებულნი აქტიურად ჩაერთონ სემინარებისა და ტრენინგების იმ პროგრამებში, რომლებსაც ორგანიზაცია "პროექტი ჰარმონია" შესთავაზებს.

"პროექტი ჰარმონია" 1985 წელს დაფუძნდა. ამჟამად, ყოფილი საბჭოთა კავშირის ათ ქვეყანაში უკვე 340 პროგრამაა განხორციელებული. საქართველოში ეს პროექტი 1997 წლიდან ამოქმედდა. ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან აშშ-ში, დაახლოებით, ათი ათასმა პროფესიონალმა და მეწარმემ გაიარა სტაჟირება, აქედან 450 საქართველოს მოქალაქეა.

2002 წლის პროექტის თანახმად, აშშ-ში გასაგზავნად შვიდი ათკაციანი ჯგუფი შეირჩევა, აქედან, ოთხი პროფესიული და სამი – ბიზნესჯგუფი (პროფესიული ჯგუფები: 1. არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერები იმერეთიდან და გურიიდან; 2. ნარკომანიის პრევენციისა და მკურნალობის ჯგუფები; 3. სოფლის მეურნეობის/კვების მრეწველობის ჯგუფი შიდა ქართლიდან და 4. ბიბლიოთეკის მმართველები ქვეყნის მასშტაბით. ბიზნესჯგუფები: 1. მეწარმეები იმერეთიდან, რაჭიდან და მცხეთა-მთიანეთიდან; 2. მეწარმეები თბილისიდან და 3. მეწარმეები ქვეყნის მასშტაბით).

"ამ პროექტის გასახორციელებლად და დასახული მიზნების მისაღწევად სამ ორგანიზაციასთან ვთანამშრომლობთ - აშშ-ს საელჩოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებასთან, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის განათლებისა და კულტურის ბიუროსთან და იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც აშშ-ში ქართველ პროფესიონალებსა და მეწარმეებს უმასპინძლებენ", - განაცხადა "პროექტი ჰარმონიის" მენეჯერმა ტიმ ოდენვალდმა.

ამ ეტაპზე პროფესიონალთა ოთხივე ჯგუფი და ერთი ბიზნესჯგუფი უკვე დაკომპლექტებულია, მიმდინარეობს დანარჩენი ორი ბიზნესჯგუფის შემადგენლობის შერჩევა. ტიმ ოდენვალდის ინფორმაციით, გუშინდელი პრეზენტაციით აშშ-ს არაკომერციულმა ორგანიზაცია "პროექტმა ჰარმონიამ" 2002 წლის ბოლო ეტაპის განხორციელება დაიწყო, რაც დარჩენილი ორი ბიზნესჯგუფის შერჩევას გულისხმობს. ბიზნესჯგუფების დაკომპლექტება ორი განსხვავებული პროგრამით ხორციელდება – პირველი გულისხმობს ჯგუფის დაკომპლექტებას თბილისში მოღვაწე მეწარმეებით, მეორე პროგრამის თანახმად კი, ჯგუფისთვის მეწარმეებს მთელი საქართველოს მასშტაბით შეარჩევენ. პროგრამაში მონაწილეობის მსურველი რამდენიმე პირობას უნდა აკმაყოფილებდეს. **"უნდა ჰქონდეს არჩეულ სფეროში, მინიმუმ, ორი წლის მუშაობის გამოცდილება და ასევე, აშშ-დან ჩამოსვლის შემდეგ ათი წელი მაინც შრომისუნარიანი უნდა იყოს",** - აღნიშნა ტიმ ოდენვალდმა.

ჯერჯერობით აშშ-ში 2002 წელს შერჩეული არც ერთი ჯგუფი არ გამგზავრებულა. პირველად სტაჟირების გასავლელად ამერიკაში შიდა ქართლის სოფლის მეურნეობის და კვების მრეწველობის წარმომადგენლებისგან დაკომპლექტებული პროფესიული ჯგუფი გაემგზავრება. ჯგუფი საქართველოს მიმდინარე წლის ნოემბერში დასტოვებს.

რაც შეეხება დარჩენილი ორი ბიზნესჯგუფის დაკომპლექტებას, შერჩევა ოთხი ნოემბრიდან დაიწყება. ოთხიდან შვიდი ნოემბრის ჩათვლით საზოგადოებრივი კავშირების პროგრამაში მონაწილეობის მიღების მსურველთათვის ჩატარდება კონსულტაციები, ანკეტის შევსების ბოლო ვადა 13 ნოემბერს იწურება, ხოლო 15-17 ნოემბერს მეწარმეებს გასაუბრება ჩაუტარდებათ. ნოემბერში შერჩეული ჯგუფები აშშ-ში მომავალ წელს გაემგზავრებიან – მთელი საქართველოს მასშტაბით მოქმედი მეწარმეებით დაკომპლექტებული ჯგუფი 2003 წლის აპრილში გაივლის აშშ-ში სტაჟირებას, ხოლო თბილისელი მეწარმეები – 2003 წლის სექტემბერში.

"პროექტი ჰარმონია" ნოემბერში 20 ქართველ მეწარმეს გამოავლენს.

გოგიტა ბახაიძის ფოტო

საფრანგეთი სოციალიზმს ვერ ელევა

თორნიკე შარაშენიძე

საფრანგეთის მთავრობამ განაცხადა, რომ იგი არ ჩქარობს პრივატიზაციის განხორციელებას. პროგრამა, რომელსაც პრიორიტეტი ენიჭებოდა მომავალი ივნისისათვის დანიშნული საპარლამენტო არჩევნების წინ, ალბათ, კარგა ხნით გადაიდება.

ახლა პარიზი სულ ცოტა ექვსი თვით მაინც დააყოვნებს თავისი წილის გაყიდვას "ერ ფრანსში." ამის მიზეზია ავიაკომპანიათა აქციების დაცემა და აგრეთვე ერაყთან მომავალი ომი, რომელიც ავიასექტორზე უთუოდ მოახდენს უარყოფით გავლენას.

ივლისის დასაწყისში საფრანგეთის მთავრობამ განაცხადა, რომ მას გადაწყვეტილი ჰქონდა 20 პროცენტამდე დაეყვანა თავისი წილი "ერ ფრანსში," სადაც დღეს იგი 54,4 პროცენტს აკონტროლებს. ეს პრივატიზაციის პროგრამის ერთ-ერთი უმთავრესი ღერძი უნდა ყოფილიყო. კომპანიის აქციების გაყიდვა მიმდინარე წლის ბოლოს უნდა დაწყებულიყო. "ერ ფრანსის" გარდა იგეგმება წილების გაყიდვა ენერგეტიკის სფეროშიც. კერძოდ, ესენი იქნებიან კომპანიები "ელექტრისიტე დე ფრანს" და "გაზ დე ფრანს." განიხილება 9,5 პროცენტიანი წილის გაყიდვის შესაძლებლობა "კრედიტ ლიონეს" ბანკში.

ფინანსთა მინისტრის ფრანსის მერის თქმით, "ელექტრისიტეს" გაყიდვას ევროკომისია აფერხებს, რომელიც აცხადებს, რომ კომპანიამ 900 მილიონი ევრო უკანონოდ მიიღო სახელმწიფო სუბსიდიის სახით და მან ჯერ ეს თანხა უნდა დაფაროს. "ერ ფრანსი," როგორც უკვე აღვნიშნეთ, მანამდე არ უნდა გაიყიდოს, სანამ ავიაკომპანიათა აქციები ნორმალურ მაჩვენებლებს არ დაუბრუნდება. რაც შეეხებაკიდევ ერთ საპრივატიზაციო კომპანიას "ფრანს ტელეკომს," მერი აცხადებს, რომ სანამ ეს კომპანია (სახელმწიფო მასში 55 პროცენტს აკონტროლებს) დახმარებებს არ მიიღებს და ფეხზე არ დადგება, არანაირ პრივატიზაციაზე საუბარი არ შეიძლება. კავშირგაბმულობის გიგანტს 70 მილიარდი ვალი აქვს.

მთავრობის ეს გადაწყვეტილება უთუოდ დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევს ევროკავშირში, სადაც საფრანგეთს ისედაც სასტიკად აკრიტიკებენ ბიუჯეტის უზარმაზარი დეფიციტის გამო. პრივატიზაცია ერთადერთი გამოსავალი იქნებოდა შექმნილი ვითარებიდან და მისი გადავადება ბიუჯეტზე სასიკეთოდ ნამდვილად არ იმოქმედებს.

გარდა ამისა, პროგრამის გადავადება კიდევ ერთხელ დააეჭვებს ყველას იმაში, რომ შესაძლოა ამ მთავრობას სულაც არ სურს პრივატიზაცია და კერძო ინიციატივისთვის ხელის შეწყობა. საფრანგეთი კიდევ დიდხანს დარჩება სოციალისტურ ქვეყნად, სადაც თითქმის ყველაფერი მთავრობის ხელშია და ეკონომიკა კუს ნაბიჯით მიიწევს წინ.

ადგილობრივი არჩევნები სომხეთში

სომხეთის რევოლუციური ფედერაცია "დაშნაკცუტიუნი" ბოლო დროს სულ უფრო მეტად უთმობს პოზიციებს რესპუბლიკურ პარტიას

სომხეთში კვირას ჩატარებული ადგილობრივი არჩევნების შედეგები ჯერჯერობით არ გამოქვეყნებულა, თუმცა, წინასწარი შეფასებით, არჩევნებში მმართველმა რესპუბლიკურმა პარტიამ უნდა გაიმარჯვოს, რომელსაც მხარს მთელი სახელმწიფო აპარატი უჭერს.

დღეისათვის ცნობილია, რომ ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 46 პროცენტმა. ამის შესახებ ორშაბათს სომხეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებმა განაცხადეს. სააგენტო "რიანოვოსტის" ცნობით, არჩევნები სერიოზული ექსცესებისა და დარღვევების გარეშე წარიმართა. ამომრჩევლები ყველაზე ხშირად საარჩევნო სიებში არაზუსტი მონაცემების გამო ჩიოდნენ.

სომხეთის მოსახლეობას მუნიციპალიტეტების 654 ხელმძღვანელი და მუნიციპალური საბჭოების 645 წევრი უნდა აერჩია. ამ თანამდებობებზე წარდგენილ კანდიდატთა საერთო რიცხვმა, დაახლოებით, 5,5 ათასი შეადგინა.

არჩევნებზე დამკვირვებლის როლს ათასამდე ადგილობრივი და რამდენიმე ათეული უცხოელი დამკვირვებელი, მათ შორის, ევროპის საბჭოს დელეგაციაც ასრულებდა.

ადგილობრივ არჩევნებში დამაჯერებელ გამარჯვებას მმართველ რესპუბლიკურ პარტიას უწინასწარმეტყველებდნენ. ამ პარტიას ამჟამად პრემიერ-მინისტრი ანდრანიკ მარქარიანი ხელმძღვანელობს. პარტიის მთავარ პოლიტიკურ კაპიტალს სახელმწიფო სტრუქტურებზე კონტროლი წარმოადგენს, რაც ადგილობრივ არჩევნებში გამარჯვების მთავარ საშუალებად უნდა იქცეს.

ადგილობრივი არჩევნები სომხეთში უკვე მესამედ იმართება. წინა არჩევნებშიც, რომელიც 1999 წლის ოქტომბერში ჩატარდა, გამარჯვება რესპუბლიკურმა პარტიამ მოიპოვა. მაშინ პარტიის ლიდერი პრემიერ-მინისტრი ვაზგენ სარქისიანი იყო, რომელიც არჩევნებიდან რამდენიმე დღეში სომხეთის პარლამენტში დაცხრილეს.

სომხეთის რესპუბლიკური პარტიის უპირატესობა ადგილობრივ არჩევნებში იმდენად არა ამ პარტიის პოპულარობის შედეგია, რამდენადაც სხვა, ოპოზიციური პარტიების სისუსტისა და არაორგანიზებულობის გამოხატულება. საქმე ისაა, რომ სომხეთის პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა სულაც არ განიხილავს ადგილობრივ არჩევნებს, როგორც ეროვნული მასშტაბით ძალაუფლების მოპოვების საშუალებას. სომხური პარტიები საყოველთაო საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებაზე აკეთებენ აქცენტს.

მმართველი პარტიისა და მთავრობის მომხრეების პოზიციებს ადგილობრივ არჩევნებში კიდევ უფრო განამტკიცებს ის ფაქტი, რომ, პოლიტიკურ პარტიებზე უფრო მეტად, მოსახლეობა დამოუკიდებელ კანდიდატებს ემხრობა. ამ დამოუკიდებელი კანდიდატების უმრავლესობა კი სწორედ ხელისუფლების პოლიტიკური კურსის მომხრედ გამოდის.

სომხური მედიის ყურადღება, ძირითადად მიპყრობილია ერევნის ცენტრალური კენტრონის ოლქისაკენ, სადაც მმართველ ხელმძღვანელს, არარატ ზურაბიანს ამ ოლქის ლიდერობას რესპუბლიკური პარტიის კანდიდატი ეცილება. არარატ ზურაბიანი სომხეთის ყოფილი პრეზიდენტის ლევონ ტერ-პეტროსიანის მომხრედ ითვლება და, რასაკვირველია, სომხეთის ახლანდელ ხელისუფლებაში დიდი მხარდაჭერით არ სარგებლობს.

კვირას გამართულ არჩევნებს, ალბათ, გარკვეული ცვლილებები მოჰყვება სომხეთის ცენტრალურ ხელისუფლებაშიც. ადგილობრივი არჩევნებით უკმაყოფილო შეიძლება დარჩეს სომხეთის რევოლუციური ფედერაცია "დაშნაკცუტიუნი", რომელსაც ყოველთვის ჰქონდა პრეზიდენტ კოჩარიანის ფავორიტი პარტიის პრეტენზია, მაგრამ ბოლო დროს სულ უფრო მეტად უთმობს პოზიციებს რესპუბლიკურ პარტიას. რესპუბლიკელთა წარმატება კოჩარიანის მხარდაჭერისთვის ბრძოლაში, ადგილობრივი არჩევნების შემდეგ, ალბათ, კიდევ უფრო შესამჩნევი გახდება.

ჩრდილოეთ კორეის ბირთვული არსენალი - კიდევ ერთი საფრთხე მსოფლიოსთვის

ჩრდილოეთ კორეის მიერ ბირთვული იარაღის ფლობის აღიარების გამო შეერთებული შტატები ფხენიანთან ორმხრივი ხელშეკრულების გაუქმებას გეგმავს, რაც კიდევ უფრო დაძაბავს ვითარებას აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში.

ლევან ღირსიაშვილი



ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის ლიდერები მოლაპარაკების მაგიდასთან

შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა განაცხადა, რომ შეთანხმება ჩრდილოეთ კორეის რესპუბლიკასთან ბირთვული შეიარაღების შესახებ გაუქმებულია და ვაშინგტონმა უნდა გადახედოს ამ ქვეყნისათვის დახმარების გაგრძელების საკითხს. პაუელის თქმით, პირველ რიგში, ვაშინგტონი მოკავშირეებთან კონსულტაციებს გამართავს, ვიდრე 1994 წლის შეთანხმების ბედს საბოლოოდ გადაწყვეტს.

ამ ხელშეკრულების თანახმად, შეერთებული შტატები ჩრდილოეთ კორეას უზრუნველყოფდა საწვავით და ეხმარებოდა ელექტროსადგურების მშენებლობაში. ამის სანაცვლოდ ჩრდილოეთ კორეა უარს ამბობდა ბირთვული პროგრამების დამუშავებაზე. **"თუ ორ მხარეს შორის არსებობს შეთანხმება და ერთ-ერთი აცხადებს, რომ მას არღვევს, მაშინ ასეთ შეთანხმებას ფასი ეკარგება,"** - განაცხადა კოლინ პაუელმა. აღსანიშნავია, რომ შეერთებული შტატების მხრიდან 1994 წლის შეთანხმების ბათილად გამოცხადება სიტუაციას კიდევ უფრო გაართულებს და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რეგიონში დაძაბულობის სერიოზულ კერას შექმნის. იზოლაციაში აღმოჩენილი ჩრდილოეთ კორეა კიდევ უფრო საშიში გახდება და მისი ნაბიჯების წინასწარმეტყველება საკმაოდ გართულდება.

ამ ეტაპზე კი ფხენიანში ორი კორეის წარმომადგენლებს შორის მოლაპარაკებები გრძელდება. რასაკვირველია, ჩრდილოეთ კორეის ბირთვული არსენალი, პირველ რიგში, სწორედ სამხრეთ კორეის შეშფოთების საგანს წარმოადგენს. მოლაპარაკებები ორ კორეას შორის ფხენიანის აღიარებიდან მეორე დღესვე დაიწყო. შეხვედრა საკმაოდ დაძაბულ რეჟიმში მიმდინარეობდა. თუმცა, გუშინ ცნობილი გახდა ოფიციალური ფხენიანის განცხადება იმის თაობაზე, რომ ჩრდილოეთ კორეა მზად არის, განაახლოს მოლაპარაკებები ვაშინგტონთან და ამით ხელი შეუწყოს დაძაბული ვითარების განმუხტვას. თუ რას ითვალისწინებს ჩრდილოეთ კორეის ეს ე.წ. კომპრომისი, ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

პარალელურად, შეერთებული შტატების ოფიციალური წარმომადგენელი ბირთვული შეიარაღების საკითხებში - ჯეიმს კელი იაპონიაში იმყოფება და ამ ქვეყნის ხელისუფლებასთან კონსულტაციებს მართავს. ამერიკის მიზანია, იაპონასთან ერთად, შეიმუშაოს ზეწოლის ის ღონისძიებები, რაც ჩრდილოეთ კორეას უარს ათქმევინებს ბირთვული პროგრამების გაგრძელებაზე. კელის განცხადებით, ჩრდილოეთ კორეამ დაუყოვნებლივ უნდა გაანადგუროს ბირთვული იარაღი და ბირთვული ობიექტების დაშლა და დემონტაჟი მოახდინოს; ამასთანავე, ეს ღონისძიება ყველასათვის ღია და გამჭვირვალე უნდა იყოს. შეერთებული შტატები მხოლოდ ამ შემთხვევაში აღიარებს ჩრდილოეთ კორეის კომუნისტურ რეჟიმთან მოლაპარაკებების შესაძლებლობას.

მოკლედ

აშშ. შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრის მოადგილემ - ჯიმი გურულიმ განაცხადა, რომ ამერიკელებმა უკვე დაადგინეს "ალ ქაიდას" დაფინანსების ყველა არხი. გაზეთ "ვორლდ ტრიბუნის" ცნობით, შეერთებული შტატების სპეცსამსახურებს ხელთ აქვთ იმ 12 ფინანსური წყაროს სრული სია, რომლებიც ტერორისტებს აფინანსებენ. მათი უმრავლესობა საუდის არაბეთშია დაფუძნებული. ახალი ინფორმაცია ამერიკის მთავრობას ტერორისტების ფინანსური ანგარიშების გაყინვაში დაეხმარება. დღემდე ამერიკელებმა უკვე გაყინეს, დაახლოებით, 112 მილიონი დოლარი, რაც, გურულის განცხადებით, მხოლოდ მცირე ნაწილია იმ ფონდებისა, საიდანაც "ალ ქაიდა" ფინანსდება. გურული გუშინ ევროპის ქვეყნებში გაემგზავრა, სადაც მოლაპარაკებებს გამართავს ტერორისტების დაფინანსებისათვის ხელის შემშლელი სისტემის შესაქმნელად.

■ ■ ■

რუსეთი. რუსული ნავთობკომპანია "ლუკოილი" არ მიიღებს მონაწილეობას ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობაში. ამის შესახებ "ლუკოილის" პრეზიდენტმა ვაგიტ ალეკპეროვმა განაცხადა. მისი თქმით, "ლუკოილი" თავისი რესურსების კონცენტრირებას იმ პროექტებში აპირებს, რომლებშიც თავად ასრულებს ოპერატორის როლს. ალეკპეროვის ცნობით, აზერბაიჯანში მოპოვებული ნავთობის ექსპორტირებას "ლუკოილი" სამი მიმართულებით განახორციელებს – ბაქო-ნოვოროსიისკის, ბაქო-სუფსისა და, შესაძლოა, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენების საშუალებით.

■ ■ ■

სომხეთი. პრეზიდენტმა რობერტ კოჩარიანმა სომხეთში განლაგებული რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის ოპერატიული ჯგუფის მეთაური, გენერალ-მაიორი ვიაჩესლავ აბოიმოვი "სამხედრო სამსახურისათვის" მედლით დააჯილდოვა.

■ ■ ■

უკრაინა. რუსი ბიზნესმენი კონსტანტინ გრიგორიშინი, რომელსაც უკრაინელი სამართალდამცველები იარაღისა უკანონოდ ტარებასა და ნარკოტიკების შენახვაში ადანაშაულებდნენ, საავადმყოფოში გადაიყვანეს. გუშინწინ გრიგორიშინი წინასწარი პატიმრობიდან გაათავისუფლეს, მაგრამ მას სასწრაფო მკურნალობა დასჭირდა. გრიგორიშინს გულის თანდაყოლილი მანკი აქვს და წინასწარი დაკავების საკანში ყოფნამ, მისი თანაშემწეების ცნობით, მის ჯანმრთელობაზე ცუდად იმოქმედა. გრიგორიშინის "არაპროფესიონალურად" დაკავების გამო პრეზიდენტმა კუჩმამ უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ნიკოლაი ჯიგა თანამდებობიდან გაათავისუფლა.

■ ■ ■

პალესტინა. პალესტინის ადმინისტრაციის ლიდერმა იასირ არაფატმა პალესტინის ავტონომიის ტერიტორიაზე სადამ ჰუსეინის მხარდამჭერი მიტინგებისა და მანიფესტაციების ჩატარება აკრძალა. ამის შესახებ ინფორმაცია, პალესტინურ წყაროებზე დაყრდნობით, არაბულმა გაზეთმა "აშარქ ალ აუსათმა" გაავრცელა. გაზეთის ცნობით, აკრძალვა უკვე ძალაში შევიდა და პალესტინის უსაფრთხოების სამსახურმა შესაბამისი განკარგულებებიც მიიღო. არაფატი კიდევ უფრო შორს წავიდა და პალესტინის ტერიტორიაზე არსებული მეჩეთების იმამებს ქადაგებების დროს აშშ-სა და დასავლეთის კრიტიკა აუკრძალა. დამკვირვებელთა აზრით, არაფატი ყველა ღონეს ხმარობს, რათა შეერთებული შტატების ადმინისტრაციის სიმპათია და მხარდაჭერა მოიპოვოს. არაფატს ვაშინგტონის მხარდაჭერა კი ისრაელთან კონფლიქტში წარმატებების მისაღწევად ესაჭიროება.

■ ■ ■

ფილიპინები. წყნარი ოკეანის რეგიონში ტერორისტული აქტების სერიას დასასრული არ უჩანს. კვირას, ღამით ფილიპინების სამხრეთში ძლიერი აფეთქების შედეგად ერთი ადამიანი დაიღუპა და თვრამეტი დაშავდა. დაზუსტებული მონაცემებით, ტერაქტი ქალაქ ზამბოანაში, ქრისტიანული ტაძრის ტერიტორიაზე განხორციელდა. კონსერვის ქილაში ჩამონტაჟებული ასაფეთქებელი მოწყობილობა ტერორისტების მიერ დატოვებულ ველოსიპედზე იყო მიმაგრებული. დამკვირვებელთა და სამართალდამცავთა ვარაუდით, მსხვერპლი გაცილებით მეტი იქნებოდა, რადგან კვირაობით ქრისტიანულ ეკლესიაში ასობით მოქალაქე შედის ხოლმე. მაგრამ, საბედნიეროდ, იმ დღეს მოსულმა ძლიერმა წვიმამ მლოცველთა რიცხვი საგრძნობლად შეამცირა.

ეს ფილიპინებზე ამ თვეში რიგით მეხუთე ტერაქტია. ჯერჯერობით, არც ერთი ტერორისტი არ არის დაპატიმრებული. ხელისუფლება კი კვლავ ვარაუდობს, რომ აღნიშნული ტერაქტი ორგანიზაცია "აბუ საიაფმა" განახორციელა, თუმცა, ამ დაჯგუფების წინააღმდეგ სამხილები ჯერ არ არსებობს.

■ ■ ■

ვენესუელა. ქვეყნის სპეცსამსახურებმა ჩაშალეს პრეზიდენტ უგო ჩავესზე თავდასხმის მცდელობა. თავდასხმა ვენესუელის დედაქალაქ კარაკასის აეროპორტში უნდა მომხდარიყო, მაშინ, როდესაც პრეზიდენტის თვითმფრინავი საფრენ ბილიკზე დაეშვებოდა. უგო ჩავესი კარაკასში ევროპული ტურნედან ბრუნდებოდა. თვითმფრინავის პილოტმა დროულად მიიღო შეტყობინება მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ და თვითმფრინავს ფრენის მიმართულება შეუცვალა. პრეზიდენტი მარაკაიეს სამხედრო-საჰაერო ბაზაზე დაეშვა. შეთქმულების არსებობისა და მისი დროულად აღკვეთის ფაქტი მოგვიანებით თავად პრეზიდენტმა უგო ჩავესმა დაადასტურა.

■ ■ ■

გერმანია. ქვეყნის კონსტიტუციის შესაბამისად, გერმანიის ფედერალურმა პრეზიდენტმა იოჰანეს რაუმ გერმანიის მთავრობა დაითხოვა. იმავდროულად, მან ბუნდესტაგში შეიტანა წინადადება გერჰარდ შრიოდერის ფედერალურ კანცლერად არჩევის თაობაზე. დღეს გერმანიის პარლამენტში კანცლერის არჩევნები შედგება, რომელიც, არჩევნებში შრიოდერის გამარჯვების შემდეგ, უბრალო ფორმალობას წარმოადგენს.

■ ■ ■

ანკარა. თურქეთში გაჭიანურებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა ანკარა აიძულა, რომ გადახედოს თავის პოზიციებს უშუალოდ "შახ დენიზის" გაზის პროექტთან დაკავშირებით. როგორც ``კავკას-პრესს`` საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციიდან (GIOC) აცნობეს, თურქეთმა აწარმოა ახალი გათვლები და მიიღო გადაწყვეტილება რუსეთსა და ირანთან მთელი რიგი მსხვილი გაზის პროექტების გადახედვის შესახებ.

კორპორაციაში აღნიშნავენ, რომ თურქეთმა ამცნო თავის პარტნიორებს უახლოეს 10-15 წელიწადში ბუნებრივი გაზის იმპორტის 10 მილიარდი კუბმეტრით შემცირების თაობაზე. თუმცა, როგორც კორპორაციაში აცხადებენ, ეს არ შეეხება "შახ-დენიზის" პროექტს და ანკარა მზადაა აზერბაიჯანისგან შეისყიდოს წელიწადში 6,6 მილიარდი კუბური მეტრი გაზი.

სააგენტოს წყაროები კატეგორიულად გამორიცხავენ "შახ-დენიზის" პროექტის რეალიზაციაზე ერაყში ამერიკის ოპერაციის შესაძლო ნეგატიურ გავლენას. კორექტივები შეეხო მხოლოდ მილსადენის გაყვანის ვადებს: ადრე გამოცხადებული თარიღის ნაცვლად, გაზსადენის გაშვება ნავარაუდევია 2006 წლის დასაწყისისთვის. **კავკას-პრესი**

ჩერნოგორიის მოსახლეობა დასავლეთთან ინტეგრაციის მომხრეა

ჩერნოგორიაში ჩატარებული არჩევნების შედეგების მიხედვით, გამარჯვება სერბიისაგან სრული დამოუკიდებლობის მომხრე პარტიამ მოიპოვა.

ლევან ღირსიაშვილი

ჩერნოგორიის პრეზიდენტი მილო ჯუკანოვიჩი

ჩერნოგორიაში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების წინასწარი შედეგების მიხედვით, გამარჯვება რესპუბლიკის სრული დამოუკიდებლობის მომხრეებმა მოიპოვეს. სწორედ ამ არჩევნებზე იყო დამოკიდებული ორი რესპუბლიკის – სერბიისა და ჩერნოგორიის შემდგომი ურთიერთობები. არჩევნებში ერთმანეთს ორი ძირითადი ძალა დაუპირისპირდა. ერთის მხრივ, ჩერნოგორიელების ხმებისათვის იბრძოდა პრეზიდენტ მილო ჯუკანოვიჩის დემოკრატიული პარტია, რომელიც უარს აცხადებს სერბიასთან ერთად ფედერაციაში ყოფნაზე და დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის იბრძვის, მეორეს მხრივ, არჩევნებში წარმატების მიღწევას ცდილობდა პრედრაგ ბულატოვიჩის სახალხო სოციალისტური პარტია, რომელსაც სერბიასთან არსებული კავშირების კიდევ უფრო გაძლიერება სურს.

ჩერნოგორიის კანონმდებლობის მიხედვით, პარტიას შეუძლია პარლამენტში უმრავლესობის მოპოვება, თუ იგი საკანონმდებლო ორგანოში 38 მანდატის მიღებას შეძლებს. ჯუკანოვიჩის პარტიამ კი, წინასწარი შედეგების მიხედვით, პარლამენტში 39 ადგილი მოიპოვა. ასევე წინასწარი შედეგებით, ჯუკანოვიჩის მთავარ ოპოზიციურ ძალას - სახალხო სოციალისტურ პარტიას ოცდაათი საპარლამენტო მანდატი ერგო. მესამე ოპოზიციურმა დაჯგუფებამ – ლიბერალურმა ალიანსმა მხოლოდ ოთხი ადგილი მიიღო, დარჩენილი ორი მანდატი კი ეთნიკური ალბანელების ინტერესების დამცავმა პარტიამ მოიპოვა.

აღსანიშნავია, რომ, თუკი ეს შედეგები საბოლოო აღმოჩნდა, ყოფილი იუგოსლავიის ამ რესპუბლიკაში პოლიტიკური ვითარების გაურკვევლობას საბოლოოდ დაესმება წერტილი.

ჩერნოგორიაში არჩევნები პრეზიდენტ ჯუკანოვიჩის გადადგომის შემდეგ გაიმართა, მისი გადადგომა კი რესპუბლიკაში პოლიტიკური ვითარების დაძაბვამ განაპირობა. პოლიტიკური დაძაბულობის ზრდის მიზეზად ჯუკანოვიჩის მიერ სერბიასთან მარტში ხელმოწერილი ფედერალური შეთანხმება იქცა, რომლის მიხედვითაც ჩერნოგორიას დამოუკიდებლობის მიღება სამი წლის შემდეგ შეეძლება. ამან ოპოზიციური ძალების საპროტესტო გამოსვლების დაწყებას დაუდო საფუძველი. ლიბერალურმა ალიანსმა, რომელიც ქვეყნის დაუყოვნებელი დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამოდის, მთავრობის შემადგენლობიდან თავისი წევრი მინისტრები გამოიყვანა. ჯუკანოვიჩი მდგომარეობის გართულებას მოერიდა და გადადგა, რის შემდეგაც ქვეყანაში საპარლამენტო არჩევნები გაიმართა.

კვირას ჩატარებულმა არჩევნებმა ყველას დაანახა, რომ ჩერნოგორიის მოსახლეობამ მხარი კვლავ ჯუკანოვიჩს დაუჭირა.

"მე ვიმედოვნებ, რომ ხვალიდან ჩერნოგორიაში შესაძლებელი გახდება დემოკრატიული, რეფორმატორული და კომპეტენტური მთავრობის შექმნა. დღეს ჩერნოგორიას სტაბილური ხელისუფლება სჭირდება, რომელსაც შეეძლება ეფექტურად გაუძღვეს ქვეყანას უახლოესი ოთხი წლის განმავლობაში. მე ვიმედოვნებ, რომ ჩვენ ასეთ მთავრობას შევქმნით და ჩერნოგორია გააგრძელებს სვლას ევროპული ინტეგრაციისაკენ," - განაცხადა მილო ჯუკანოვიჩმა არჩევნების დასრულების შემდეგ. მისი მოწინააღმდეგეები არც კი დაელოდნენ ოფიციალური შედეგების გამოქვეყნებას და დამარცხება აღიარეს.

სახალხო სოციალისტური პარტიის პრესმდივანმა დრაგან კოპრივიცამ განაცხადა, რომ ჯუკანოვიჩის პარტიამ არჩევნებზე არატრადიციული პოლიტიკური და საარჩევნო ტექნოლოგიები გამოიყენა, რის შედეგადაც ბულატოვიჩის მომხრეთა, დაახლოებით, ხუთმა პროცენტმა არჩევნებში მონაწილეობა ვერ მიიღო.

ლიბერალური ალიანსის ლიდერმა მიოდრაგ ჟივკოვიჩმა კი განაცხადა, რომ მისი პარტიის დამარცხებამ, საბოლოოდ, ჩერნოგორიის დამარცხება გამოიწვია. **"ქვეყანას სამომავლოდ კარგი არაფერი ელის, მაგრამ ასეთია თავად ჩერნოგორიელების არჩევანი,"** - დასძინა ჟივკოვიჩმა.

ამდენად, ჩერნოგორიელებმა არჩევანი გააკეთეს. მათ უარი თქვეს მემარცხენე და მემარჯვენე რადიკალიზმზე და ხმა ზომიერებით გამორჩეულ პოლიტიკურ ძალას მისცეს. შეიძლება ითქვას, რომ ეს გარდამავალ პერიოდში მყოფი ქვეყნისათვის სერიოზული მიღწევაა.

„ბატონები" - თავდაცვის აკადემიაში

მოკლედ

თბილისი. პრეზიდენტი შევარდნაძე ორშაბათის ტრადიციულ რადიოინტერვიუში მიესალმა თბილისში გაერო-ს ბავშვთა ფონდის კავკასიის წარმომადგენლობის დაარსებას, რომელსაც ისმაილ ოლდ შეიხ ახმედი უხელმძღვანელებს. შევარდნაძის თქმით, ამ წარმომადგენლობის გახსნა მრავალი პრობლემის გადაწყვეტას შეუწყობს ხელს, პირველ რიგში კი - უპატრონო ბავშვებში ინფექციური დაავადებებისა და იოდის დეფიციტის პრობლემების მოგვარებას.

„როდესაც მე საქართველოში ჩამოვედი, იოდიზებული მარილის ისეთი დეფიციტი იყო, რომ ორჯერ მივმართე თხოვნით გერმანიის კანცლერს, რათა მას გამოეგზავნა. იმ პერიოდში ჩვენ ათასობით ბავშვი ვიხსენით იმ საშინელი დაავადებისგან, რომელსაც იოდიზებული მარილის ნაკლებობა იწვევს“, - განაცხადა შევარდნაძემ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ”საქსტანდარტი“ დედაქალაქის სავაჭრო ქსელში მალფუჭებადი პროდუქტების შემოწმებას აგრძელებს. „საქსტანდარტის“ პროდუქციის ხარისხის კონტროლის თბილისის სამსახურის უფროსის, პაატა ბურდულის ცნობით, დასრულდა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის რამდენიმე მაღაზიის შემოწმება. აღებულია რამდენიმე საეჭვო ხარისხის პროდუქტის ნიმუშები, რომლებსაც ლაბორატორიაში შეამოწმებენ.

პაატა ბურდულის თქმით, ამგვარი შემოწმებები რეგულარულად, დედაქალაქის ყველა რაიონში ჩატარდება, რათა სასურსათო პროდუქციის ხარისხი მუდმივად კონტროლდებოდეს. ”ლაბორატორიული ანალიზების შედეგები რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი და, დარღვევების შემთხვევაში, პროდუქციას ქსელიდან ამოიღებენ”, - თქვა ბურდულმა.

ამგვარი შემოწმების შედეგად, მთაწმინდა-კრწანისის რაიონში უხარისხო, მავნე მიკროორგანიზმების შემცველი სოსისი და კატლეტი გამოვლინდა. „საქსტანდარტის“ მიწერილობით, ამ პროდუქციას მაღაზიებიდან ამოიღებენ, ხოლო „საქსტანდარტი“ მის მწარმოებელ ობიექტებს შეამოწმებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. შს სამინისტროს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურმა ბოლო ერთი კვირის განმავლობაში, ქვეყნის მასშტაბით, სახანძრო შეტყობინების 29 ფაქტი დააფიქსირა. ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის პრესცენტრის ცნობით, რეგიონებში დაიწვა ექვსი სახელმწიფო ნაგებობა, ათი საცხოვრებელი სახლი, ორი ავტოტრანსპორტი. ექვსი გამოძახება ფიქტიური აღმოჩნდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირების თავმჯდომარე ირაკლი ტუღუში აცხადებს, რომ პროფკავშირები მხარს დაუჭერენ ენერგეტიკის სფეროს მუშაკებს, თუ ისინი საპროტესტო აქციებით გამოვლენ სახელფასო დავალიანებებთან დაკავშირებით.

როგორც ირაკლი ტუღუშმა თქვა, ენერგეტიკოსებს ხელფასები, საშუალოდ, 14-24 თვის განმავლობაში არ მიუღიათ და, არ შეიძლება, მათი მოთმინება უსასრულო იყოს. მისი თქმით, მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე მან დააყენა საკითხი, რომ შეცვლილიყო ენერგეტიკოსებისთვის ხელფასის გადახდის სისტემა, რის შემდეგაც, პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის დავალებით, სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ და სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა დავით მირცხულავამ ვალდებულება აიღეს, დაეჩქარებინათ ამ სფეროში სტრუქტურული ცვლილებების პროცესი.

“საჭიროა, ეს საკითხი უმოკლეს ვადებში გადაწყდეს, რადგან პროცესის გაჭიანურებამ, შესაძლოა, სერიოზული შედეგები გამოიწვიოს”, - თქვა ირაკლი ტუღუშმა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ეკოლოგიურმა პოლიციამ ბოლო ერთი კვირის განმავლობაში დედოფლისწყაროს, გურჯაანისა და სიღნაღის რაიონებში სამართალდარღვევის ოთხი ფაქტი გამოავლინა. აქედან სამზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, ხოლო ერთი ადმინისტრაციული წესით წარიმართა. გატარებული ოპერატიული ღონისძიების შედეგად, მდინარე იორის ტერიტორიაზე დააკავეს ვინმე ამირან ქადაგიშვილი, რომელიც ტბორში თევზის უკანონო რეწვას ეწეოდა. საქმე სასამართლოში ადმინისტრაციული წესით წარიმართა.

უკანონო ნადირობისთვის ეკოპოლიციამ დედოფლისწყაროში დააკავა ტიბაანში მცხოვრები გოგიტა ქადაგიძე, რომელმაც ორი ხოხობი მოკლა. დაკავებულია, აგრეთვე, თბილისში მცხოვრები დავით მესხი, რომელმაც რვა კაკაბი მოკლა. ბრაკონიერებზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

უკანონო თევზჭერისთვის დააკავეს გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხეში მცხოვრები გიორგი კობერიძე, რომელიც ალაზანში ელექტროშოკური აპარატით თევზაობდა. მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. **მედია-ნიუსი**

სექტემბრიდან რუსთავი 2 იწყებს ახალ შოუს - „ხალხის პირისპირ“. ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.

მაშ ასე, შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ, შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს და ინსტრუქციებს).

ინსტრუქციები კითხვის შედგენისთვის:

შეკითხვის ტექსტი:

პასუხის ტექსტი:

სახელი და გვარი:
ბინის მისამართი:
საფოსტო ინდექსი:
ბინის ტელეფონის ნომერი:
სამსახურის ტელეფონის ნომერი:
მობილური ტელეფონის ნომერი:

ხელმოწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.

მერის დანაპირები ჯერ არ შესრულებულა

თბილისის მერის, ვანო ზოდელავას დანაპირებიდან, წვიმებით განსაკუთრებით დაზიანებული სახლების მობინადრეებს ახალი საცხოვრებლით დღესვე დავაკმაყოფილებთო, ხუთი დღე გავიდა. იმ 25 ავარიული სახლის მცხოვრებლებიდან, რომელთა მდგომარეობა, გასულ კვირაში მოსული წვიმების წყალობით, ერთი კატეგორიით დამძიმდა, ახალმოსახლეობა ჯერ არავის აღუნიშნავს.

მაკა ჭაიანი

მიზეზი რამდენიმეა. პირველი და ყველაზე მთავარი ის არის, რომ მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარების საქალაქო ფონდს, რომელსაც ამ 25 ოჯახის პატრონობა დაევალა, თავისუფალი ბინების სერიოზული პრობლემა აქვს. აპრილიდან მოყოლებული, მის ანგარიშზე მხოლოდ 1 მილიონ 900 ათასი ლარი შევიდა და ამ ფულით ფონდმა 260 ბინა შეიძინა. თბილისს 22 ათას მისამართზე მცხოვრები, მიწისძვრით დაზარალებული, 50 ათასზე მეტი ადამიანი ჰყავს დასასახლებელი და, 260 ბინა ამ პრობლემას რომ ვერ გადაჭრის, ცხადია. მართალია, ეს 25 მისამართიც იმ 22 ათასში შედიოდა, მაგრამ აქამდე შედარებით მსუბუქთა კატეგორიას განეკუთვნებოდა. შესაბამისად, მათი სასწრაფოდ დაკმაყოფილების საკითხი დღის წესრიგში არ იდგა.

მეორე პრობლემა ის გახლავთ, რომ მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარების ფონდმა ბინები, ძირითადად, გარეუბნებში - გლდანში, ვარკეთილში, ფონიჭალაში, ლილოს დასახლებაში შეიძინა. იქ (განსაკუთრებით, ორ უკანასკნელში) სამოთახიან ბინას იმ ფასად იყიდი, ცენტრში ერთოთახიანსაც რომ ვერ გასწვდება. დაზარალებულები კი, ძირითადად, დედაქალაქის ძველ უბნებში - ნაძალადევში, ავლაბარში, ჩუღურეთში მცხოვრები ადამიანები არიან. ქალაქგარეთ წასვლა მათ ხელს არ აძლევს, მით უმეტეს, თუ სკოლა და სამსახური სახლთან ახლოს აქვთ. ბევრს იმისიც ეშინია, გაგვიყვანენ და ძველ ადგილს თვალითაც ველარ ვნახავთო და ფონდის შეთავაზებას უარით პასუხობენ.

დროებით თავშესაფრად წოდებულ ბინაში გადასვლის შემთხვევაში, მათსა და სახელმწიფოს შორის გაფორმებული ხელშეკრულება დაზარალებულებს მოქმედების თავისუფლებას აძლევს. თუ სამი წლის განმავლობაში ძველი საცხოვრებელი არ გარემონტდა, დაზარალებულს უფლება აქვს, დროებით თავშესაფარში იქამდე დარჩეს, ვიდრე სასურველი ბინით არ დააკმაყოფილებენ. იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებული ფონდს შეთავაზებაზე უარს ეუბნება, დგება შეთანხმების ფურცელი, რომელშიც ეს უარი ოფიციალურად ფორმდება. ეს იმასაც ნიშნავს, რომ, იმ შემთხვევაში, თუკი დაზარალებულ ოჯახს, საცხოვრებელი პირობების გამო, ახალი პრობლემები შეექმნა, სახელმწიფო პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება.

მიწისძვრითა და წვიმებით ყველაზე მეტად დაზარალებულმა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონმა, სადაც, ძირითადად, გასული საუკუნის დასაწყისში აშენებული და დღეს უკვე ამორტიზებული, ფაქტობრივად, დასანგრევი სახლებია, მესამე კატეგორის 807 მისამართიდან ახალ მისამართზე მხოლოდ 39 ოჯახის შესახლება შეძლო. ეს - მიწისძვრის შემდეგ. ამ რაიონში მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარების ფონდის წარმომადგენლის, ზურაბ ვაშალომიძის ინფორმაციით, წვიმებით დამძიმებული საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დასაკმაყოფილებლად ბინები მათ გუშინ გამოეყოთ: ერთი სამოთახიანი, ორი ოროთახიანი და ორიც ერთოთახიანი ბინა ლილოს დასახლებაში. დასაკმაყოფილებელი კი ოც ოჯახზე მეტია.

ხელისუფლებაში მიაჩნიათ, რომ, ვისაც მართლა უჭირს, არც ლილოზე იტყვის უარს. დაახლოებით ამდენ, იმავე მისამართზე მდებარე ბინას დაზარალებულებს დღეს გლდანი-ნაძალადევის რაიონშიც შესთავაზებენ. იქაც და დიდუბე-ჩუღურეთის გამგეობაშიც წინასწარ იციან, რომ წინააღმდეგობა იქნება და მოსახლეობა ამჯერადაც საცხოვრებელი ადგილების გარემონტებას მოითხოვს. მოსახლეობამაც იცის რაღაც. კერძოდ, ის, რომ მათ მოთხოვნას ისევ არავინ იღებს ყურად. დღეს ფონდის წარმომადგენლები მეუნარგიას 16-შიც მივლენ. ამ სახლის თაობაზე ჩვენ უკვე ვწერდით. საცხოვრებლის გარემონტებას მისი ბინადრებიც უჭერენ მხარს. რაც შეეხება კედელს, რომელმაც მათი სახლი დააზიანა და შვიდი ოჯახი უგზოდ დატოვა, ჯერ ისევ ჰაერშია გამოკიდებული.

ასე გამოიყურება წყალდიდობის შემდეგ ზოგიერთი ქუჩა

[illegible] ფოტო

მწვანეები მერიისგან ცოტა ფულს და საშვილიშვილო საქმის კეთებას მოითხოვენ

მწვანეთა პარტიის ინიციატივით მოწყობილ გუშინდელ აქციას დღის მეორე ნახევარში მოსულმა წვიმამ ხელი შეუშალა. მის განახლებასა და გაგრძელებას მწვანეები დღეს დილიდანვე გეგმავენ.

ეთერ მამულაშვილი

მწვანეების მიერ ორგანიზებული ეს აქცია გაერო-ს კვირეულის ფარგლებში მიმდინარეობს და მტკვრის ორივე სანაპიროს დასუფთავებას ითვალისწინებს. მათ გარდა, აქციაში თბილისის რამდენიმე სკოლის მოსწავლეები, სასოფლო-სამეურნეო აგრარული და სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებიც მიიღებენ მონაწილეობას. გუშინ მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მხოლოდ ერთი ნაწილი გაწმინდეს, მეორე ნახევრის დასასუფთავებლად კი დღეს დაიკაპიწებენ ხელებს.

მწვანეთა ეს სანიტარული აქცია გაერო-ს ფონდმა 1300 დოლარით დააფინანსა.

თუ მწვანეებს ამინდმა ხელი შეუწყო, დღეს, საღამოს, ისინი რიყეზე საკუთარი ნახელავის პრეზენტაციას მოაწყობენ.

დღესვე საქართველოს მწვანეთა პარტია თბილისის მერიას საკუთარ მოთხოვნათა პეტიციას გაუგზავნის. მოთხოვნების სია გრძელია, მაგრამ, როგორც თავად აცხადებენ, პეტიციის თითოეული პუნქტი ჩვენი ჯანმრთელობის დაცვას ეხება.

პირველი მოთხოვნა, რის შესრულებასაც მწვანეები დაუყოვნებლივ მოითხოვენ, მდინარე მტკვრის სანაპიროზე სანაგვე ურნების დადგმაა. როგორც მწვანეთა პარტიის წევრმა რუსუდან სიმონიძემ აღნიშნა, დღეს სანაპიროზე არც ერთი ურნა არ დგას. მეორე, რომლის შესრულებასაც მწვანეები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ, ქალაქის საზოგადოებრივი კვების ობიექტებსა და ბენზინგასამართ სადგურებზე სანიტარიულ-ჰიგიენური წესების დაცვას ითვალისწინებს.

შემდეგი მოთხოვნის დროულად შესრულებას მწვანეები ეჭვით უყურებენ, რადგან მას, დროის გარდა, სოლიდური თანხაც სჭირდება. მათი მოთხოვნით, საჭიროა, სანაპირო ზოლზე რამდენიმე ახალი გამწმენდი დანადგარის დამონტაჟება და ძველების რეაბილიტაცია. “ჩვენი დაკვირვებით, მტკვარში სხვადასხვა მავნე ნივთიერების რაოდენობა დასაშვებ ნორმაზე მეტია. რამდენიმე გამფილტრავი, რომელიც დღეს უფუნქციოდ დგას, მოძველებულია და შეკეთებას საჭიროებს. არა მგონია, მერიამ ეს წლის ბოლომდე მოახერხოს, თუ, რა თქმა უნდა, საერთოდ მოისურვა ამის გაკეთება”, - გვითხრა სიმონიძემ.

მწვანეების გამოთვლით, მტკვრის სანაპირო ზოლში არსებული უკანონო ნაგავსაყრელების გაუქმება და მდინარეში საკანალიზაციო წყლის ჩაშვების აღკვეთა, დიდი-დიდი, ერთ კვირას საჭიროებდეს.

იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება მწვანეების ამ მოთხოვნებს არ შეასრულებს, ისინი რადიკალური ნაბიჯების გადადგმასაც არ მოერიდებიან. “განსაკუთრებულს არაფერს მოვითხოვთ. მთავარია მონდომება, ცოტა ფული და იმის გაცნობიერება, რომ ეს ისევ ჩვენი შვილებისთვის კეთდება”, - აცხადებენ მწვანეები.

„ბატონები” - თავდაცვის აკადემიაში

ამბავი, თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში წითელას გავრცელების შესახებ, გუშინ ტელეფონით მოგვაწოდეს. ინფორმატორი იტყობინებოდა, რომ, უკვე ერთი კვირაა, აკადემიაში წითელას ეპიდემიაა, ავადაა 20-მდე კურსანტი. მათი ნაწილი სამკურნალოდ შინ გაუშვეს, ნაწილი კი ლაზარეთში წევს. ყველაზე უცნაური ის არის, რომ აკადემიის ხელმძღვანელობა ამ ფაქტს მალავს.

მაკა ჭაიანი

ეპიდემიების შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია უეჭველად დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში უნდა იყრიდეს თავს, მაგრამ თავდაცვის აკადემიის თაობაზე იქ ვერაფერი გვითხრეს. ცენტრის დირექტორის მოადგილის, ლევან ბაიდოშვილის განცხადებით, კურსანტების წითელათი დაავადების შესახებ აკადემიიდან მათ არავითარი შეტყობინება არ მიუღიათ, თუმცა, ადვილი შესაძლებელია, ეს სიმართლე იყოს, რადგან საქართველოში ამ ინფექციით მოზრდილთა დაავადების შემთხვევები აქამდეც დაფიქსირებულა.

თავდაცვის აკადემიის ლაზარეთის მონახულება, სადაც, ჩვენი ინფორმატორის მონაცემებით, წითელაშეყრილი კურსანტები იწვნენ, შეუძლებელი აღმოჩნდა. აკადემიაში ჩვენი სტუმრობისას, ადგილზე არ დაგვხვდა თანამდებობის არც ერთი ისეთი პირი, ვინც სასწავლებლის ტერიტორიაზე ჟურნალისტების შეშვებას ითავებდა. დაცვის განმარტებით, ყველანი სროლებზე იყვნენ წასული. ოფიციალური კომენტარი მოგვიანებით, საზოგადოებასთან ურთიერთობის წარმომადგენელთა საშუალებით, სამედიცინო ნაწილის უფროსმა, მაიორმა კაპანაძემ გააკეთა.

როგორც კაპანაძე ამბობს, თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში წითელას ეპიდემია არ არის, თუმცა, ამ ინფექციას 9 სექტემბრიდან ებრძვიან. ამ დღეს პირველკურსელები ვაზიანში გაუშვეს წვრთნებზე და, აუცრელებს, ბატონებიც იქ შეეყარათ. წითელათი დაავადებული 23 კურსანტი მაშინ თბილისში ჩამოიყვანეს და თავდაცვის სამინისტროს ჰოსპიტალში მოათავსეს. ახლა ჰოსპიტალში სულ 9 ჯარისკაცი წევს და... აქედან 4 სწორედ წითელათია ინფიცირებული. რაც შეეხება აკადემიის ლაზარეთს, კაპანაძის ინფორმაციით, იქაურობა სუფთაა.

”ბატონები” შლაგბაუმმაც ვერ შეაჩერა.

[illegible] ფოტო

ქსელი აღდგა, დანარჩენი მოსახლეობის სურვილზე ყოფილა დამოკიდებული

დედაქალაქში გაზიფიცირების აკრძალვის მიუხედავად, სააქციო საზოგადოება ”თბილგაზმა", გამონაკლისის სახით, ”მეტრომშენის" დასახლების მიმართულებით გამავალი მილსადენი აღადგინა. ”თბილგაზის" ცნობით, კომპანიის ტექნიკურმა სამსახურმა ”მეტრომშენის" გარე გაზგამანაწილებელი ქსელი უკვე აღადგინა. ამჯერად ”მეტრომშენში" შიდა ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოებია ჩასატარებელი, რაც მხოლოდ მოსახლეობის სურვილითა და მისივე სახსრებით განხორციელდება.

”მეტრომშენში" ბუნებრივი აირი ახალი მიმართულებით, პეტრე-პავლეს სახელობის სასაფლაოს მხრიდან შევა.

დასახლებას ბუნებრივი აირი 1995 წლიდან აღარ მიეწოდება. იქ მცხოვრები 6000 აბონენტი მზად არის, გაზიფიცირების საფასური აანაზღაუროს. გაზიფიცირების სამუშაოებს "თბილგაზი" განახორციელებს.

დედაქალაქის გაზიფიცირება 2002 წლის 1 თებერვლიდან, მერიის გადაწყვეტილებით, აიკრძალა. 2002 წლამდე დედაქალაქის გაზიფიცირებას ახორციელებდა შეზღუდული პასუხისმგებლობის 16 საწარმო, რომლებსაც "თბილგაზთან" ჩარჩო-ხელშეკრულება ჰქონდათ გაფორმებული. ხელშეკრულების პირობების არასრულყოფილად შესრულების გამო "თბილგაზმა" შპს-ებს ხელშეკრულებები გაუუქმა, ხოლო მერიამ დედაქალაქში გაზიფიცირება დროებით აკრძალა.

ინტერ-პრესი

ციხეს რად უნდა რკინის კარები, იქ უნდა ჰქონდეთ კომპიუტერები

სოფიკო ჩხაიძე

"საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემა იავარქმნილია", -- ამბობს იუსტიციის მინისტრის მოადგილე კახა კობერიძე და ხელისუფლებას სისტემის აღმშენებლობისთვის რეფორმის კონცეფციას სთავაზობს. მანამდე კი, სანამ ამ კონცეფციას სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის სამსჯავროზე გაიტანს, მისი ძირითადი პარამეტრები გუშინ ჟურნალისტებს გააცნო. კობერიძის თქმით, არავის აქვს ილუზია, რომ ამ კონცეფციის რეალობაში გატარება უახლოეს მომავალში გახდება შესაძლებელი; მაგრამ, თუ საქმეს წინსვლა არ შეეტყო, სასჯელაღსრულების სისტემის გადაცემა შინაგან საქმეთა სამინისტროდან იუსტიციისთვის, რაც დიდ მიღწევად იქნა აღიარებული, უფსკრულისკენ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს.

გოჩიტა ბახაიძის ფოტო

კახა კობერიძე და პაატა მხეიძე

კონცეფცია კი ყველა იმ პრობლემის მოგვარების გზებს სახავს, რომლებიც წლების მანძილზე ამ სისტემაში დაგროვდა. იგი ითვალისწინებს: სასჯელაღსრულების დაწესებულებათა კოლონიების ტიპის დაწესებულებებიდან, ძირითადად, ციხის (საკნის ტიპის) სისტემაზე გადასვლას; დაწესებულებების ოპერატიული მომსახურების საიმედო სისტემის შექმნას; პატიმრებისათვის სოციალური და ყოფითი პირობების გაუმჯობესებას; საწარმო ბაზის რეაბილიტაციას და პატიმართა დასაქმებას; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას; სასჯელაღსრულების დაწესებულებების კაპიტალურ შეკეთებას; დაწესებულებების ტექნიკურ უზრუნველყოფასა და მართვის სისტემის მოდერნიზებას; სასჯელაღსრულების სისტემის მონაცემთა ბაზის სრულ კომპიუტერიზაციას; მსჯავრდებულთა და პატიმართა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებას; სასჯელაღსრულების სისტემისათვის კვალიფიციური კადრების მომზადებას; მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლების პრობლემის მოწესრიგებას; გარემოსთან მსჯავრდებულის კონტაქტისა და საზოგადოებრივი კონტროლის სისტემის უზრუნველყოფას; ალტერნატიული სასჯელების შემოღებასა და სასჯელაღსრულების სფეროს მარეგულირებული სამართლებრივი ბაზის სრულყოფას.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხის მოგვარებას მინისტრის მოადგილე სასჯელაღსრულების სისტემაში მყარად ფეხმოკიდებული კორუფციის აღმოფხვრას უკავშირებს და უკვე 2003 წლიდან პროგრამის ამოქმედების იმედი აქვს. ასეთ იმედს მას პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი გეგმა აძლევს. გეგმა, რომელიც ედუარდ შევარდნაძეს წარუდგინეს, კონცეფციის დებულებათა მხოლოდ ნაწილს მოიცავს. ამ გეგმის სისრულეში მოყვანა ხუთ წელზეა გათვლილი და ეს პირველი ხუთი წელი იქნება სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმირების გზაზე.

"ამ გეგმის ასამოქმედებლად თანხები მომავალი წლის ბიუჯეტში აუცილებლად უნდა იქნას განსაზღვრული", - აცხადებს კობერიძე და პრეზიდენტმაც უკვე მისცა ფინანსთა მინისტრს დავალება, მომავალი წლის ბიუჯეტში სისტემას თანხები გაუზარდოს. წელს სასჯელაღსრულების დეპარტამენტს სულ ცხრა მილიონი ლარი ჰქონდა გამოყოფილი, მომავალი წლისთვის, პრეზიდენტის წყალობის შემდეგ, მეტის იმედი აქვთ.

პოლიციელთა შურისძიებას მძიმე შედეგი მოჰყვა

თამარ კაციტაძე

რამდენიმე დღის წინ გლდანი-ნაძალადევის პროკურატურას განცხადებით მიმართა პოლიციისგან დაზარალებულმა. განცხადებაში გაიოზ გოხაძე წერდა: **"გლდანი–ნაძალადევის შს სამმართველოს მეოთხე განყოფილების თანამშრომლებმა ჩემი შვილი, ზაზა გოხაძე, განყოფილებაში წაიყვანეს და უმოწყალოდ სცემეს. მისი გადარჩენა მხოლოდ ქირურგიული ოპერაციის გაკეთების შემდეგ გახდა შესაძლებელი. მოვითხოვ, დამნაშავე პოლიციელების გამოვლენას და დასჯას".**

აღნიშნული განცხადების საფუძველზე პროკურატურამ გამოძიება დაიწყო და ცოტა ხანში დანაშაულის გარემოებებიც დაადგინა.

როგორც გაირკვა, გლდანი–ნაძალადევის შს სამმართველოს მეოთხე განყოფილების უმცროსი ინსპექტორი შოთა ბარამიძე ორ საათზე სამსახურიდან საჭმლის საყიდლად გასულა. ჯიხურთან ოთხი ნასვამი პიროვნება იდგა. ერთ-ერთს, ზაზა გოხაძეს, ინსპექტორი კარგად იცნობდა. პოლიციელის დანახვაზე მეგობრებს სიცილი დაუწყიათ - აი, ძაღლიც "გაიჩითაო". ამ სიტყვებზე სამართალდამცავსა და ნასვამ ამხანაგებს შორის კამათი დაწყებულა, რაც ცოტა ხანში ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა. გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში უმცროსი ინსპექტორი წერს: **"ოთხმა პიროვნებამ ცემა დამიწყო. თავი რომ დამეცვა, იძულებული გავხდი სამსახურებრივი იარაღი "მაკაროვი" ამომეღო და მესროლა".**

სროლის დროს ჩხუბის ერთი მონაწილე – გიგოჩიშვილი - ფეხში დაიჭრა, მეგობრები კი დაიბნენ. ამასობაში ბარამიძემ დრო იხელთა და გაიქცა.

როგორც ზაზა გოხაძის მამის, გაიოზ გოხაძის, ჩვენებიდან ირკვევა, იმავე საღამოს გოხაძეების ოჯახში მეოთხე განყოფილების რამდენიმე თანამშრომელი მისულა და ზაზა გოხაძე განყოფილებაში წაუყვანიათ. **"განყოფილებაში ჩემი ვაჟი ერთ-ერთ ოთახში შეიყვანეს. მასთან რამდენიმე პოლიციელი, მათ შორის, შოთა ბარამიძეც შესულა. პოლიციელები ზაზას ჯერ წიხლებს ურტყამდნენ, შემდეგ კი ხელჯოხებით დაუწყიათ ცემა. რამდენიმე საათის შემდეგ, როცა ცემით გული იჯერეს, დასისხლიანებული ჩემი შვილი სახლში გამოუშვეს. მან სახლამდე ძლივს მოაღწია, ცოტა ხანში კი ცუდად გახდა",** - წერს დაზარალებულის მამა.

ზაზა გოხაძე საავადმყოფოში გადაიყვანეს და სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს. მას ექიმებმა ასეთი დიაგნოზი დაუსვეს: მუცლის ღრუს ბლაგვი ტრამვა დიდი ბადექონის დაზიანებით და მრავლობითი სისხლჩაქცევები. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით კი, გოხაძეს მკვრივი საგნით მიყენებული აქვს მძიმე ხარისხის სიცოცხლისთვის საშიში დაზიანება.

მეცხრე საავადმყოფოში სტაციონარულ მკურნალობას გადიოდა ნაცემი პოლიციელიც. მას ექსპერტიზამ სხვადასხვა ხარისხის დაზიანებები დაუდგინა.

დანაშაული აშკარად ორმხრივია. თუმცა, გლდანი-ნაძალადევის პროკურატურას სისხლის სამართლის საქმე მხოლოდ პოლიციელისთვის წინააღმდეგობის გაწევის მუხლით აქვს აღძრული. გამომძიებელი ვახტანგ თორდიას თქმით: **"აღნიშნულ საქმეში ბრალი, ჯერჯერობით, არავისთვის წარგვიდგენია. გამოძიებას თავს არიდებენ გოხაძის მეგობრები და აქამდე მათი დაკითხვა ვერ შევძელით. მართალია, გოხაძის მამა ამბობს, რომ მისი შვილი მეოთხე განყოფილებაში სცემეს, მაგრამ დაკითხული პოლიციელები მოქალაქის ცემის ფაქტს კატეგორიულად უარყოფენ. სხვათაშორის, ზაზა გოხაძე პოლიციის განყოფილებაშიც არ არის რეგისტრირებული. თუმცა, ეს გამოძიების საბოლოო სიტყვა არ არის. ძიება გრძელდება და არ არის გამორიცხული, რომ ცოტა ხანში სხვა დანაშაულიც დამტკიცდეს და საქმეს ახალი ბრალდებებიც დაემატოს".**

ცხადია, პოლიციელთაგან გულწრფელ აღიარებას არავინ ელოდა. თუმცა, საქმე ის გახლავთ, რომ მათი მხრიდან ჩადენილ დანაშაულს ვერც ვერავინ ადასტურებს. მიუხედავად ამისა, პოლიციელთა ბრალეულობის დამტკიცება მაინც შესაძლებელია, თუ ამ საქმის მონაწილე ყველა მხარე, გოხაძის მეგობრების ჩათვლით, საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობას დათანხმდება. გლდანი-ნაძალადევის პროკურატურაში ირწმუნებიან, რომ სამართალდამცველთათვის ხელის დაფარებას ნამდვილად ვერავინ დააბრალებს, რადგან მარტო წელს მათთან დამნაშავე კანონდამცველთა მიმართ სისხლის სამართლის 16 საქმე აღიძრა; ექვსი საქმის გამოძიება უკვე დასრულდა და იგი შემდგომი განხილვისთვის გადაიგზავნა სასამართლოში.

„ნადირობა" წითელ ხიდზე

პოლიციამ საყოფაცხოვრებო საქონლისა და ნარკოტიკების კონტრაბანდისტები დააკავა

პირველი გვერდიდან

კორუფციასა და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს უფროსის მალხაზ ლიპარტიას თქმით: **"ჩვენ გვქონდა ოპერატიული ინფორმაცია, რომ წითელი ხიდის საბაჟოს აზერბაიჯანის მხრიდან უნდა მოდგომოდა კონტრაბანდული ტვირთის დიდი პარტია. ამიტომაც ოპერაციის მონაწილე პოლიციელები ორ ჯგუფად გაიყვნენ და ერთი ნაწილი კონტრაბანდისტებს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ადევნებდა თვალყურს. სწორედ მათ დააფიქსირეს საბაჟოს სიახლოვეს მომდგარი "მერსედესის" მარკის ავტობუსი, საიდანაც ტვირთი გადმოზიდეს ორ, ქართული სანომრე ნიშნების მქონე მსუბუქ ავტომანქანაში. მანქანები საბაჟოსკენ დაიძრნენ. მებაჟეებმა მათ გზა შლაგბაუმით ჩაუკეტეს. თუმცა, კონტრაბანდისტებმა საბაჟოს გავლა მაინც მოახერხეს".**

თვით მებაჟეები ირწმუნებიან, რომ ორი მანქანა მათ მითითებებს არ დაემორჩილა, შლაგბაუმი გაანგრია და დიდი სისწრაფით გაეცალა საბაჟოს. სინამდვილეში, როგორ გაიარეს კონტრაბანდისტებმა საბაჟო, ამას შემდგომი გამოძიება დაადგენს. მანამდე კი, საბაჟოგადმოლახულ მანქანებს პოლიციელები შეეჩეხნენ. მათ მომავალ მანქანებს ანიშნეს, რომ გაჩერებულიყვნენ. მანქანის მძღოლები ნიშანს არ დაემორჩილნენ, გაჩერების ნაცვლად , მანქანები მოატრიალეს და უკან, აზერბაიჯანისკენ გაემართნენ. ერთმა მანქანამ საზღვრის გადალახვა მაინც მოახერხა და მიიმალა. მეორის შესახებ კი უკვე გიამბეთ – ის პოლიციელის მანქანასთან შეჯახებამ შეაჩერა. ამ ავტომანქანაში დაკავებულმა ერთ-ერთმა ქალბატონმა შალალა ალმამედოვამ აღიარა, რომ საბაჟო წესების გვერდის ავლით საქართველოში შემოტანილი ტვირთი მას ეკუთვნოდა. ამ დღეებში, მომხდართან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმე ორი მუხლით აღიძვრება: საბაჟო წესების დარღვევისთვის და განზრახ ავარიის მოხდენისთვის.

წითელი ხიდის საბაჟოს ტერიტორიაზე ნარკომანიასა და ნარკობიზნესთან ბრძოლის ეროვნული ბიუროს თანამშრომლების მიერ დაკავებულ რამდენიმე პირს გაცილებით სერიოზული დანაშაულისთვის პასუხისგება მოუწევთ. მათ სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებები აღმოაჩნდათ.

რამდენიმე დღის წინ დაკავებულ სამტრედიელ, ადრე ქურდობისთვის ნასამართლევ ზაზა თვარაძეს 97,2 გ. ოპიუმი უპოვეს, გუშინ დაკავებულ მარნეულელ ბალხამ ფირიდინ ოღლი მამედოვს კი – 17,4 გ. ჰეროინი. უკვე სარეალიზაციოდ ჰქონდათ გამზადებული ჰეროინი თბილისელებს: ზაზა კვერნაძესა და ამირან ბასილაძეს. მათგან საერთო ჯამში 11 გრამამდე ნარკოტიკი ამოიღეს. როგორც შევიტყვეთ, ბასილაძე ერთ დროს უშიშროების სამინისტროში მუშაობდა და მას დღემდე შემორჩენია იქაური სამსახურეობრივი მოწმობა. თუმცა, როგორც სამართალდამცველები ამბობენ, ის მანამდე დააკავეს, სანამ საბუთის ჩვენებასა და თავის დაღწევას ეცდებოდა.

ყველა მათგანის საქმეს უშიშროების სამინისტრო გამოიძიებს, რადგანაც, პოლიციელთა განმარტებით, სამივე შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ნარკოტიკების აზერბაიჯანიდან კონტრაბანდას.

შელაპარაკებას ბურუსით მოცული მკვლელობა მოჰყვა

თამარ კაციტაძე

წერონისის ქუჩაზე ახალგაზრდა კაცის გვამი იპოვეს. შემთხვევის ადგილზე მისულმა სამართალდამცველებმა მოსახლეობის დაკითხვისას დაადგინეს, რომ გარდაცვლილი 31 წლის ბორის ბარბაქაძე იყო.

ბარბაქაძეს თავის არეში რამდენჯერმე ჰქონდა მკვრივი საგანი ჩარტყმული. გლდანი-ნაძალადევის რაიონის პროკურატურის გამომძიებლის ზურაბ საძაგლიშვილის თქმით, გამოძიებამ გვამის შორიახლოს რამდენიმე სისხლიანი ქვა იპოვა, რაც, სავარაუდოდ, მკვლელობის იარაღი უნდა ყოფილიყო. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზით დამტკიცდა, რომ ბარბაქაძე, მართლაც, თავში ქვის ჩარტყმით იყო მოკლული. ქვები დაქტილოსკოპიურ და ბიოლოგიურ ექსპერტიზაზე გაიგზავნა.

გამოძიებამ უკვე დაადგინა, რომ საღამოს ათ საათზე ნასვამ ბორის ბარბაქაძეს თავისი მეგობრისთვის, ამირან ჭელიძისთვის, საქეიფოდ წასვლა შეუთავაზებია. მეგობრები წერონისის ქუჩაზე, როსტომ გვიშიანთან მისულან და ჯიხურის გასაღები უთხოვნიათ.

ცოტა ხანში მოქეიფეებს ოვიკ უსოევი შეუერთდა. ნახევარ საათში მათ ვინმე ემზარ სადოიანიც მიემატათ. რამდენიმესაათიანი ქეიფის შემდეგ ჭელიძე და უსოიანი სახლებში წასულან, ბარბაქაძეს და სადოიანს კი სმა გაუგრძელებიათ. ქეიფის დამთავრების შემდეგ მთვრალმა თანამეინახეებმა ჯიხურის პატრონს გასაღები დაუბრუნეს. მოგვიანებით კი გვიშიანები სიგარეტისთვის კიდევ ერთხელ შეაწუხეს.

შუაღამისას წერონისის მოსახლეობას ბარბაქაძის და კიდევ ერთ კაცის კამათის ხმა ესმოდათ. მოგვიანებით ერთ-ერთმა მოწმემ დაინახა, თუ როგორ ურტყამდა უცნობი წაქცეულ კაცს თავში ქვას. ჩხუბიდან რამდენიმე საათში, გვიშიანის ჯიხურიდან 50 მეტრის მოშორებით, ბარბაქაძის გვამი იპოვეს.

საქმის გამომძიებელმა ზურაბ საძაგლიშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა: **"გამოძიებას მკვლელობასთან დაკავშირებით ვერსიები გააჩნია, მაგრამ, ჯერჯერობით, საქმე მაინც გაუხსნელად ითვლება. თუმცა, რამდენიმე დღეში მივიღებთ ექსპერტიზის დასკვნებს და ვფიქრობთ, მკვლელის ვინაობაც ზუსტად გვეცოდინება".**

გამოძიებამ უკვე დაკითხა ბარბაქაძის ორი თანამეინახე - ჭელიძე და უსოიანი. რაც შეეხება მესამეს - ემზარ სადოიანს, იგი მკვლელობის შემდეგ არავის უნახავს.

უცხოეთი

ვაშინგტონელი სნაიპერი ტელეფონის ნომერს იტყობინება

ამერიკის პოლიციამ ვაშინგტონელი სნაიპერის გუშინწინდელი, ბოლო დანაშაულის შემდეგ, შემთხვევის ადგილზე იპოვა წერილი, რომელშიც მითითებული იყო ტელეფონის ნომერი. პოლიცია ვარაუდობს, რომ ვაშინგტონელი სნაიპერი მზადაა, ხელისუფლებასთან დიალოგი გამართოს. კანონდამცველებმა მიიღეს გადაწყვეტილება უპასუხონ წერილის ავტორს. " ჩვენ გვინდა დაგიკავშირდეთ თქვენ. დაგვირეკეთ ტელეფონიდან, რომლის ნომერიც დაგვიტოვეთ. მადლობა კავშირზე გამოსვლისთვის," – ჟურნალისტებისთვის გამართულ პრესკონფერენციაზე, სნაიპერის მისამართით, ამგვარი განცხადება გააკეთა მონტგომერის საგრაფოს პოლიციის შეფმა ჩარლზ მუზამ. პოლიციის ინფორმაციით, მკვლელმა დატოვა ქუჩის ავტომატ-ტელეფონის ნომერი, საიდანაც იგი თავად დაუკავშირდება კანონდამცველებს.

რამდენიმე ჩვენების საფუძველზე შედგენილ სნაიპერის ფოტორობოტში საფრანგეთის ერთ-ერთი სამხედრო სასწავლებლის კურსანტებმა ამოიცნეს ამავე სასწავლებლის სტუდენტი, რომელიც, მათი თქმით, "ხუთოსანი მსროლელის" რეპუტაციით სარგებლობდა. სამხედრო სასწავლებლის კურსანტთა განცხადებით, იგი აგვისტოს თვეში, კანადაში, შვებულებით გაემგზავრა, იქიდან კი ამერიკის შეერთებულ შტატებში გადავიდა. ფოტორობოტზე გამოსახულ პიროვნებას, კურსანტთა თქმით, ამჟამად დეზერტირობისთვის ეძებს ინტერპოლი.

საფრანგეთის პოლიციამ დეზერტირობისთვის ძებნილი კურსანტის შესახებ ინფორმაცია უკვე გადასცა ამერიკელ სამართალდამცველებს.

P.S. გუშინ ღამით ცნობილი გახდა, რომ პოლიციამ დააკავა ორი ეჭვმიტანილი. ისინი სნაიპერის მიერ მითითებულ სატელეფონო ჯიხურთან აიყვანეს. დაკავებულთა ვინაობას სამართალდამცავები ჯერ-ჯერობით არ ასახელებენ.

ჩიკაგოს პროკურორმა "ალ ქაიდას" დამფინანსებელს ბრალი დასდო

ჩიკაგოს ფედერალურმა პროკურორმა ბრალი წაუყენა სირიელ ემიგრანტს, აშშ-ს მოქალაქეს ენაამუ არნაუტას, რომელიც აპრილის თვიდან პატიმრობაში იმყოფება. არნაუტას 90-წლიანი პატიმრობა ელის, რადგან პატიმარმა საქველმოქმედო ისლამური ორგანიზაციების სახელით დააფინანსა "ალ ქაიდა" და სხვა ტერორისტული ორგანიზაციები. მისი ფინანსები მიდიოდა აგრეთვე ჩეჩნეთსა და ბოსნიაში, ექსტრემისტი მუსულმანების დასახმარებლად. არნაუტას ფონდის ანგარიშებს აშშ-ს ხელისუფლებამ ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში დაადო ყადაღა. სირიელ ემიგრანტს ჩიკაგოს პროკურატურამ ბრალი დასდო უკანონო, დანაშაულებრივ საქმიანობაში, შავი ფულის გათეთრებასა და თაღლითური ფინანსური ოპერაციების განხორციელებაში, ასევე, ტერორიზმის მხარდაჭერაში. ერთი სიტყვით, ენაამუ არნაუტას საკმარისი ბრალდებები აქვს წაყენებული იმისათვის, რომ მას სასამართლომ 90 წლით პატიმრობა მიუსაჯოს.

მელბურნის უნივერსიტეტის სტუდენტები უცნობმა მამაკაცმა დაცხრილა

გუშინ, ავსტრალიის მელბურნის უნივერსიტეტში, შეიარაღებული უცნობი შევარდა და რამდენიმე პისტოლეტიდან ერთდროულად გაუხსნა ცეცხლი ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტებს. ტრაგიკული ინციდენტის შედეგად გარდაიცვალა 2 და დაიჭრა 8 ადამიანი.

რომ არა სტუდენტთა მოხერხებულობა, რომლებმაც შესძლეს თავდამსხმელის განიარაღება, მსხვერპლი გაცილებით მეტი იქნებოდა. კანონდამცველები მომხდარის შესახებ, ჯერჯერობით, კომენტარს არ აკეთებენ. ვერაფერს ამბობენ თვითმხილველებიც, რომლებიც მომხდარით ძალიან გაკვირვებულნი არიან. მათი განცხადებით, უცნობი მამაკაცი მოულოდნელად შეიჭრა უნივერსიტეტში და უმიზეზოდ დაიწყო სროლა.

ბრიტანეთის პოლიციამ ნარკოტიკების მსხვილი პარტია დააკავა

ბრიტანეთის პოლიციის ბოლო ოპერაციამ მსოფლიოს ყურადღება დაიმსახურა. საქმე ისაა, რომ ბრიტანელმა კანონდამცველებმა შოტლანდიაში დააპატიმრეს ნარკოტიკების დიდი პარტია, რომლის ღირებულებაც, შავი ბაზრის ფასებით, 18 მილიონ ფუნტს აღემატება. ამოღებული ნარკოტიკი სამართალდამცველთათვის წლის ყველაზე დიდი ნადავლია. მსგავსი ფართომასშტაბიანი ოპერაცია ჯერ არ განუხორციელებია არც ერთი ქვეყნის პოლიციას.

ბრიტანეთის პოლიციის ინფორმაციით, ამოღებულია 40 კილო ჰეროინი, 100 კილო კოკაინი და 64 კილო ექსტაზის აბები. ნარკოტიკების კონტრაბანდის ბრალდებით დაკავებულია 5 ნარკოკურიერი, ნარკომაფიის საერთაშორისო დაჯგუფების წევრები, რომელთა დაპატიმრებაზეც ბრიტანელმა სამართალდამცველებმა 18 თვე იმუშავეს.

მოკლედ

თბილისი. მთაწმინდა-კრწანისის რაიონის სისხლის სამართლის სამძებროს განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს თბილისში მცხოვრები, 34 წლის ზვიად ზვიადაძე, რომელმაც ურთიერთშელაპარაკებისას დანით გულმკერდის არეში დაჭრა მეზობელი, 42 წლის ნოდარ გელაშვილი, რომელიც საავადმყოფოშია მოთავსებული. საქმეს საგამოძიებო დეპარტამენტის მთაწმინდა-კრწანისის სამსახური იძიებს. **"მედია-ნიუსი".**

■ ■ ■

თბილისი. დიდუბე-ჩუღურეთის ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების თანამშრომლებმა თბილისში დააკავეს ნასამართლევი, 43 წლის ნატო სინაურიძე-ბოჭორიშვილი, რომლის ბინიდან ამოიღეს სარეალიზაციოდ გამიზნული 5 გრამი ჰეროინი. საქმეს იძიებს საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის სამმართველო. **"მედია-ნიუსი".**

■ ■ ■

გორი. შიდა ქართლში ბლოკ-საგუშაგოების გახსნის შემდეგ, სამართალდამცავებმა სხვადასხვა დანაშაულის ჩადენისთვის ძებნილი ოთხი პირი დააკავეს.

შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსის ნოდარ დალაქიშვილის ინფორმაციით, დაკავებულთაგან ერთი -- მკვლელობის მცდელობისთვის, მეორე -- ნარკოტიკების მოხმარებისთვის, მესამე -- კონტრაბანდისთვის, ხოლო მეოთხე ქურდობისთვის იძებნებოდა. დალაქიშვილის თქმით, ბლოკ-საგუშაგოების გახსნის შემდეგ შიდა ქართლის ტერიტორიებზე მნიშვნელოვნად შეიზღუდა კრიმინალთა გადაადგილებები. ეს ის ტერიტორიებია, რომლებსაც კრიმინალები მიმოსვლისთვის აქტიურად იყენებდნენ; კერძოდ, მოტაცებული ავტომანქანების გადაყვანისთვის.

დალაქიშვილის თქმით, ბლოკ-საგუშაგოები მთლიანად ქართული მხარის კონტროლირებად ტერიტორიებზეა მოწყობილი, რომელთა ძირითად ფუნქციას მაქსიმალური კონტროლი წარმოადგენს, რათა არ მოხდეს რეგიონში იარაღისა და ნარკოტიკების გადატანა, ან გატაცებული ავტომანქანების ცხინვალის მიმართულებით გაყვანა. **"პრაიმ-ნიუსი".**

■ ■ ■

თბილისი. იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრი მზად არის დაიწყოს პატიმართა და მსჯავრდებულთა თითის ანაბეჭდების აღება. ამისათვის ცენტრმა (აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის შესაბამისი პროგრამის ფარგლებში) თითის ანაბეჭდების ბარათები უკვე მიიღო. ცენტრის უფროსის მაია ნიკოლეიშვილის განცხადებით, ცენტრს თითის ანაბეჭდების ორი სახეობის ბარათი აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტმა გამოუგზავნა. ბარათი ორი სახისაა: წითელი ფერის - პატიმრებისა და მსჯავრდებულებისთვის და ლურჯი ფერის - გამოძიებაში მონაწილე პირებისთვის. **"მედია-ნიუსი".**

■ ■ ■

თბილისი. ჟურნალებში - „სექსი და საზოგადოება", „დაიმონე მამაკაცი" და „ძინ-ძინ" გამოქვეყნებული სურათებისა და ტექსტის პორნოგრაფიულობას ექსპერტიზას უტარებს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრი.

ჟურნალების ექსპერტიზისთვის ცენტრს შსს-მ მიმართა. პოლიციამ ჟურნალების პორნოგრაფიულობის გასარკვევად მოკვლევა მას შემდეგ დაიწყო, რაც ე.წ. გლდანის მართლმადიდებლურმა ეპარქიამ, ბასილ მკალავიშვილის ხელმძღვანელობით, აღნიშნული ჟურნალების გამავრცელებლები დაარბია.

იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის უფროსის მაია ნიკოლეიშვილის განცხადებით, ექსპერტიზის ჩასატარებლად მისი ხელმძღვანელობით სპეციალური კომისია შეიქმნა. კომისიის შემადგენლობაში არიან ფსიქოლოგები და ჟურნალისტები.

მაია ნიკოლეიშვილის თქმით, ექსპერტიზის დასკვნა უახლოეს მომავალში იქნება მზად.

ცნობისათვის: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 255-ე მუხლი პორნოგრაფიული ნაწარმოების, უკანონოდ დამზადებასა და გასაღებისათვის ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. **"მედია-ნიუსი".**

■ ■ ■

ახმეტა. პრეზიდენტის მითითების შესაბამისად, პოლიცია პანკისის ხეობაში მიმდინარე სპეცღონისძიებებს კიდევ უფრო გააქტიურებს, მაგრამ ამ ეტაპზე იქ დამატებითი ძალების შეყვანა არ იგეგმება.

კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსის ზურაბ ტუშურის განცხადებით, ერთი თვის წინ სამართალდამცავებმა პანკისის ხეობაში ანტიკრიმინალური და ანტიტერორისტული სპეცღონისძიებების მხოლოდ ერთი ფაზა გამოაცხადეს დასრულებულად და ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მთლიანად დამთავრდა ხეობაში მიმდინარე ოპერატიულ-სამძებრო და სხვა სახის სპეცღონისძიებები.

პოლიციის უფროსის თქმით, თითქმის ყოველდღიურად ხორციელდება ძებნილი პირების დაკავება როგორც პანკისის ხეობაში, ასევე ახმეტის რაიონსა და მთლიანად კახეთის რეგიონში. თუმცა, პოლიცია ფაქტების აფიშირებისგან თავს იკავებს, რადგან ამას არ მოაქვს დადებითი შედეგები არც გამოძიების და არც ოპერატიულ-სამძებრო მუშაობის თვალსაზრისით.

ზურაბ ტუშურის თქმით, პანკისის ხეობის სოფლების ძირითადი ნაწილი კონტროლდება, მაგრამ სხვა საქმეა მთლიანად ხეობის მიმდებარე ტერიტორიების გაკონტროლება. საუბარი ეხება საკმაოდ დიდ ფართობს, საზღვრისპირა რთულ რეგიონს, რომლის სრულად გაკონტროლება, ჯერჯერობით, ვერ ხდება. არ არის გამორიცხული, რომ ხეობის მთებსა და ტყეებში ცალკეული შეიარაღებული პირები მართლაც აფარებდნენ თავს.

პოლიციის უფროსი მათ სავარაუდო რაოდენობას არ ასახელებს, სამაგიეროდ, კატეგორიულად გამორიცხავს ამ პირების მხრიდან სამხედრო ბაზების დაფუძნების შესაძლებლობას. **"პრაიმ-ნიუსი".**

„საქართველოს უნდა მიენიჭოს ევროკავშირში გაწევრიანების კანდიდატი ქვეყნის სტატუსი"

პირველი გვერდიდან

- ბატონო დიუპუა, რა შედეგები შეიძლება მოიტანოს თქვენმა ინიციატივამ, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის, მათ შორის სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების, ევროკავშირში გაწევრიანების კანდიდატთა სიაში შეყვანის შესახებ?

- პირველი შედეგი, რასაც ჩვენ აუცილებლად უნდა მივაღწიოთ, არის ბალკანეთისა და კავკასიის სახელმწიფოებისა და მოლდოვას ევროკავშირში გაწევრიანების კანდიდატთა სიაში შეყვანა. ერთად ისინი გაცილებით ძლიერები იქნებიან, რათა განახორციელონ თავიანთი კანონიერი უფლება, მომავალში გახდნენ ევროკავშირის წევრები. 150-ზე მეტი პარლამენტარი, მათ შორის – საქართველოდან, უკვე გამოეხმაურა ევროპის ტრანსნაციონალური პარტიის ინიციატივას და ხელი მოაწერა ჩვენს მიმართვას ევროკავშირისადმი. ეს მხოლოდ დასაწყისია.

მეორე: ჩვენ უნდა გავაგებინოთ ევროკავშირის ხელმძღვანელებს და კავშირში შემავალ ქვეყნებს, რომ ეს ათი სახელმწიფო ევროპის ნაწილია და კანდიდატთა სიაში მათი ჩართვა აუცილებელია. ასეთი ნაბიჯი ავტომატურად გამოიწვევს ჩვენი ინიციატივის მხარდაჭერას, როგორც ამ ათი ქვეყნის, ისე ევროკავშირის შიგნით. უახლოეს პერსპექტივაში, ჩვენმა ინიციატივამ ხელი უნდა შეუწყოს ევროკავშირის პოლიტიკის გააქტიურებას რეგიონში, რასაც ამ ქვეყნებში მხოლოდ დადებითი ეფექტი შეიძლება ჰქონდეს.

- ევროკავშირის შიგნით არსებობს ბევრი მოსაზრება, თუ რატომ არ უნდა გახდნენ სამხრეთ კავკასიის ქვეყნები ევროკავშირის წევრები. თქვენ რა არგუმენტებით აპელირებთ, როცა საწინააღმდეგოს ამტკიცებთ?

- პირველ რიგში იმით, რომ ეს ქვეყნები ნამდვილად არიან ევროპის ქვეყნები, რაზეც მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ისინი ევროპის საბჭოს წევრები არიან. მეორეც, გამომდინარე ამ სახელმწიფოთა პერიფერიული გეოგრაფიული და გეოსტრატეგიული მდგომარეობიდან და 70-წლიანი საბჭოთა მემკვიდრეობიდან, მათთვის ძალიან ძნელი იქნება მარტო, სხვების დაუხმარებლად გადალახონ ის უამრავი პრობლემა, რომლებსაც ეს ქვეყნები აწყდებიან, თუ, უახლოეს მომავალში, ეს სახელმწიფოები არ გახდებიან დიდი ბაზრისა და დიდი პოლიტიკური თანამეგობრობის ნაწილი. და მესამე –დარწმუნებული ვარ, რომ ევროკავშირში ესმით, რაოდენ მნიშვნელოვანია, რომ სამხრეთ კავკასია, რომელიც ხიდია ევროპასა და შუა აზიას შორის, იყოს დემოკრატიული და სტაბილური რეგიონი, ხელსაყრელი და თავისუფალი, როგორც ადამიანების ურთიერთობების, ისე ვაჭრობისათვის.

- თქვენ რამდენჯერმე ხართ საქართველოში ნამყოფი. რა შთაბეჭდილება დაგრჩათ, საქართველოს შეუძლია მოითხოვოს ევროკავშირში გაწევრიანების კანდიდატის სტატუსი?

- მე ხუთჯერ თუ ექვსჯერ ვარ ნამყოფი თქვენს ქვეყანაში, სამწუხაროდ, ყოველთვის ხანმოკლე ვიზიტებით. 2000 წელს, ჩამოვედი თბილისში, რათა იტალიაში გადამესვენებინა ჩვენი პარტიის ერთ-ერთი აქტივისტის და ჟურნალისტის ანტონიო რუსოს ცხედარი, რომელიც საქართველოში გაურკვეველ ვითარებაში მოკლეს. 1997-98 წლების ვიზიტების დროს მე შემექმნა შთაბეჭდილება, რომ საქართველო ნამდვილად ყალიბდება დამოუკიდებელ, დემოკრატიულ სახელმწიფოდ; აი, 1999 წელს მიღებული შთაბეჭდილება კი აბსოლუტურად საპირისპირო იყო - მომეჩვენა, რომ ქვეყანა 10 წლით უკან დაბრუნდა. ამაზე პასუხისმგებელია დასავლეთი, თუმცა, თავის წილ პასუხისმგებლობას ვერც თქვენი ხელისუფლება გაექცევა.

ამასთან, მე ვერ ვხედავ ვერავითარ სერიოზულ პოლიტიკურ მიზეზს, რომ საქართველო არ იყოს შეყვანილი ევროკავშირში გაწევრიანების კანდიდატ სახელმწიფოთა სიაში. ევროპის დღევანდელი ლიდერები ამ ინიციატივის მიმართ ნამდვილად სკეპტიკურად არიან განწყობილნი. ისინი ვერ ხედავენ, თუ რამდენად აუცილებელია, ამ ქვეყნების ევროკავშირში დაჩქარებული ინტეგრირების ხელშეწყობა. პირადად მე ეს ლიდერები სირაქლემებს მაგონებენ, რომლებიც მიწაში ჩამალული თავით იყურებიან ევროკავშირის საზღვრების მიღმა. იმის ნაცვლად, რომ ევროკავშირის გაფართოების ეს პროცესი მთელი ევროპული საზოგადოების განსჯისა და დებატების საგნად ექციათ, ისინი კვლავ შეშინებულნი ადევნებენ თვალს ამ უკვე გარდაუვალ რეალობას. სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ ისინი ბიუროკრატიული არგუმენტების უკან იმალებიან და საქართველოს გეოგრაფიული, ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაციის ობიექტური მიზეზებით გამოწვეული სიძნელეების დანახვაზე უარს ამბობენ. ისინი იქცევიან ისე, თითქოს ვერ ხედავდნენ ევროკავშირისთვის საქართველოს სტრატეგიულ მნიშვნელობას.

- თქვენ საკმაოდ კარგად იცნობთ საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობას. დღეისათვის ის მძიმეა. როგორია უახლოეს მომავალში საქართველოში მოვლენათა განვითარების თქვენი პროგნოზი?

- მე არ მიყვარს პროგნოზების გაკეთება, მით უმეტეს - პოლიტიკაში, თუმცა, ღრმად მწამს, რომ ევროპულ საკითხს, რომელიც დღეს ქართველების უმრავლესობისთვის აბსოლუტურად პრიორიტეტულია, საქართველოს მომავალი განვითარებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ვიცი, რომ ასე ფიქრობს ჩემი მეგობარი ქართველი პოლიტიკოსების უმრავლესობა, ამით იყო განპირობებული ევროპის ტრანსნაციონალური პარტიის ინიციატივაც. საქართველოს ევროპასთან დაახლოების პროცესი, უფრო ქმედითი და ეფექტური ფორმებით, დააჩქარებს იმ ძალიან სერიოზული შიდა პრობლემების გადაჭრას, რომელიც თქვენს ქვეყანას აწუხებს; ვგულისხმობ კორუფციას, ეკონომიკურ კრიზისს, ინვესტიციების დაუცველობის პრობლემას...

ოლივერ დიუპუა: "კავკასია იტანჯება ევროკავშირის უყურადღებობით".

- სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ხშირად აკრიტიკებენ ევროკავშირს, რომ ის ნაკლებ ყურადღებას აქცევს ამ რეგიონს, თითქმის არ ეხმარება კავკასიის ქვეყნებს, იგივე ამერიკის შეერთებული შტატებისგან განსხვავებით. რამდენად სამართლიანია ეს კრიტიკა?

- მე ვეთანხმები ამ კრიტიკას. კავკასია დრამატულად იტანჯება ევროკავშირის არასათანადო ყურადღების გამო. მაგრამ უნდა არსებობდეს ზუსტი წარმოდგენა, ვის, რატომ და რისთვის ვეხმარებით. პირადად მე თანახმა ვარ დავეხმაროთ საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს, მათი საქონლის ევროპის ბაზარზე შემოსვლის უფლების მოპოვებისთვის; უნდა დავეხმაროთ ამ ქვეყნებს კონკრეტული რეფორმების შედეგების მიხედვით. ეს იქნება ერთგვარი ჯილდო, წახალისება, რომ სხვა რეფორმებიც განხორციელდეს, რაც აუცილებელია სახელმწიფოში კანონის უზენაესობისა და საბაზრო ეკონომიკის დასამკვიდრებლად.

მე წინააღმდეგი ვარ გაურკვეველი პროექტების დაფინანსებისა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ თქვენი ქვეყნის და ევროკავშირის ბიუროკრატების კორუფციის წყაროა და იშვიათად მოქვს დადებითი შედეგი მათთვის, ვისთვისაც ის რეალურად არის განკუთვნილი.

- დღეისათვის საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობა საკმაოდ დაძაბულია, დიდი ბრიტანეთის მოქალაქე პიტერ შოუს გატაცების გამო შეჩერებულია ფინანსური დახმარება. ახლახან, ევროკავშირი თბილისს სანქციებითაც დაემუქრა. რას ფიქრობთ ამის შესახებ ?

- ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. ადამიანების გატაცების პრაქტიკა აბსოლუტურად მიუღებელია. ამ სიტუაციაში ევროკავშირის მოვალეობაა, ყველაფერი გააკეთოს ბატონი შოუს სწრაფად და უვნებლად გასათავისუფლებლად. თუმცა, მე არ ვარ დარწმუნებული, რომ ევროკავშირის ეს ზეწოლა ყველა იმ ადამიანამდე მიაღწევს, რომლებამდეც უნდა მიაღწიოს. ამ სიტუაციაშიც ევროკავშირს აკლია გაბედული და გლობალური პოლიტიკური მიდგომა საქართველოს მიმართ. ვფიქრობ, ასეთი მიდგომის არარსებობაც არის იმის შედეგი, რომ ბატონი შოუ კვლავ გატაცებულია.

- როგორია თქვენი დამოკიდებულება ევროკავშირის მიერ ახლახან გამოცხადებული მომავალი გაფართოების გეგმის მიმართ, რომელიც კავშირში ათი ახალი წევრის მიღებას ითვალისწინებს?

- გულწრფელად რომ გითხრათ, მე გაწბილებული ვარ. ევროკავშირმა ათი წლის მანძილზე ეს ისტორიული მომენტი ვერ აქცია სიხარულის, იმედის და ზეიმის საბაბად. ვწუხვარ იმის გამოც, რომ დასავლეთ ევროპის გაერთიანება ცენტრალურ ევროპასთან, კავკასიისა და ბალკანეთის გარეშე არ არის სრულყოფილი. ახალი გაფართოება გაცილებით მიმზიდველია ეკონომიკური, ვიდრე პოლიტიკური თვალსაზრისით. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ევროპის ბაზრის გაფართოება, მასტიმულირებელი იქნება კავშირის ძველი და ახალი წევრების ეკონომიკური აღმავლობისა და განვითარებისთვის. ამასთანავე, გული მწყდება, რომ ჩვენ, ევროპელებმა, ამდენი დრო დავკარგეთ, როცა ჯერ 1938-39, შემდეგ კი 1945 წელს, კონტინენტის ეს ნაწილი მხდალებივით ჩავაბარეთ.

- დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია ევროკავშირის გაფართოების ახალ გეგმაში თურქეთის არმოხსენიებამ...

- მე ვფიქრობ, რომ თურქეთი უნდა გახდეს ევროკავშირის წევრი. კავშირში იმ ქვეყნის შემოსვლა, რომლის მთავარი რელიგია ისლამია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ეს ბოლოს მოუღებს გარკვეულ ევროპულ წრეებში არსებულ საკმაოდ ფუნდამენტურ ტენდენციებს, რომლებსაც უნდათ, რომ ევროპა მხოლოდ ქრისტიანებისთვის დარჩეს. ევროპა უნდა იყოს დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, შემწყნარებლობისა და ყველა რელიგიის აყვავების ადგილი.

- ამას წინათ იტალიურ გაზეთ "ლა სტამპასთან" ინტერვიუში ევროკომისიის პრეზიდენტმა რომანო პროდიმ განაცხადა, რომ რუსეთი ვერასოდეს გახდება ევროკავშირის წევრი...

- დღეს ძნელია გადაჭრით რაიმეს თქმა. თუმცა, არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება. რუსეთი თავად არის კონტინენტი. მე ვფიქრობ, რომ ევროკავშირს რუსეთთან რადიკალურად განსხვავებული პოლიტიკა უნდა ჰქონდეს. ჩვენ ამჟამად ვკამათობთ კალინინგრადში მცხოვრებთათვის ვიზების პრობლემის შესახებ. მე ვფიქრობ, რომ ეკონომიკურადაც და პოლიტიკურადაც გაცილებით მომგებიანი იქნებოდა, ევროკავშირს რომ მიეღო რუსეთის პრეზიდენტ პუტინის წინადადება, კალინინგრადის ზონაში, არა მხოლოდ ფულისა და საქონლის, არამედ ევროკავშირისა და რუსეთის მოქალაქეთა თავისუფალი ურთიერთობების შესახებაც. ეს, რა თქმა უნდა, მოითხოვს ძირეულ ცვლილებებს რუსეთში. სასწრაფოდ უნდა დასრულდეს ომი ჩეჩნეთში და მოხდეს დეკოლონიზაციის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება; ბოლო უნდა მოეღოს აგრესიულ პოლიტიკას მეზობელი ქვეყნების, პირველ რიგში, საქართველოს მიმართ; განხორციელდეს ეკონომიკური და იურიდიული რეფორმები, რაც ევროპელ ინვესტორებს ნორმალური მუშაობის საშუალებას მისცემს; ასევე აუცილებელია რუსეთ-ევროკავშირის სააგენტოს შექმნა, რომელიც რუსეთის სამხედრო და სამოქალაქო ბირთვული ნარჩენების გადამუშავების საკითხით დაკავდება. მიმაჩნია, რომ სულ მცირე პოლიტიკური ნების შემთხვევაში, ყველაფერი ამის განხორციელება სავსებით შესაძლებელია.

- ხომ არ ფიქრობთ, რომ ევროკავშირის გაფართოება ავტომატურად გააღრმავებს კავშირის ქვეყნებში არსებულ შიდა უკმაყოფილებას?

- ჩემი აზრით, ევროკავშირის მოქალაქეთა უკმაყოფილება, შიში ახალი ქვეყნების მიღების გამო, პირველ რიგში გამოწვეულია ევროპული ინსტიტუტებში დემოკრატიის დეფიციტით, მათი მისიებისა და მანდატების გაურკვევლობით. როგორც წესი, ევროპელი მოქალაქეებისთვის ძალიან ძნელი გასაგებია, თუ ვის ეკისრება კავშირის მიღებულ გადაწყვეტილებებზე პოლიტიკური პასუხისმგებლობა - მისი ქვეყნის ხელისუფლებას, თუ ევროკავშირის ინსტიტუტებს. ეს სერიოზული პრობლემაა. ამიტომ, ამჟამად განხილვის პროცესში მყოფ ხელშეკრულებაში, რომელიც ევროკავშირის პოლიტიკურ მომავალს ეხება, ამ საკითხს პრიორიტეტული მნიშვნელობა მიენიჭება.

მასხადოვთან მოლაპარაკებებში შუამავლად ვლადიმირ პუტინი ევგენი პრიმაკოვს ამზადებს

რუსუდან ნიკურაძე

საქ.კორ.მოსკოვში

ამის შესახებ უკვე ინფორმირებულია ჩეჩნეთის კონფლიქტის დარეგულირებაში მონაწილე რუსი პოლიტიკოსების ერთი ჯგუფი, რომლის წევრებიც ამ დღეებში მასხადოვის წარმომადგენელ ახმედ ზაკაევთან დიალოგის მორიგი რაუნდის გასამართად ლიხტენშტეინში მიემგზავრებიან. პრიმაკოვის კანდიდატურა მათთვის მისაღებია იმდენად, რამდენადაც ეს რუსეთის პრეზიდენტის არჩევანია. წინა მოლაპარაკებებზე მხარეებმა უკვე განიხილეს ჩეჩნეთის კონფლიქტის დარეგულირების მთელი პრობლემატიკა. შედეგად, დაიწერა მეამბოხე რესპუბლიკის რუსეთის შემადგენლობაში დაბრუნების იმდენი გეგმა, რამდენი წევრიც შედის ზემოთნახსენებ ჯგუფში.

რუსეთის უზენაესი საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის, რუსლან ხასბულატოვის სქემის მიხედვით, რომელიც 20 სამშვიდობო ინიციატივას შეიცავს, ჩეჩნეთი რუსეთის სუბიექტი არ იქნება, ოლონდ რჩება მისი სახელმწიფო და სამართლებრივი გავლენის სფეროში. ჩეჩნეთი რჩება რუსული რუბლის ზონაში; ხელმძღვანელ პოსტებზე ჩეჩნები დაინიშნებიან, რუსეთი კი ვალდებულებას იღებს, დაეხმაროს რესპუბლიკას ომით მიყენებული ზარალის ლიკვიდირებაში, საერთაშორისო კავშირების დაყარებასა და ეკონომიკის გაცოცხლებაში, ანუ ხასბულატოვის გეგმა იმეორებს დარეგულირების "ავღანურ მოდელს".

რუსეთის უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივნის ივან რიბკინის სქემის თანახმად კი, ჩეჩნეთის პოლიტიკური სტატუსი რუსეთის შემადგენლობაში დარჩენილი ავტონომიის ფართო უფლებებს გულისხმობს. რიბკინი დარეგულირების მასხადოვისეული ვარიანტის მომხრეა და მან 15 პუნქტისაგან შემდგარი ეს ერთობლივი (მისი და მასხადოვის) გეგმა უკვე უჩვენა პრეზიდენტ პუტინს. პუტინს, როგორც ჩანს, მასხადოვის გეგმა მოეწონა, ან მას გარემოცვამ ურჩია, რომ კონკრეტულად ეს გეგმაა მისაღები.

მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე ივან რიბკინმა დაადასტურა, რომ კრემლთან სამშვიდობო მოლაპარაკებების ინიციატივა პრეზიდენტ ასლან მასხადოვისაგან მოდის და მასხადოვი რუსეთის შემადგენლობაში ჩეჩნეთის დარჩენის წინააღმდეგი არ არის. რიბკინი აცხადებს, რომ მასხადოვს სურს და ხელს აძლევს კიდეც მოლაპარაკებების წარმოება. პუტინი კი, ჯერჯერობით, ამ საკითხზე დუმილს ამჯობინებს, რაც იმის მაუწყებელია, რომ ასეთი გეგმის საწინააღმდეგო არაფერი აქვს. ჩვენი გაზეთისთვის ცნობილი გახდა, რომ რუსეთის პრეზიდენტი ამ დღეებში აქტიურ დიალოგს აგრძელებს ევგენი პრიმაკოვთან, რომელსაც, ყველასათვის მოულოდნელად, ჩეჩნეთის პრობლემის მშვიდობიანი დარეგულირების 6 უნიკალური თეზისი აღმოაჩნდა.

თავად ევგენი პრიმაკოვი ამ გეგმის თაობაზე ჟურნალისტებს არაფერს ეუბნება, თუმცა, მისმა თანაშემწემ განაცხადა, რომ **"პრიმაკოვის გეგმა, კონფლიქტის საბოლოოდ გადაჭრის მიზნით, მასხადოვთან პირდაპირ დიალოგს ითვალისწინებს".**

პრიმაკოვთან გასაუბრება მოახერხა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა ასლანბეკ ასლახანოვმა, რომელმაც "24 საათთან" საუბარში დაადასტურა პრიმაკოვ-პუტინის შეხვედრების ფაქტი. "დიდად არ ვესწრაფი მასხადოვთან მოლაპარაკებებში შუამავლობას, მაგრამ თუ პუტინი დამავალებს, უარს არ ვეტყვი", - უთქვამს ევგენი პრიმაკოვს, რომლის ექვსი თეზისი ჩეჩნეთის ყველა საველე მეთაურთან პირდაპირ დიალოგსაც ითვალისწინებს.

ამ საკითხზე საუბრისას დეპუტატმა ასლახანოვმა აღნიშნა, რომ პირადად იგი ჰიტლერსაც დაელაპარაკება, ოღონდაც ჩეჩნეთის პრობლემის გადაჭრა მკვდარი წერტილიდან დაიძრას. მისი თქმით, ჯერჯერობით, კრემლს არავისთვის მიუნიჭებია მასხადოვთან პირდაპირი დიალოგის უფლებამოსილება. ასლახანოვი იმასაც ამტკიცებს, რომ ერთ-ერთი შეხვედრისას პრეზიდენტმა გამოთქვა სურვილი, რაც შეიძლება მალე დაასრულოს ჩეჩნეთში მიმდინარე ოპერაცია და **"წერტილი დაუსვას იმ "ბარდაგს", რაც დღეს იქ სუფევს".**

"პუტინი არასოდეს ყოფილა სამშვიდობო მოლაპარაკებების წინააღმდეგი, ოღონდ იგი ვერასოდეს შეურიგდება რუსეთის შემადგენლობიდან ჩეჩნეთის გასვლას," - ამბობს ასლახანოვი. დეპუტატი ამტკიცებს, რომ ასლან მასხადოვიც თანახმაა რუსეთის შემადგენლობაში ჩეჩნეთის განსაკუთრებული სტატუსით დატოვების წინადადებაზე, **"რომლის შედეგადაც ჩეჩნეთი, ფენიქსისამებრ, შეიძლება, ფერფლიდან აღდგეს".**

ასეთ თვალსაზრისს კატეგორიულად არ ეთანხმება რუსლან ხასბულატოვი, რომელიც აცხადებს, რომ **"რუსებსა და ჩეჩნებს შორის ორასი ათასი გვამია, რაც შერიგებას ხელს შეუშლის".**

მეორე რუსი პარლამენტარი, "ნოვაია გაზეტას" მთავარი რედაქტორის მოადგილე, ფრაქცია "იაბლოკოს" წევრი იური შჩეკოჩიხინი, ჩვენს გაზეთთან საუბარში აცხადებს, რომ ისინი მიესალმებიან მასხადოვთან მოლაპარკებებში შევარდნაძის შუამავლობასაც, თუკი ეს ფაქტი წაადგება რუსეთის შემადგენლობაში ჩეჩნეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრას.

ასლამბეკ ასლახანოვი რუსეთ-ჩეჩნეთის სამშვიდობო მოლაპარაკებებში შევარდნაძის შუამავლობას ასე ახასიათებს: **"მე მივესალმებოდი ამ ფაქტს, თუკი მოლაპარაკებების პროცესი დაზღვეული იქნება ავანტიურისაგან და ორივე მხარის –რუსეთისა და ჩეჩნეთის - ინტერესებს გამოხატავს. დღეს რუსეთში ბევრია შევარდნაძით უკმაყოფილო, მაგრამ, თუკი იგი მასხადოვთან მოლაპარაკებას შეძლებს და ამით რუსეთის ინტერესები არ შეიბღალება, მთელი რუსეთი შევარდნაძის მადლიერი დარჩება".**

ფაქტია, რომ კრემლს დღეს ხელს არ აძლევს საკუთარ ტერიტორიაზე კრიმინალური და დაუმორჩილებელი ბანდიტური ანკლავის შენარჩუნება, სადაც ფედერალური ხელისუფლება კონსტიტუციურ წესრიგს ვერაფრით ამყარებს. უტოპიაა იმაზე ფიქრი, რომ პრეზიდენტ პუტინს საკუთარი ანტიტერორისტული ოპერაციის ეფექტურობის იმედი შერჩა. კრემლს ჩეჩნეთის ჭაობში ჩაფლული რუსეთის ძლევამოსილი არმიის წარმატებათა ილუზიაც კი გაუქრა.

რუსეთის პოლიტიკური წრეები ანაგარიშს უწევენ მეორე ფაქტსაც - მასხადოვის წარმომადგენლებთან მოსკოველი პოლიტიკოსების დაწყებული დიალოგი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მხარდაჭერილი აქციაა.

მოსკოველი ანალიტიკოსები, მასხადოვთან დიალოგში ევგენი პრიმაკოვის ჩართვას, ჩეჩნეთის გამო პუტინის დაცემული რეიტინგისა და საერთაშორისო იმიჯის გადარჩენის ერთადერთ შანსად განიხილავენ. ისინი ამტკიცებენ, რომ მასხადოვთან მოლაპარაკებებით რუსეთის პრეზიდენტი, ფაქტობრივად, საარჩევნო კამპანიას იწყებს.

მოსკოვში კარგად ინფორმირებული წყაროები ამტკიცებენ, რომ კიშინიოვის სამიტზე შევარდნაძე-პუტინს შორის საუბრისას, დაიბადა მასხადოვთან მოლაპარკებებში საქართველოს პრეზიდენტის ჩართვის იდეა. იგივენი ამტკიცებენ, რომ ევგენი პრიმაკოვის კანდიდატურა მოგვიანებით გაჩნდა, როცა თავად პრიმაკოვმა ჩეჩნეთის დარეგულირების ექვსი ისეთი თეზისი წარუდგინა კრემლს, რომელიც რუსეთის ინტერესებს არაფრით ეწინააღმდეგება და, რაც მთავარია, პუტინის ნაციონალისტურ იდეებთან სრულ ჰარმონიაშია. მოსკოვში ამტკიცებენ, რომ კრემლი არჩევანს პრიმაკოვზე შეაჩერებს.

www.24hours.ge
24
B

დღის პერსონა

ხალხი დაიღალა მხილების პათოსით

პარლამენტში განხორციელებული დემარშის ერთ-ერთი მონაწილე ფრაქცია "ახალი აფხაზეთი - ქრისტიან-დემოკრატებიც" იყო. ვაჟა ლორთქიფანიძისგან - დიპლომატიური ყაიდის არარადიკალური პოლიტიკოსისგან - ასეთ თამამ ნაბიჯს არავინ ელოდა. თუმცა, შემდეგ, იგი ოპოზიციური პარტიების არც ერთ შეხვედრაზე არ გამოჩენილა. რა არ ითქვა: თითქოს მან პირადი წყენის გამო არ მოუსმინა პრეზიდენტს; რომ ამ ნაბიჯით ლორთქიფანიძემ თავი შეახსენა საზოგადოებას; რომ რაღაც ახალსა და ხმაურიანს იწყებს...
გუშინ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში მის მიერ ორგანიზებულ დისკუსიაზე კი, მეცნიერებთან შესახვედრად, ყველა პოლიტიკური ძალა მოვიდა. ვაჟა ლორთქიფანიძემ დროებით მივიწყებული თემის - "ფედერალიზმი და ტერიტორიული დეცენტრალიზაციის პერსპექტივები საქართველოში" - წამოწევით საზოგადოების ყურადღება კიდევ ერთხელ მიიპყრო.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ვაჟა ლორთქიფანიძე

მაია ჭალაგანიძე

- პარლამენტიდან დემარშის შემდეგ ეს იყო თქვენი პირველი გამოჩენა ხალხში.

- ვერ დაგეთანხმებით. არსად წავსულვარ...

- დარბაზიდან გამოსული სხვა ძალები ბევრჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, თქვენ იქ არ ყოფილხართ.

- ხალხს თქვენ მარტო იმათ ეძახით?...(იცინის) დარბაზის დატოვება ჩემი დამოკიდებულება იყო იმ კონკრეტული დღისადმი.

- პრეზიდენტის გამოსვლისადმი?

- იმ კონკრეტული შემთხვევისადმი, რაც დარბაზში მოხდა. საქმე ისაა, რომ სულ სხვაგვარად ვიყავით შეთანხმებული.

ქვეყანაში ძალზე დაძაბული ვითარებაა. პიკს აღწევს დაპირისპირება სხვადასხვა პოლიტიკურ ორგანიზაციათა ლიდერებს შორის. გარეშე ძალებიც გააქტიურდნენ. ასე რომ, ყოვლად აუცილებელია შეთანხმება მცირე რაოდენობის საკითხებზე მაინც და პოზიციათა დაფიქსირება. 10 ოქტომბერს გარკვეული მცდელობა იყო იმისა, რომ ურთიერთდაპირისპირებული პოლიტიკური ორგანიზაციები ერთმანეთს დალაპარაკებოდნენ და რამდენიმე საკითხზე მაინც შეთანხმებულიყვნენ. არავითარ გარიგებებზე არ ყოფილა საუბარი. უბრალოდ, წინასწარ კონსულტაციებზე შევეცადეთ, ქვეყნისთვის საჭირო მსოფლმხედველობრივი კონსენსუსისთვის მიგვეღწია. შეთანხმების გარკვეული სიმპტომები გამოჩნდა. ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე მწვავე საკითხის გარშემო დიალოგის გამართვა იგეგმებოდა.

კონსულტაციებზე წინასწარ შევთანხმდით იმ დებატების ხასიათზე, რომელიც პარლამენტში პრეზიდენტის გამოსვლის შემდეგ უნდა გამართულიყო. სამწუხაროდ, ეს პირობა დაირღვა.

- ვინ დაარღვია?

- არა იმ ადამიანებმა, ვინც დარბაზი დატოვა. მაშინ, არ გამოვიდოდი მათთან ერთად. ეს უფრო იმათი ბრალია, ვისაც ევალებოდა ამ დღის მომზადება. მხედველობაში მყავს აღმასრულებელი და არა - საპარლამენტო ხელისუფლება. ეს დემარში იმ ადამიანების ბრალია, ვინც ცდილობს, პრეზიდენტს მათთვის სასურველი ვითარება წარმოუჩინონ. რეალობა კი ამისაგან ძალზე შორს დგას.

რადგანაც გამოსავლის ძიებაში ვმონაწილეობდი, დარბაზში დარჩენის არავითარი მორალური უფლება არ მქონდა. ჩემი მხრიდან ეს არასერიოზულობა და უპრინციპობა იქნებოდა.

- თქვენ ხართ ფრაქცია "ახალი აფხაზეთი – ქრისტიან-დემოკრატების" თავმჯდომარე. როგორია თქვენი დამოკიდებულება აფხაზეთის საკითხებში ასლან აბაშიძის ინიციატივებისადმი.

- ვინც კი შეჭიდებულია აფხაზეთის პრობლემას და იბრძვის მისი დაბრუნებისთვის, ჩემი დამოკიდებულება აბსოლუტურად ნორმალური იქნება. მათ შორის - აბაშიძის მიმართაც. მოხარული ვიქნები, თუ მას რაიმე გამოუვა.

- მრავალი წელი წარმართავდით აფხაზებთან მოლაპარაკებებს და კარგად იცნობთ სირთულეებს. რა აზრის ხართ იმ მოთხოვნებზე, რასაც ასლან აბაშიძე ცენტრალურ ხელისუფლებას უყენებს. ვგულისხმობ ეკონომიკური ბლოკადის მოხსნას, რკინიგზის აღდგენასა და ა. შ.

- სამწუხაროდ, აბაშიძის პროგრამას არ ვიცნობ. თუმცა, ამ საკითხებზე მყარად ჩამოყალიბებული მოსაზრებები მაქვს. მიმაჩნია, რომ ეკონომიკური ბლოკადა, როგორც ასეთი, არ არსებობს. ალბათ, საუბარია იმ დოკუმენტზე, რომელსაც 1996 წლის 19 იანვარს მოაწერეს ხელი დსთ-ს მეთაურებმა. იქ ბლოკადის შესახებ სიტყვაც არ არის ნახსენები. ბლოკადა ამას რატომღაც შემდგომ ეწოდა.

ამ დოკუმენტის შექმნაში მეც ვმონაწილეობდი და კარგად მახსოვს, რაც იქ წერია: რომ "აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია" და, აქედან გამომდინარე, აფხაზეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები დსთ-ს ქვეყნებმა, მათ შორის რუსეთმა, მხოლოდ საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით უნდა აწარმოოს. სად არის აქ ნახსენები ბლოკადა, ან რომელი მუხლი უნდა გაუქმდეს?! ის მუხლი, რომ აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია, განხილვას არ ექვემდებარება. თუკი აფხაზეთი საქართველოს შემადგენელი ნაწილია, საქართველოს მთავრობა, უბრალოდ, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების საქმის კურსში უნდა იყოს. ეს რა, ბლოკადაა? არც ერთი და არც მეორე ბლოკადად არ მიმაჩნია.

სხვათა შორის, როცა ამ დოკუმენტს ხელი მოვაწერეთ (საუბარია 1996-1999 წლებზე), აფხაზეთთან დამყარებული ეკონომიკური ურთიერთობები სწორედ საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით ხორციელდებოდა.

რაც შეეხება რკინიგზის გახსნას, ამ საკითხს 1994 წლიდან აფხაზეთის და რუსეთის მხარეები აყენებდნენ. ეს ეკონომიკურად ძალიან მნიშვნელოვანია სომხეთისთვის, აზერბაიჯანისთვის და, სხვათა შორის, საქართველოსთვისაც. მაგრამ აქ დგას ერთი საკითხი: აფხაზეთის მონაკვეთზე გამავალ რკინიგზას ძირითადად და, შეიძლება ითქვას, სრულადაც ის ხალხი ემსახურებოდა, ვინც დღეს იმ ტერიტორიიდან არის დევნილი. როცა 1995 წელს რუსებს ეს შეკითხვა დავუსვი, მათ მითხრეს, რომ ჩამოიყვანდნენ ხალხს, ვინც ამას შეძლებდა. ვსვამ კითხვას: ვინც ამას აკეთებდა, დევნილია და უკან არ აბრუნებენ, სანაცვლოდ უცხო ხალხი ჩამოჰყავთ - განა ეს საკითხის ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტა იქნება?! ჩვენ ყოველთვის ასე ვაყენებდით საკითხს: რკინიგზის ამუშავება უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენაა, მაგრამ ეს პირდაპირ უკავშირდება ლტოლვილების დაბრუნების პროცესს.

სრული დაბეჯითებით შემიძლია გითხრათ, რომ იმ პერიოდში, როცა მე ვიყავი ჩართული პრობლემის მოგვარების საქმეში, არც აფხაზები და არც რუსები რკინიგზის საკითხს აღარ აყენებდნენ. ერთი მხარეც იზიარებდა ამ პოზიციას და მეორეც.

- შიდა პოლიტიკური დაძაბულობა ხელს უშლის საქართველოსთვის ხელსაყრელად განვითარებული საგარეო მოვლენების სასიკეთოდ გამოყენებას. როგორ უყურებთ დღევანდელ პოლიტიკურ სპექტრს საქართველოში? თქვენი აზრით, როგორ განლაგდებიან პოლიტიკური ძალები?

- პროგნოზირება ცოტა რთულია, თუმცა, გარკვეული გადაჯგუფება მოხდება, რადგანაც, ცალკე მდგომი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც არ უნდა იყოს ის, ძალაუფლების ასაღებად საჭირო რაოდენობის ხმებს ვერ მიიღებს. პოლიტიკური ძალების ამოცანა კი სწორედ ხელისუფლებაში მოსვლაა. სხვაგვარად ისინი თავის ამოცანას ვერ შეასრულებენ. ამიტომ აუცილებელი იქნება სხვადასხვა პოლიტიკური ძალების გაერთიანება. მივესალმები ისეთ გაერთიანებას, რომელიც ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე მოხდება. საერთოდ, ასე მგონია, რომ ქართული პოლიტიკის ხვალინდელი დღე იმ პოლიტიკურ ძალებს ეკუთვნით, ვისაც არა ნგრევის, არამედ შენების, საქმის კეთების პათოსი ექნებათ.

ხალხი დაიღალა მხილების პათოსით, დაპირისპირებით, ლანძღვა - გინებით. ბაღდათში ხშირად ვმართავ შეხვედრებს მოსახლეობასთან. იქ ბრძენი ხალხი ცხოვრობს, ისე, როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში. მათთვის მთავარია, ვინ რას გაუკეთებს. ისინი ითხოვენ ძალიან, ძალიან ცოტას - მათ უნდათ მხოლოდ საქმე, რომლითაც იცხოვრებენ. ჩვენ ამასაც ვერ ვუკეთებთ და ამის სანაცვლოდ ვეუბნებით, ვინ როგორ ლანძღავს ერთმანეთს, ვინ გადადგა, ვინ დაინიშნა... მაგრამ, ეს პროცესი, მაინც სახადია და მალე გაივლის. ეს ახასიათებს გარდამავალი ტიპის პოლიტიკოსებსა და ქვეყნებს. თუ შენიშნეთ, რადიკალიზმი ცხრება. რადიკალური უნდა იყო, როცა პრინციპული საკითხებია გადასაჭრელი და რადიკალური მოქმედებებია საჭირო. ექიმს ვერ ურჩევ - რადიკალურად უნდა უმკურნალოს ავადმყოფს თუ კონსერვატიულად. ერთ შემთხვევაში ერთი განკურნავს, მეორეში - მეორე. სწორედ მაშინაა ექიმი ძლიერი, როცა საჭირო მეთოდს გამოძებნის.

- ამჟამად თქვენი პარტნიორი, ქრისტიან-დემოკრატი ირაკლი შენგელაია, ჯერ კიდევ პირველ პარლამენტში საუბრობდა ქვეყნის ფედერალურ მოწყობაზე. მაშინ მას არც ისე მრავლად ჰყავდა მომხრეები. რატომ დადგა სწორედ დღეს ასე მწვავედ ეს საკითხი?

- დღეს დაგვიანებულიც კია ქვეყნის მოწყობაზე ფიქრი. არჩევნებამდე ერთი წელია. თუ ჩვენ ახლავე არ გავარკვევთ, როგორ ქვეყანაში გვინდა ცხოვრება, კიდევ ოთხი წელი გადაიდება ტერიტორიული მოწყობის საკითხი. ეს მარტო კონფლიქტების მოგვარებისთვის არაა მნიშვნელოვანი, ეს ცხოვრების მოწყობისთვისაც აუცილებელია.

- თავად როგორ ფედერალიზმს უჭერთ მხარს?

- სიტყვა "ფედერალურს" არ ვიხმარდი. აქ , ჩემი აზრით, უპრიანია ტერმინი - უფლებამოსილებათა გამიჯვნა. ფედერალიზმის ერთმანეთთან ძალზე მიმსგავსებული 500-ზე მეტი განმარტება და 20-ზე მეტი თეორია არსებობს. ამიტომაც უფრო მოსახერხებლად მიმაჩნია სიტყვა - კომპეტენციების გამიჯვნა. თავისთავად, ეს ფედერალიზმი, ანუ უფლებამოსილების გადანაწილება ცენტრსა და რეგიონებს შორის, დემოკრატიის განვითარებამ, პოლიტიკური ცივილიზაციების განვითარებამ მოიტანა. უნიტარიზმი, ანუ ცენტრალიზებული მართვა საკითხების გადაწყვეტის ბევრად უფრო ნაკლებ შესაძლებლობებს იძლევა. რა თქმა უნდა, ქვეყნის მართვაში სამოქალაქო საზოგადოებამ, მასმედიამ უნდა მიიღოს მონაწილეობა. დღეს ყველაფერი მოუწყობელია, არავინ იცის, ვის რა ფუნქციები აქვს, ვინ რაზე აგებს პასუხს... აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ისტორიული გამოცდილება, ეთნიკური თავისებურებები, კუთხეების ისტორიული დაყოფა და ა. შ. ეს ძალზე მნიშვნელოვანია.

- რა იქნება თქვენი მოძრაობის შემდეგი ნაბიჯი?

- არა, ასე ხმამაღლა ამ სიტყვას ჯერ არ ვხმარობ. ეს, უბრალოდ, აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობათა ცენტრის, ჩემი, როგორც პოლიტიკოსისა და მეცნიერის, მცდელობაა ზედმეტი პოლიტიზირების გარეშე შევაჯეროთ აზრები.

- მაგრამ შეხვედრაში პოლიტიკოსებიც იღებდნენ მონაწილეობას...

- მათ ეს დღეს ძალზე კარგად მიიღეს და მადლობელი ვარ, რომ ერთმანეთს ყოველგვარი პოლიტიკური განცხადებების გარეშე მოუსმინეს. პოლიტიკოსები გადაეჩვიენ მეცნიერთა მოსმენას, საერთოდ, ადამიანები აღარ უსმენენ ერთმანეთს. დღევანდელ შეხვედრაზე ამის საპირისპირო რამ მოხდა.

- რა გეგმები გაქვთ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით?

- ძალზე ადრეა ამაზე საუბარი. გეგმები, რა თქმა უნდა, მაქვს და არც ვმალავ, საჯარო პირი ვარ და ჩემი ქმედებები არ იქნება დამალული საზოგადოებისთვის. მაგრამ ამის შესახებ საუბარს გარკვეული პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტის შემდეგ ვაპირებ.

- როგორ ემზადებით პოსტშევარდნაძისტული ეპოქისთვის?

- საერთოდ, ყველა უნდა ემზადოს და გნებავთ პოსტშევარდნაძისტული ეპოქა დაარქვით, გნებავთ - რაც გინდათ. ჩვენ არ უნდა მოვერგოთ იმას, ვინც უფრო იოლად მოვა ხელისუფლებაში, არამედ, იმ მოდელს უნდა ვირჩევდეთ, რაც საქართველოსთვის უკეთესია. უნდა განვსაზღვროთ ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის მოდელი და მხოლოდ ამის შემდეგ - მართვის მოდელი. ეს უნდა განვსაზღვროთ ახლა, თორემ ლორთქიფანიძე გახდება პრეზიდენტი, თუ სხვა ვინმე, ჩემთვის ეს ძალზე უინტერესო და ნაკლებ მნიშვნელოვანია.

- ვისთან გეგმავთ გაერთიანებას?

- ძალზე ბევრ ორგანიზაციასთან ვთანამშრომლობ, ჩემს საბოლოო მოსაზრებებს მოგვიანებით გავაცხადებ.

p.s. *მოგვიანებით ვაჟა ლორთქიფანიძე საპარლამენტო დემარშის მონაწილე ფრაქციათა შეხვედრას დაესწრო. შეხვედრა დახურული იყო. კონსულტაციები სხვადასხვა ძალებს შორის, სხვადასხვა თემაზე გრძელდება.*

კულტურის ამბები

"ბუკერის" ცრუ ფინალისტი

ორიოდე დღის წინ "ბუკერის" ლიტერატურული პრიზის კომისიამ საკრალური შეცდომა დაუშვა. სრულიად შემთხვევით, შეცდომით დაასახელეს "ბუკერის" ჯილდოს მფობელის ვინაობა. ორგანიზაციის ოფიციალურ ინტერნეტ-საიტზე გაჩნდა ინფორმაცია, რომ წლის მთავარი ლიტერატურული ჯილდოს მფლობელი კანადელი მწერალი, იან მარტელი გახდა (ავტორი წიგნისა "პის ცხოვრება"). არადა, "ბუკერის" ფინალისტის გამოცხადება კომისიას სამშაბათისთვის ჰქონდა გადაწყვეტილი. მანამდე ჟიურის წევრები საბოლოო მოლაპარაკებებს აწარმოებენ და შეხედულებებს აჯამებენ.

"ეს სუფთა ადმინისტრაციული შეცდომა იყო. საქმე ის გახლავთ, რომ ექვსივე ბოლო ტურში გასული კანდიდატისთვის ჩვენ წინასწარ ვამზადებთ პრეს-რელიზებს და შემდეგ, ჟიურის საბოლოო გადაწყვეტილების შესაბამისად, ერთ-ერთს ვაქვეყნებთ ხოლმე. იმ დღეს ინტერნეტ-საიტის მუშაობას ვამოწმებდით და ვებ-ადმინისტრატორს მარტელის პრეს-რელიზი გავუგზავნეთ. ეს ავტორი საიტზე გამარჯვებულის ამპლუაში მხოლოდ იმ მიზეზით მოხვდა, რომ ის ანბანის მიხედვით დაწყობილ ექვსკაციან სიაში პირველია. შეცდომაც აქ გაიპარა – სრულიად შემთხვევით მარტელის პრეს-რელიზი ინტერნეტ-საიტზე რეალურად განათავსეს და საზოგადოებამაც წაიკითხა. "ბუკერის" პრიზის მფლობელის შესახებ ცრუ ჭორებიც აქედან აგორდა", - ასე განმარტა სიტუაცია "ბუკერის" ერთ-ერთმა ორგანიზატორმა.

საინტერესოა, რომ ცნობა მარტელის გამარჯვების შესახებ ინტერნეტ-საიტზე სულ ოციოდე წუთის განმავლობაში იდო. შეცდომის დაფიქსირებისთანავე, სპეციალისტებმა ინფორმაცია წაშალეს, მაგრამ ეს ოცი წუთი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ლიტერატურული სამყარო "ბუკერის" პრიზის ცრუ მფლობელზე ალაპარაკებულიყო.

"ბუკერის" რეალურ გამარჯვებულს კომისია დღეს დაასახელებს. ექვსკაციან სიაში კი, იან მარტელის გარდა, შედიან: როჰინტონ მისტრი, სარა უოტერსი, ტიმ უინტონი, უილიამ ტრევორი და კაროლ შილდსი. ფინალისტი ავტორი, საერთაშორისო აღიარებასა და დიდ ტირაჟთან ერთად, 77 ათას დოლარსაც მიიღებს.

პრიზი პრეზიდენტისგან

რობერტო ბენინი, რომელმაც 1999 წელს ფილმისთვის "ცხოვრება მშვენიერია" ოსკარი მიიღო, კიდევ ერთი პრემიის ლაურეატი გახდა. თავისი ბოლო სურათის, "პინოქიოს" წარმატებული პრემიერის შემდეგ მან რომში მშვიდობის პრემია მიიღო, რომელიც ნობელის პრემიის ლაურეატმა, ყოფილმა საბჭოთა კავშირის პრეზიდენტმა მიხაილ გორბაჩოვმა და ქალაქმა რომმა გადასცეს.

პრიზი პრეზიდენტის ცოლს

ამავე დროს, ახლანდელი რუსეთის პრეზიდენტის მეუღლეს, ლუდმილა პუტინას, იაკობ გრიმის პრემია გადაეცა "რუსეთში გერმანული ენის შესწავლის ტრადიციის აღორძინებისა და ხელშეწყობისათვის". თურმე რუსეთში მილიონობით მოსწავლე ეუფლება სკოლაში გერმანულ ენას, მათი რიცხვი ბევრად აღემატება სხვა ქვეყნებში ამ ენის შესწავლის მსურველთა რაოდენობას (თავად რუსეთის მასშტაბების შესახებ მისასალმებელ სიტყვაში არაფერი თქმულა). "შილერისა და გოეთეს ენა ჩემს ქვეყანაში დიდი როლს თამაშობს," - ბრძანა ქ-ნმა პუტინამ, ოღონდაც არ დაუზუსტებია, რა როლზეა საუბარი.

"კატები" ბერლინში

კვირას ბერლინის მუსიკალური თეატრი პოტსდამის მოედანზე ენდრიუ ლოიდ ვებერის "კატებით" გაიხსნა. წინა სამი სეზონი, 2002 წლის 30 ივნისამდე, ამ თეატრში დიდი წარმატებით სარგებლობადა დისნეის მიუზიკლი "ნოტრ დამის მნათე".

პრემიერას 2 ათასი საპატიო სტუმარი დაესწრო, მათ შორის კომპოზიტორი და პროდუსერი ლოიდ ვებერიც. "კატების" მელოდრამის ნახვის მსურველთა რაოდენობამ მოლოდინს გადააჭარბა: ამ დღისთვის 80 ათასი ბილეთი გაიყიდა.

ბერლინში კატებს ახალი ფისოც შეუერთდა – პატარა ელექტრა, ცნობისმოყვარე და მამაცი არსება, რომელსაც დიდი სიყვარული ეწვევა.

კულტურა

სასტუმრო „ივერიით„ თავზარდაცემული ვასილი ლანოვოი და ჩაშლილი საფეხბურთო მატჩი

საბჭოთა პერიოდში უაღრესად პოპულარული რუსი მსახიობი ვასილი ლანოვოი თბილისში რუსეთის საფეხბურთო ნაკრებს ჩამოჰყვა. მოგეხსენებათ, ამ შეხვედრის ირგვლივ დიდი აჟიოტაჟი და მითქმა-მოთქმა სუფევდა. მატჩს გაცილებით მეტს უკავშირებდნენ, ვიდრე ჩვეულებრივ ხდება ხოლმე ასეთ დროს.

B2

ნამცეცები ჩადგმით

ამ ერთი თვის წინ, ფესტივალ "შემოდგომის თბილისის" ფარგლებში ნაჩვენები კამა გინკასის "კ.ი. დანაშაულიდან" რომ ვნახე, პირველად ის ვიფიქრე, ნეტა რა მოხდებოდა, ასეთი სპექტაკლი სხვა დროს რომ ჩამოეტანათ მეთქი, დაახლოებით 10-12 წლის წინ.

B2

დიასპორა

ქართველი ხალხი უკეთეს ხვედრს იმსახურებს

ჩემი რესპოდენტი საოცრად თბილი, მხიარული ღიმილით მხვდება და მისი უშუალო, დახვეწილი თავაზიანობა მაშინვე გულღია საუბრის განწყობას ქმნის, თუმცა, იქვე გამომიტყდა: "უნდა მაპატიოთ, რომ ცოტა სტრესულ მდგომარეობაში ვარ, წუხანდელს შემდეგ, ჯერ შოკიდან არ გამოვსულვარ.

B4

„ჩვენ განვიცადეთ კვლევის მთელი სილამაზე"

ლუნდელი მკვლევარების ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ ინსულტის შემდეგ ხდება ახალი ნერვული უჯრედების წარმოქმნა. ამ ახალმა ამბავმა, რომელიც აგვისტოში გამოქვეყნდა, მთელი შვედეთი და საზღვარგარეთი განაცვიფრა.

B5

„საქართველოში ცხოვრებას ვაპირებ და სხვანაირად ვერც წარმომიდგენია„

როგორც თვითონ ამბობს, "ერთი თბილისელი ბიჭია" და გულწრფელად გაოცდა, როდესაც ინტერვიუს ჩასაწერად შეხვედრა ვთხოვე; შეხვედრისას მორცხვად გაიღიმა: "ნამდვილად არაფერი გამიკეთებია, დასაწერად რომ ღირდეს, რიგითი მოქალაქე ვარ: დათო ჭყონია, დაბადებული 1978 წელს."

B5

სპორტი

დაუმარცხებელი არც "რეალია"

შაბათს, 19 ოქტომბერს, მადრიდის "რეალი" წლევანდელ სეზონში პირველად დამარცხდა. "ეს იყო ჩვენი ყველაზე ცუდი მატჩი იმ ხნის მანძილზე, რაც მე აქ ვარ", - განაცხადა მადრიდელთა მწვრთნელმა ვისენტე დელ ბოსკემ სანტანდერის "რასინგთან" დამარცხების შემდეგ. შეგახსენებთ, რომ დელ ბოსკე "რეალს" 1999 წელს ჩაუდგა სათავეში.

B7

იტალიური პასუხი ფრანგებს

დღეს განახლდება უეფა-ს ჩემპიონთა ლიგის 2002-03 წლის სეზონის *შეხვედრები. რამდენიმე ჯგუფში სიტუაცია უკიდურესად დაძაბულია. სერია A-ს ერთ-ერთი გრანდი, მილანის "ინტერი", იტალიური შურისძიებითა და საფრანგეთის "ლიონის" განადგურებით იმუქრება. ფრანგებმა, წინა ტურში გამარჯვებით, სერიოზულად გააბრაზეს იტალიელები და კიდევ ერთი დარტყმა მიაყენეს ამ ქვეყნის ფეხბურთის საერთაშორისო პრესტიჟს.*

B7

მალხაზ ხარბედიას სვეტი

ნამცეცები ჩადგმით

ამ ერთი თვის წინ, ფესტივალ "შემოდგომის თბილისის" ფარგლებში ნაჩვენები კამა გინკასის "კ.ი. დანაშაულიდან" რომ ვნახე, პირველად ის ვიფიქრე, ნეტა რა მოხდებოდა, ასეთი სპექტაკლი სხვა დროს რომ ჩამოეტანათ მეთქი, დაახლოებით 10-12 წლის წინ. მაშინ "ზაპოით" ვკითხულობდი დოსტოევსკის, იმასაც, რასაც დოსტოევსკიზე წერდნენ და ისიც მაინტერესებდა, სცენაზე როგორ გაიჟღერებდა მწერლის გიჟური მონოლოგები. ინტერესს დოსტოევსკისთან დაკავშირებული ლეგენდები თუ რეალური ფაქტებიც აღვივებდა... როგორც ამბობენ, დაწერამდე ფიოდორ მიხაილიჩი თურმე თავად თამაშობდა თავის გმირებს, გაიარ-გამოიარდა, შეაგდებდა ბუხარში კანაფით გადასკვნილ რუბლებს და მერე თვითონვე რეაგირებდა ასეთ "ვიხოდკებზე". კამა გინკასთანაც დაახლოებით იგივე ხდება, ერთი ქალი ყვება ყველაფერს, მარტო უმკლავდება ყველა ხმას და ამ მრავალხმიანობაში გამოიკვეთება პიესის საზრისიც.

კამა გინკასის მონოდრამის შესახებ მხოლოდ მსმენოდა. ვიცოდი, რომ მასში მთხრობელი კატერინა ივანოვნა მარმელადოვა იქნებოდა, სონიას დედა. ერთმა ისიც მითხრა წარმოდგენის წინ, კარის ჯახუნი და რუსული ისტერიკები არ მოგაკლდებაო და მეც ამ მოლოდინით ავუყევი "მარჯანიშვილის" ბოლო სართულზე გაწყობილი ორი პატარა ოთახისკენ მიმავალ კიბეებს. როგორც მოსალოდნელი იყო, წარმოდგენა სწორედ კარის ასეთი გაჯახუნებით დაიწყო და თვალის დახამხამებაში ჩვენთან გაჩნდა ქალი კაფკიანური ინიციალებითა (კ.ი.) და ახალგაზრდა ფაინა რანევსკაიას გარეგნობით, ერთი შეხედვით მასავით მოუქნელი და აწოწილი (ოქსანა მისინა).

გმირმა პირველივე სიტყვებით გვამის პატივისცემისკენ მოგვიწოდა და ცხადი გახდა, რომ სპექტაკლის საფუძველი მისი ქმრის, მარმელადოვის შინ მისვენების სცენა იქნებოდა. პოლიციელიღა გვაკლდა, კიბეზე რომ ჩავეყარეთ ცნობისმოყვარე მეზობლებივით (გახსოვთ ალბათ, დოსტოევსკისთან, აკივლებული კატერინა ივანოვნა სიგარეტის გადაგდებასა და ქუდის მოხდას თხოვს სეირის მოყვარულებს) და კიდევ ერთი, ლებეზიატნიკოვის ხითხითი არ ისმოდა. სამაგიეროდ ისმოდა: მღვდლის ხმა მარმელადოვის ზიარებისას, კამერ იუნკერის, თავად შჩეგოლსკოის სიტყვები, კატერინა ივანოვნას რომ ეტრფოდა ოდესღაც და სხვა დანარჩენი, რამაც კი გამოაღწია დოსტოევსკის ამ პოლიფონიური რომანიდან და ჩვენამდე მოვიდა. მოვიდა კატერინას გატლეკილი ენისა თუ უაზრო ბუტბუტის წყალობით.

პირველი ნაწილი მიცვალებულის გარშემო ტრიალებს, როგორც პანაშვიდზე. იქვე არიან ოჯახის სხვა წევრებიც, კოლია, პოლენკა და ლიდა, "კეთილშობილი ობლები", თუმცა არც სონია ჩანს და არც როდიონ რასკოლნიკოვი, სონიას "ბედის გამრიგე". წრეზე ჩამომსხდარ მაყურებელს კი მისინას გმირი ხან ძველ ფოტოებზე შეგვავლებინებს თვალს, ხანაც წერილებში ჩაგვახედებს, ზოგჯერ იატაკზე გაშოტილი გვიყვება ამბავს და ამის შემდეგ გამუდმებით მიმოქრის ოთახიდან ოთახში. იმ მეორე ოთახში მოგვიანებით შეგვიძლევება, ქელეხის სუფრასთან დაგვსხამს, ადგილებს გაგვინაწილებს და ბუტბუტსა თუ ლამის ექსტატიურ ღმუილს მოჰყვება. ერთი სიტყვით, **უბედურება სანახაობად იქცევა**, ოჯახის წევრები ვიოლინოებსაც ააჟღერებენ და ცხადი ხდება, რომ ჩვენ ერთგვარ **თეატრალურ ფინეგანის ქელეხს** ვესწრებით, პითიასეული ენაბრგვილობით შეზავებულ ჯადოქრობაში ვიღებთ მონაწილეობას, სადაც ენობრივი ბუნდოვანების მიუხედავად, ყველაფერს ფანტასტიური დრამატურგიული სიმწყობრე გამსჭვალავს.

კამა გინკასის ვაჟის, დანიილ გინკის ეს უცნაური პიესა, დოსტოევსკის რომანის ერთ მცირე ეპიზოდს ეფუძნება, თუმცა მამამისმა ამ ნაფლეთებისგან ერთიანი თეატრალური სანახაობა შექმნა. ესაა თეატრი თეატრის შესახებ, სადაც თანალმობა და კათარსისი არტისტის თამაშით აღფრთოვანებასა და მისი **უცნაური ფუნქციების** გაცნობიერებას ემთხვევა, ე.წ. deus ex machina-ს როლში კი, რომლითაც გმირი ზეცად მაღლდება, უბრალო თეთრი კიბე გვევლინება. თანაც დამაგვირგვინებელი სცენის წინ კატერინა ივანოვნა როლებს ანაწილებს, ვიოლინოს უკრავს და თავისი შვილების მარიონეტულ მოძრაობებს "დირიჟორობს". იგი **რეჟისორიცაა** (რადგან ყველა სცენიურ ქმედებას აკონტროლებს) და **ავტორიც** (დოსტოევსკივით ისიც ხმაბაძვის ოსტატია), ეს კი სპექტაკლს გარკვეულ ესეისტურ პათოსს ანიჭებს, სადაც კამა გინკას-რეჟისორს მოაზროვნე თუ არტ-კრიტიკოსი კამა გინკასი ერწყმის და თავისი მოსაზრებების თეატრალურ ვარიაციებს გვთავაზობს.

თეთრი ოთახი, სცენიურ თუ სცენის მიღმა სივრცეში გამოძებნილი კუნჭულები და ა.შ.... უკვე რამდენიმე წელია კამა გინკასი ასეთ **სივიწროვეში** მუშაობს, ასე დადგა მან ჩეხოვის "ბერი", თეთრ ოთახში კი "ვთამაშობთ დანაშაულს" და "პუშკინი. დუელი. სიკვდილი." განახორციელა. თუმცა ერთი უნდა აღვნიშნოთ, სივიწროვეს ამ შემთხვევაში არანაირი სოციალური დატვირთვა არა აქვს, უფრო პირიქით, იგი ერთგვარი ასოციალური, ჰერმეტული სივრცეა, სადაც რეჟისორი ექსპერიმენტს ატარებს თავის თავზე, მსახიობებსა და ზოგადად თეატრზეც.

როგორც ჩანს, ექსპერიმენტის სწორედ ამგვარმა სითამამემ წამომაცდენინა "ნეტა რა მოხდებოდა, ასეთი სპექტაკლი სხვა დროს რომ ჩამოეტანათ მეთქი, დაახლოებით 10-12 წლის წინ". მართლაც რა მოხდებოდა, რა შეიცვლებოდა, ასეთი სპექტაკლი სამოქალაქო ომისა და სხვა დანარჩენი ომების დროს რომ გვენახა, მაშინ, როცა **უბედურების, როგორც სანახაობის** სტატუსი საბოლოოდ დაკანონდა საქართველოში, როცა ენაბრგვილმა პოლიტიკოსებმა, პითიასგან განსხვავებით, ვერაფერი იწინასწარმეტყველეს, როცა უნიჭობამ ფანტასტიური დრამატურგიული სიმწყობრე შეიძინა, ქართული ხელოვნება კი ძველი მონსტრებისთვის საიუბილეო საღამოების გამართვითა და უგემოვნო ვიდეო-კლიპების გადაღებით იშოვა ლუკმა-პური. მართლაც საინტერესოა რა მოხდებოდა, ჩვენთან ხომ არავინ ატარებს ექსპერიმენტებს და არც ერთი ოთახი ყოფნის ვინმეს სპექტაკლის დასადგმელად. ჩვენთან, თეატრში ხომ ძირითადად ან სიმბოლოებით თამაშობენ და ყველაფერ ამას ჰუმანიზმად გვასაღებენ, ან კიდევ ძალზე რეალურ ისტორიას, რეალურ ტრაგედიას მოსავენ ხელოვნური ფრთებით და პოეზიაა ეს ყველაფერიო, გვიმტკიცებენ.

ქართულ ხელოვნებაში დღეს ქელეხის სიტუაციაა, კერძს არ ვტოვებთ გაუსინჯავს, ყველაფერს ადვილად **ვითვისებთ** და გადმოგვაქვს მშობლიურ თეფშზე, ოღონდ სამწუხაროდ ვერაფერს **ვითავისებთ,** როგორც ჩანს არ გვერგება. ჩვენთან ყველაფერია ჩამოტარებით (ანუ ბევრ ვინმეს გასტროლებზე ვნახულობთ, ბევრს კი ტელევიზიით ვეცნობით) და ხშირად იმასაც კი გადაწვდება ხოლმე ჩვენი წარმოსახვა, რასაც არ ჩამოატარებენ და ასე, ხელგაწვდილები ვცხოვრობთ.

ჩადგმით კი ჩვენთან მხოლოდ ნამცეცებია.

კალენდარი

22 ოქტომბერი



"კინოს ქალღმერთი" – არაერთხელ მოუხსენიებიათ ამგვარი ეპითეტით კატრინ დენევი, დიდი პროფესიონალი და გამორჩეულად ელეგანტური ფრანგი მსახიობი. მსახიობ მორის დორლიაკის ქალიშვილის კინოდებიუტი 13 წლის ასაკში შედგა, 1964 წელს კატრინის გამოჩენა ჟაკ დემის მშვენიერ მიუზიკლში - "შერბურის ქოლგებში" ისეთივე წარმატებული იყო, როგორც თავად ამ ფილმის ეკრანებზე გამოსვლა. კატრინ დენევი 40-ზე მეტ ფილმშია გადაღებული: "შიმშილობა", "სიყვარულის სიმღერები", "უკანასკნელი მეტრო" და მრავალი სხვა.

"ხალხი ფიქრობს, რომ ყველაფერში კლასიკური სტილის მიმდევარი ვარ, არადა, ჩემი ცხოვრება არც ისე შაბლონურია," – ამბობს მსახიობი, რომელიც დღეს 57 წლის შესრულდა.

კატრინ დენევი 1943 წლის 22 ოქტომბერს დაიბადა პარიზში.

სასტუმრო „ივერიით" თავზარდაცემული ვასილი ლანოვოი და ჩაშლილი საფეხბურთო მატჩი

საბჭოთა პერიოდში უაღრესად პოპულარული რუსი მსახიობი ვასილი ლანოვოი თბილისში რუსეთის საფეხბურთო ნაკრებს ჩამოჰყვა. მოგეხსენებათ, ამ შეხვედრის ირგვლივ დიდი აჟიოტაჟი და მითქმა-მოთქმა სუფევდა. მატჩს გაცილებით მეტს უკავშირებდნენ, ვიდრე ჩვეულებრივ ხდება ხოლმე ასეთ დროს. ლანოვოისთან, ორ სხვა ჟურნალისტთან ერთად, შეხვედრამ დამარწმუნა, რომ მისი კანდიდატურა ასეთი ვითარებისათვის სწორად იყო შერჩეული. ოფიციალური, მაგრამ ყურადღებიანი და გულისხმიერი ლანოვოი, როგორც ყოველთვის, უზადოდ გამოიყურებოდა. შეხვედრა სასტუმრო "მერიოტის" ჰოლში დაგვინიშნა (სამწუხაროდ, სამივეს ერთად), ამიტომ ინტერვიუ ერთობლივი გამოვიდა. მოვლენების შემდგომი განვითარება და მატჩის "შედეგები" მკითხველისათვის ცნობილია. ამ მოვლენებმა "მერიოტში" შემდგარ საუბარს, რომელიც მატჩის დაწყებამდე ორიოდე საათით ადრე ჩავიწერეთ, თავისებური ელფერი და აქცენტები შესძინა. იმისათვის, რომ მკითხველს სრული წარმოდგენა შეექმნას საუბრის შესახებ, ყველა დასმულ კითხვასა და შესაბამის პასუხს უცვლელად დავტოვებ. უბრალოდ, მოკლედ მივანიშნებ შეკითხვის ავტორს. ერთი ჟურნალისტი რადიოს წარმოადგენდა, მეორე ტელევიზიას, მესამე კი გაზეთ "24 საათს".

ლანოვოი თბილისის აეროპორტში

რადიო: - ვასილი სემიონოვიჩ, რა იყო თბილისში თქვენი ჩამოსვლის მიზეზი - მხოლოდ საფეხბურთო მატჩი თუ კიდევ რაიმე სხვა? თქვენ, უთუოდ, ფეხბურთის გულშემატკივარი ბრძანდებით, მაგრამ ხომ არ უკავშირდება ეს ვიზიტი რუსულ-ქართული ურთიერთობების დღევანდელ მდგომარეობას?

ლანოვოი: - რა თქმა უნდა, მე ეს ჩამოსვლისთანავე განვაცხადე. რატომღაც ძალიან მრავალმნიშვნელოვნად მეკითხებოდნენ, რა იყო თქვენი ჩამოსვლის მიზეზიო. მინდა ვთქვა, რომ ჩვენ ძალიან მჭიდრო კავშირი გვაქვს ქართული კულტურის წარმომადგენლებთან, უამრავი მეგობარი გვყავს, კინემატოგრაფისტები, თეატრალური მოღვაწეები. საკმაოდ ხშირად ვურთიერთობთ მათთან მოსკოვში, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოში სულ უფრო იშვიათად გვიწევს ყოფნა. უკანასკნელად საქართველოში, დაახლოებით, 13 წლის წინ ვიყავი. იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ ადრე საკმაოდ ხშირად მიწევდა ჩამოსვლა, ხანდახან წელიწადში რამოდენიმეჯერ მაინც, ამხელა ინტერვალი უცნაურად და გაუგებრად მოსჩანს. ამიტომ, როდესაც თბილისში წამოსვლა შემომთავაზეს, სიამოვნებით დავთანხმდი, ყველა საქმე გადავდე და ჩემი აქაური მეგობრებისა და ნაცნობების სანახავად გამოვეშურე. რობერტ სტურუას მოსკოვშიც საკმაოდ ხშირად ვნახულობ. გუშინ, სტადიონზე, კოტე მახარაძეს შევხვდი. კარგად ვიცნობ სოფიკოსაც, დიდი ხანია, მათთან ვმეგობრობ. შევხვდი, აგრეთვე, შესანიშნავ ქართველ მსახიობს ოთარ მეღვინეთუხუცესს. მასთან და მის მეუღლესთანაც ბევრი რამ მაკავშირებს. ამიტომაც, ჩემს აქ ჩამოსვლას, ფეხბურთის გარდა, რა თქმა უნდა, სხვა მიზეზებიც ჰქონდა. რაც შეეხება ფეხბურთს, ჩვენ ახალი გუნდი გვყავს, ახალი მთავარი მწვრთნელი, ამიტომ ძალიან მაინტერესებს, თავად ვნახო, რა მდგომარეობაშია დღეს გუნდი ასეთი რადიკალური განახლების შემდეგ. თანაც, უნდა გითხრათ, რომ საქართველოში თავს ყოველთვის ძალიან კარგად ვგრძნობ, შემოქმედებითი ძალების მოჭარბებასაც კი განვიცდი. იცით, სხვათა შორის, დღეს დილით სად ვიყავით? – სახელგანთქმულ თბილისურ გოგირდის აბანოებში. და იქ ჩემს მეგობრებს ვუკითხავდი პუშკინის სტრიქონებს, რომლებიც ამ აბანოებს ეძღვნება სწორედ. საკმაოდ დიდხანს ვუკითხავდი, უნდა მოგახსენოთ.

რადიო: - რამდენ ხანს დარჩებით თბილისში?

ლანოვოი: - ამ საღამოს მივფრინავთ, მხოლოდ ორი დღით ჩამოვედით. დღეს, თამაშის შემდეგ მივემგზავრებით. ასეთი ხანმოკლე ვიზიტია, სამწუხაროდ, რადგან უკანასკნელ წლებში საქართველოში ჩამოსვლის საშუალება გაცილებით უფრო იშვიათად გვეძლევა. წინათ ჩვენს თეატრს – ვახტანგოვის თეატრს - ხუთი-ათი დასახელების სპექტაკლი ჩამოჰქონდა ხოლმე თბილისში. ეს ლამის წესად გვქონდა და ყოველ ხუთ-შვიდ წელიწადში ერთხელ ჩამოვდიოდით. ახლა, ცხადია, ეს აღარ ხერხდება.

24 საათი: - როგორც თქვით, საქართველოში 13 წელია არ ყოფილხართ, რამ მოახდინა თქვენზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება, რა არსებითი ცვლილებები შენიშნეთ?

ლანოვოი: - სასტუმრო "ივერიის" ხილვამ გამაოგნა. ეს ძალიან მშფოთვარე სიმპტომია. სიტუაციის ნიშანია.

TV: - რუსეთში ბევრს საუბრობენ საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობების გაუარესებაზე. ამის მიუხედავად, ადამიანები ურთიერთობას არ წყვეტენ. რუსეთიდანაც სიამოვნებით ჩამოდის კვლავინდებურად ზოგიერთი. თქვენ რას ფიქრობთ ამის თაობაზე?

ლანოვოი: - იცით, ეს კავშირი არასოდეს გაწყდება. მრავალსაუკუნოვანმა ურთიერთობებმა ისეთი მტკიცე ურთიერთობა შექმნა – მეგობრების, ოჯახების, სულების, რომ რაღაც წამიერი ვითარებები ვერაფერს შეცვლის. მოსკოვში დღესაც უამრავი ქართველი ცხოვრობს, მათ შორის ჩემი მეგობრებიც არიან. და ისინი სიტუაციას ისევე აღიქვამენ, როგორც ჩვენ, რუსები. მე მეჩვენება, რომ ეს პოლიტიკანთა თამაშია მხოლოდ, და იმის წაშლა, რაც საუკუნეების მანძილზე შენდებოდა, ერთი ხელის მოსმით შეუძლებელია.

რადიო: - ჩვენი კულტურული ურთობები მაინც მყარი რჩება?

ლანოვოი: - ისინი, წმინდად, ფიზიკურად იცვლება, როგორც უკვე ვთქვი, კონტაქტები გაიშვიათდა, მაგრამ საქართველოში კვლავინდებურად ძალაში რჩება გარკვეული რუსული კულტურული ღირებულებები, ისევე, როგორც რუსეთში ქართული კულტურის ღირებულებები. ამიტომ, ვფიქრობ, ასეთი შეფერხებები ვერავითარ კარდინალურ ცვლილებებს ვერ გამოიწვევს.

24 საათი: - რამდენადაც ვიცი, ერთი სემესტრის მანძილზე, ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე სწავლობდით. დღეს ჟურნალისტიკა უდიდეს როლს თამაშობს ჩვენს ქვეყანათა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თქვენი აზრით, როგორია მათი როლი ამ კონკრეტულ ვითარებაში და როგორ აფასებთ მათ საქმიანობას?

ლანოვოი: - მე ყოველთვის ვამბობდი, რომ ჟურნალისტები ყველაზე ბრძენ ადამიანთა რიცხვს არ ეკუთვნიან, სამწუხაროდ. მათ ისეთი გაუგებრობის შექმნა შეუძლიათ, ისეთი დომხალის მოწყობა, რომ შემდეგ ყველას ერთად გვიწევს მათი მოქმედების სავალალო შედეგების გამოსწორება.

24 საათი: - სიტყვის თავისუფლება თუ არსებობს, თქვენი აზრით?

ლანოვოი: - რა თქმა უნდა, არსებობს, მაგრამ სიტყვის თავისუფლებას აუცილებლად პასუხისმგებლობაც უნდა ახლდეს თან. დასავლეთში ჟურნალისტი პასუხს აგებს თავის ქმედებაზე, აქ კი, ხანდახან, ჟურნალისტები ისეთ უპასუხისმგებლო განცხადებებს აკეთებენ, ისეთ სისულეებს როშავენ, რომ გაკვირვება გეუფლება, - როგორ შეიძლება, ასე იქცეოდეს ასეთი არაჩვეულებრივი, ტრადიციული, ისტორიული პროფესიის წარმომადგენელი. ამას წინათ ერთი აღმაშფოთებელი შემთხვევა მქონდა, "კომსომოლსკაია პრავდაში" ჩემზე წავიკითხე წერილი, ავტორის გვარია ტოლსტიხი. პირდაპირ თმა დამიდგა ყალყზე! ჯერ ერთი, მე მათთვის არაფერი მითქვამს, უბრალოდ, არც კი შევხვედრივარ! მათ კი რაღაც სიყალბე, სისულელე გადმოჯღაბნეს სხვადასხვა ჟურნალიდან და ჩემთან საუბრად გაასაღეს. რა ვქნა, ვუჩივლო? გამოიყენეს ტატიანა სამოილოვას საეჭვო ავადმყოფური ვარაუდები, საბრალო ქალი ავადაა, ყოველთვის არც კი ახსოვს, რას ამბობს, ვიმეორებ, ავადაა და იმიტომ. ესენი კი, ნაცვლად იმისა, რომ ადამიანი დაინდონ, მის მდგომარეობას ანგარიში გაუწიონ, ისეთ საკითხებზე სასაუბროდ უკეთებენ პროვოცირებას, რაზე ლაპარაკიც, უბრალოდ, უხერხულია, გონსა და ცნობაზე მყოფი ადამიანთანაც კი სირცხვილია ასეთ საკითხებზე მსჯელობა, არათუ საბრალო ავადმყოფ ქალთან. და თანაც, ამის შემდეგ, ყველაფერი ეს გამოაქვეყნო? რას გვიბრძანებთ, როგორ მოვექცეთ, რა უნდა ვიფიქროთ ამის მერე ჟურნალისტებზე?

რადიო: - ვასილი სემიონოვიჩ, რომელი გმირი გიყვართ გამორჩეულად?

ლანოვოი: - ყველა. ყველა გმირი. როდესაც როლზე მუშაობას იწყებ, ის სახე შენთვის ყველაზე ახლობელი ხდება. პერსონაჟი, ადამიანი... თითქმის ორმოცდაათი წელია, კინოში ვმუშაობ, ორმოცდაექვსი წელია - თეატრში ... მეუბნებიან თქვენ პავკა კორჩაგინი ხართ და მე კი ვპასუხობ და მაშინ რა ვუყო ვრონსკის, ანატოლი კურაგინს, "გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვების პერსონაჟს", "ოგარიოვოს 6-ს". ახლახან ვითამაშე ერიკ შმიდტის პიესაში, სახელწოდებით "ეძღვნება ევას", ჩემი პერსონაჟი ნობელის პრემიის ლაურეატია, სახეც ღრმაა, საინტერესო, უდიდესი სიამოვნება მივიღე. უკვე შვიდი წელია მე და იულია ბორისოვა "საყვარელ მატყუარაში" ვთამაშობთ. ამჟამად ახალი როლისათვის ვემზადები, კვლავ ერიკ შმიდტის პიესაში უნდა ვითამაშო. პიესა ფრედერიკ ლემეტრის ცხოვრებაზეა და მე ფრედერიკს ვთამაშობ, გაზაფხულზე დავიწყებთ მუშაობას, სიამოვნებით ველოდები ამ როლზე. მოგეხსენებათ, ყოველივე ეს ვახტანგოვის თეატრში ხდება, სხვაგან არსად ვმუშაობ.

რადიო: - კინოში თუ მუშაობთ ამჟამად?

ლანოვოი: - იქიდან გვიწევს არჩევა, რასაც გვთავაზობენ, ძირითადად, სუროგატული თოჯინების თამაში გვიხდება. მერე, კიდევ, სერიალები...

რადიო: - მრავალი ათეული წლის მანძილზე საბჭოთა კინოს კერპი იყავით და ეხლა როგორ გრძნობთ თავს?

ლანოვოი: - ძალიან კარგად. არასოდეს არ მესმოდა რას ნიშნავს სიტყვა კერპი, ვარსკვლავი; არსებობს საჭირო და არასაჭირო მსახიობი, მსახიობი, რომელმაც დატოვა კვალი და მსახიობი, რომელსაც კვალი არ დაუტოვებია. მე თავს ძალიან კარგად ვგრძნობ, შესანიშნავად, რადგანაც ვიცი, რომ ზოგიერთი ჩემი ნამუშევარი უკვე შევიდა რუსული კინემატოგრაფის ოქროს ფონდში. და, თუნდაც ამის გამო, ყოველგვარ უხარისხო სისულელეში თამაშს უკვე აღარ დავთანხმდები, იმდენად ბევრია განვლილში მნისვნელოვანი, ფასეული.

TV: - იქნებ ფეხბურთს დავუბრუნდეთ ცოტა ხნით, ახალი რუსული ნაკრების პირველი თამაში ძალიან შეთანხმებული, ერთსულოვანი იყო. რა შთაბეჭდილება შეგექმნათ ახალ გუნდზე?

ლანოვოი: - სამწუხაროდ ეს თამაში არ მინახავს, რადგან იუგოსლავიაში ვიყავი.

TV: - ესე იგი ეს თქვენთვის აღმოჩენა იქნება. რას ელით?

ლანოვოი: - ველი კარგ მატჩს, ბიჭებისაგან კი თავდაუზოგავ თამაშს, სრულად დახარჯვას და სხარტ მიზანშეწონილ აზროვნებას. სწორედ ეს გამოარჩევს ნამდვილ მოთამაშეს. აზროვნების სიჩქარე უნდა იყოს ძლიერი და ასჯერ უფრო სწრაფი, ვიდრე ოდესმე ყოფილა. მაშინ ყველაფერი რიგზე იქნება.

TV.: - გჯერათ გუნდის ნათელი მომავლისა?

ლანოვოი: - რა თქმა უნდა.

TV: - შეგიძლიათ იწინასწარმეტყველოთ რა ანგარიშით დამთავრდება თამაში?

ლანოვოი: -არ შემიძლია და არც მინდა.

24 საათი: - თქვენი შემოქმედებითი ახალგაზრდობა სამოციან წლებს დაემთხვა და ამ პერიოდის თაობა კი, გარკვეული თვალსაზრისით, მეამბოხეთა თაობა იყო. ვახტანგოვის თეატრმაც ასევე დაიწყო თავისი სიცოცხლე - როგორც ავანგარდულიმა, მეამბოხე და არასტანდარტულმა დასმა. თქვენ თუ გიგრძვნიათ თავი მეამბოხედ, მით უფრო, რომ ლეგენდარულ "ტურანდოტში" კალაფს თამაშობდით...

ლანოვოი: - ის ავანგარდი, რომელიც ვახტანგოვმა დაიწყო, შემდგომში მსოფლიოს მრავალი თეატრისა და მრავალი თეატრალური მიმდინარეობისათვის ნორმად იქცა. ეს ის ავანგარდი იყო, რომელიც სტანისლავსკიმ მიიღო და მოიწონა. უთხრა კიდეც დამდგმელებს, თქვენ გაიმარჯვეთ და შეგიძლიათ, მშვიდად დაიძინოთო. ეს ავანგარდი თავისი ფესვებით შესანიშნავ რუსულ თეატრალურ ტრადიციებს ემყარებოდა. რაც შეეხება სამოციან წლებს, ვფიქრობ, ამ პერიოდში ვახტანგოვის თეატრში ბევრი ძალიან კარგი სპექტაკლი შეიქმნა. თუმცა, როგორც მე მეჩვენება, ამ დროისათვის, ვახტანგოვის თეატრი არ ღებულობდა მონაწილეობას ავანგარდულ მიმართულებაში. მაგრამ მე კიდევ უფრო მეტად მომწონს, რადგან ვფიქრობ, რომ თანამედროვე ავანგარდი, რომელსაც ზოგიერთი თეატრის სცენაზე ვხვდებით, იაფფასიანი, ცარიელი, უაზრო და სრულიად მიუღებელია, მე ეს არ მომწონს. იქ კი, საფუძველში, კარგი თეატრალური გემოვნება იყო "დაფანტული". რაც დღეს, საუბედუროდ, აღარ შეიმჩნევა.

TV: - დღევანდელ თამაშს გარკვეულ პოლიტიკურ ნაბიჯებს უკავშირებენ, სპორტი კი, ჩემი აზრით, პოლიტიკის გარეთ უნდა იყოს, თქვენ რას ფიქრობთ ამის თაობაზე?

ლანოვოი: - რა თქმა უნდა, ის პოლიტიკის გარეშე უნდა იყოს. სამწუხაროდ, ჩვენი სურვილი, ხშირად, ცხოვრებაში არ მართლდება. უკანასკნელი წლების მანძილზე, უფრო სწორად, უკვე მრავალი წელია, სპორტი უმეტესწილად პოლიტიკურ მაჩვენებლად იქცა. ამას მე ყოველთვის უარყოფითად ვუყურებდი, ამ "სპორტულ-პოლიტიკურ" თამაშებს, იმიტომ რომ ის სპორტს კლავს. ჩეხებისა და ჩვენი ჰოკეის გუნდების შეხვედრები ყოველთვის რაღაც სხვაში გადაიზრდებოდა ხოლმე და ამით ისევ მხოლოდ თამაში ზარალდებოდა. ოთხმოციან წლების ოლიმპიური თამაშებისთვის ამერიკელებმა არ მიიღეს მონაწილეობა, მერე ჩვენ არ წავედით მათთან და ა.შ. და ეს სწორედ ის გარემოებებია, რომლებიც ხელს უშლის მთავარს – სპორტს და ადამიანურ ურთიერთობებს, რაც მე არ მომწონს. მე უკვე საკმაოდ ხანგრძლივი მსახიობი ვარ და ადამიანურ ურთიერთობებს ქვეყნებს შორის ყველაზე მეტად ვაფასებ.

TV: - რას დაამტკიცებს საქართველოს ნაკრების გამარჯვება რუსეთის ნაკრებზე?

ლანოვოი: - სულ ამ თემას უბრუნდებით და მე გადავუგავართ - ვერც ერთი მხარე ვერაფერს ვერ დაამტკიცებს, იმასაც კი, რომ ერთი გუნდი მეორეზე უფრო ძლიერია. გამიხარდება, თუ კარგ თამაშს ვნახავთ და გადაგვეხვევით. გამიხარდება, თუ თამაშის შემდეგ ისევ შევხვდებით კოტე მახარაძეს და სოფიკოს. მე მიხარია, რომ ამ ახალ სასტუმროში ვარ. ძველი კარგად მახსოვს. ხოლო ივერიის ნახვამ თავზარი დამცა. ცხოვრებას ტრაგედიები თვის ცვალს, კარგსაც და ცუდსაც და მთავარია, რომ არ აჰყვეთ ამწუთიერ "პოლიტიკანურ" განწყობილებებს.

მოამზადა თამარ ბოკუჩავამ

შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

მისამართი:

საფოსტო ინდექსი:

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

ასაკი:

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

შვილები: (თუ გყავთ)

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

პროფესია:

სამუშაო ადგილი

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

ხალხის პირისპირ

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

სამყარო

რა ხდება ჟენევის „სამზარეულოში„?

ნინო ბუჯაბიძე
ვინიპეგი, კანადა

გასულ შაბათს “24 საათში” მოთხრობილი იყო ჟენევაში, ევროპის ბირთვული კვლევების საერთაშორისო ცენტრში მოღვაწე ქართველი ახალგაზრდა მეცნიერის, გიგა გაბადაძის შესახებ. აღწერილი იყო მისი კვლევის მხოლოდ ერთი მხარე – “კოსმოლოგიური მუდმივას” პრობლემა.

მეორე საკითხი, რაზედაც გიგა გაბადაძე მუშაობს, არის ადრეული კოსმოლოგია. დიდი აფეთქების შემდეგ, ერთ-ერთ ეტაპზე, სამყარო ელემენტარულ ნაწილაკებად იყო დაშლილი. როგორ ურთიერთქმედებენ ეს უმცირესი ნაწილაკები მაღალი ენერგიების ფონზე და რა ფიზიკური თვისებები ახასიათებთ მათ? აი, ის თეორიული საკითხი, რომელსაც გიგა გაბადაძე იკვლევს.

იმის დაახლოებით წარმოსადგენად, თუ რას შეისწავლის ადრეული კოსმოლოგია, ყინულის ნატეხის ფანტასტიკური ტემპერატურით გაცხელების მაგალითის მოყვანა შეიძლება.

წარმოიდგინეთ, რომ სამზარეულოში, ღუმელზე, პატარა ქვაბში დაიწყეთ ყინულის დნობა. თავიდან ყინული წყლად იქცევა, წყლის დუღილის შემდეგ ორთქლი წარმოიშობა. ორთქლის გაცხელებას თუ გავაგრძელებთ, უკვე წყლის მოლეკულები დაიწყებენ შლას. მოლეკულების ენერგია წყლის მოლეკულების ერთმანეთთან დამაკავშირებელ ენერგიას აღემატება და ისინი ელემენტარულ წყალბადისა და ჟანგბადის გაზად დაიშლებიან.

ამ “გაზების” გაცხელება 3000 გრადუს ცელსიუსამდე რომ გავაგრძელოთ, წყალბადისა და ჟანგბადის ატომების შლა მოხდება და მივიღებთ პლაზმას - იონიზირებულ გაზს, რომელსაც ხშირად მე-4 აგრეგატულ მდგომარეობას უწოდებენ. მართალია, ყოველდღიურ ცხოვრებაში პლაზმური მდგომარეობა გავრცელებული არ არის, მაგრამ როცა მზეს შევხედავთ, მისი დანახვას ყოველთვის შევძლებთ. ფაქტია, რომ პლაზმა სამყაროს ყველაზე ხშირი აგრეგატული მდგომარეობაა.

თუ გავაგრძელებთ პლაზმის 1 მილიარდ გრადუსამდე (ცელსიუსის სკალით) გაცხელებას, ატომის გული ცალკეულ პროტონებად და ნეიტრონებად დაიშლება. კიდევ თუ გავაგრძელებთ გაცხელებას და ტემპერატურას 10 ტრილიონ გრადუსამდე მივიყვანთ, მივიღებთ კვარკებისა და ლაპტონების (ელექტორნები და ნეიტრონები) მასას.

თუ ტემპერატურას 1 კვადრილიონ გრადუსამდე მივიყვანთ, ელექტრო-მაგნიტური და სუსტი ბირთვული ძალა (გაიხსენეთ ფიზიკის კურსი სკოლიდან: 4 ძირითადი ურთიერთქმედება) შეერთდება. სიმეტრია SU(2)XU(1) წარმოიქმნება. 10-ის ოცდამერვე ხარისხის გრადუს ტემპერატურაზე სუსტი და ძლიერი ძალები შეერთდება და დიდი გაერთიანების თეორიის (სამი ურთიერთქმედების შეერთება) სიმეტრია წარმოიქმნება

და ბოლოს, 10-ის ოცდამეთორმეტე ხარისხის გრადუს ტემპერატურაზე გრავიტაციაც შეუერთდება სამ, უკვე გაერთიანებულ ურთიერთქმედებას და ათგანზომილებიანი სივრცის ყველა სიმეტრია იჩენს თავს. ამ შემთხვევაში სივრცისა და დროის გეომეტრია შეიძლება გამრუდდეს, სივრცისა და დროის განზომილებადობა კი შეიცვალოს. სივრცე არამდგრადი გახდება, მასში ნაპრალი გაჩნდება და ცუდი არ იქნება, რომ ამ შემთხვევაში სამზარეულოდან გაბრძანდეთ.

აი, გიგა გაბადაძე ზუსტად ასეთი მაღალი ენერგიების ფონზე ცდილობს, შეისწავლოს უმცირესი ნაწილაკების ბუნება.

შინ მხოლოდ 2 წელიწადში ერთხელ

გიორგი გახელაძე

34 წლის შთამომავლობითი მეცნიერი გელა თევზაძე, 10 წელია, ამერიკის *შეერთებულ შტატებში მუშაობს და საქართველოში მხოლოდ ორ წელიწადში ერთხელ, აგვისტოში ჩამოდის ხოლმე. იგი საფუარის გენეტიკაში, უჯრედების გაყოფის ერთერთი სახესხვაობის - მეიოზის გენეტიკური და ბიოქიმიური რეგულაციის პრობლემას იკვლევს. მისი მომავალი, ხანმოკლე დაბრუნება 2003 წელს მოხდება.*

ის 1966 წელს დაიბადა თბილისში და 1983 წელს დაამთავრა დედაქალაქის 55-ე საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტზე. მეორე კურსიდან სპეციალიზაციას გადიოდა გენეტიკისა და სელექციის კათედრაზე. 1988 წელს გააგრძელა სწავლა მოსკოვის უნივერსიტეტის ასპირანტურაში. 1992 წელს, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, დისერტაცია დაიცვა და იმავე წლიდან მუშაობს ჩიკაგოს უნივერსიტეტში.

როგორც თვითონ გვიამბობს,- **“უკვე ასპირანტურის დასრულებისას დავიწყე სამუშაოს ძებნა ამერიკის უნივერსიტეტებში. წერილებს ვაგზავნიდი ლაბორატორიებში, რომელთა მეცნიერული ინტერესები ჩემსას ემთხვეოდა, თუნდაც ნაწილობრივ. სამი ლაბორატორიიდან მომივიდა მოწვევა. ლაბორატორია, სადაც მუშაობა დავიწყე და რომლის წევრიც დღემდე ვარ, სამეცნიერო დონითაც და თემატიკის თვალსაზრისითაც, ჩემთვის ყველაზე მომხიბვლელი იყო.”** ზოგადად, ამერიკის არჩევანი გენეტიკის დარგში სამეცნიერო კვლევის იქაურმა მაღალმა დონემ განაპირობა. **“ამასთან, რადგან იქ დიდი ხნით დარჩენას ვგეგმავდი, ევროპის არაერთი სახელმწიფოსგან განსხვავებით, ამ ქვეყანაში ქსენოფობიის არარსებობაც საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორად მიმაჩნდა,** – ამბობს გელა თევზაძე, - **მაგრამ სტატუსით საქართველოს მოქალაქე ვარ, თუმცა, ე.წ. “მწვანე ბარათით”, 1997 წლიდან მუდმივად ვცხოვრობ ამერიკის შეერთებულ შტატებში”**.

შეინარჩუნა “ძველი მეგობრები” - მოსკოვის უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტები, ძირითადად, თანაკურსელები. “გარკვეული სიამოვნებით, თუ სიამაყით უნდა აღვნიშნო, რომ ოთხი თანაკურსელიდან, ვისთანაც საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობდი, ყველა ამერიკაშია. **“ახალშეძენილი მეგობრებიც” მყავს - ჩიკაგოს უნივერსიტეტისა და ჩიკაგოში არსებული სხვა უნივერსიტეტების თანამშრომლები, ამერიკელებიცა და უცხოელებიც. საერთო ინტერესები საკმაოდ ბევრი აღმოგვაჩნდა – საოპერო მუსიკა, ისტორია და ლიტერატურა - როგორც ევროპული და ამერიკული, ისევე აღმოსავლური. . . სპორტი,”** – აშკარად კმაყოფილია გელა თევზაძე.

მისთვის ამერიკაში ცხოვრების ერთ-ერთი უეჭველი უპირატესობა იმით გამოიხატება, რომ იქ ჩასული ადამიანი ორიოდე წლის შემდეგ თავს “უცხოელად” აღარ გრძნობს. ამიტომ, ადგილობრივ მოსახლეობასთან საერთო ენის გამონახვა არც გასჭირვებია. **“მე არ მიმაჩნია, რომ არსებობს ერთგვაროვანი “ეროვნული ფსიქოლოგიური ტიპი”, მით უმეტეს “ევროპელის ან ზოგადად “დასავლელის” ტიპი”. ჩემი აზრით, ფსიქოლოგიური ტიპი განისაზღვრება განათლების დონითა და საქმიანობით, აგრეთვე ფასეულობათა სისტემით. ამის გამო, საერთო სოციალური წრის წარმომადგენლებს, ეროვნების მიუხედავად, ურთიერთობა არ უძნელდებათ,”** – დარწმუნებულია ქართველი გენეტიკოსი.

“დასავლელების” წარმატების საწინდარს იგი შრომისუნარიანობასა და პროფესიონალიზმში ხედავს. ალბათ, სწორედ, ამიტომაც მიაჩნია ახლა ამერიკაში დარჩენა მიზანშეწონილად.

მზერა

„ქართველი ხალხი უკეთეს ხვედრს იმსახურებს“

ჩემი რესპოდენტი საოცრად თბილი, მხიარული ღიმილით მხვდება და მისი უშუალო, დახვეწილი თავაზიანობა მაშინვე გულღია საუბრის განწყობას ქმნის, თუმცა, იქვე გამომიტყდა: “უნდა მაპატიოთ, რომ ცოტა სტრესულ მდგომარეობაში ვარ, წუხანდელს შემდეგ, ჯერ შოკიდან არ გამოვსულვარ. მთელი ამ დღეების დაძაბული მუშაობის – კონფერენციების და საქმიანი შეხვედრების შემდეგ, უცხოელი სტუმრების მთელ კორპუსთან ერთად წავედით რუსეთ-საქართველოს ფეხბურთის მატჩის სანახავად. რაც მოხდა, ყველამ კარგად ვიცით. ჩემი ამერიკელი კოლეგები სერიოზულად შეშფოთდნენ, ბატონი ირიბარენი ძალიან ნერვიულობდა. მაგრამ ყველაზე საოცარი, იცით, რა იყო? მათ არასოდეს უნახავთ ფეხბურთის ასეთი კორექტული ფანები. ჩვენი ხალხი ძალიან წესიერი ხალხია. კარგა ხნის ლოდინის შემდეგ ადგნენ და სერიოზული სახეებით დატოვეს სტადიონი. არანაირ ექსცესებს ადგილი არ ჰქონია. ეს მხოლოდ ერთი პატარა ეპიზოდია, მაგრამ მრავლისმეტყველი. საერთოდ, ჩემი აზრით, ქართველი ხალხი უკეთეს ხვედრს იმსახურებს.”

წვეროსანი მამუკა ოჯახთან და ახლობლებთან ერთად ანაპოლისში (ვაშინგტონი)

ლია თოფურია

მამუკა წერეთელი თავის ოჯახთან (მეუღლე და ვაჟიშვილი) ერთად საქართველოდან 1994 წლის ნოემბერში გაემგზავრა, გაემგზავრა როგორც აშშ-ში, კანადასა და მექსიკაში საქართველოს ახალგახსნილი საელჩოს თანამშრომელი. როგორც თვითონ ამბობს, ეს იყო მის ცხოვრებაში ყველაზე ცივი ნოემბერი. წასვლამდე მან მოასწრო და იგემა უგაზო თუ უდენო ნამდვილი თბილისური ზამთრები. **“კარგია, რომ ყველაზე მძიმე პერიოდში აქ ვიყავი,** - ამბობს მამუკა, - **ეს ყველაფერი სხვისი მონაყოლით კი არ ვიცი, არამედ საკუთარ თავზე გამოვცადე და გაანალიზება და შედარება უკეთ შემიძლია.”** დაამთავრა თსუ, სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობა, მოსკოვში დაამთავრა ასპირანტურა და დაიცვა დისერტაცია ეკონომიკის სფეროში. მუშაობდა კვლევით ინსტიტუტში, პარლამენტში.

“ამ პერიოდში, ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, შემომთავაზეს საელჩოში მუშაობა. მაშინ ჩვენი ელჩი იყო თედო ჯაფარიძე, საელჩოს თანამშრომლები კი – ჩემი მეგობრები: ლევან მიქელაძე და გიგა მახარაძე. სამნახევარი წელი განვაგებდი საელჩოს ფინანსებს, ჩემს კომპეტენციაში შედიოდა სავალუტო ფონდთან, მსოფლიო ბანკთან და ბიზნესის სფეროსთან ურთიერთობა. 1998 წლის ზაფხულში გაიხსნა აშშ-საქართველოს ბიზნესის განვითარების საბჭო. ბიზნესის განვითარების საბჭოში პირველივე ზაფხულს შევიდა საქართველოში საქმიანობით დაინტერესებული ამერიკული კერძო კომპანიების შემოწირულობები. საერთოდ, საბჭო ეყრდნობა კომპანიების, ძირითადად – ამერიკულის, საწევრო შენატანებს. პირველი დამფუძნებელი იყო “ამოკო” (მოგვიანებით “ბრითიშ პეტროლიუმის” ნაწილი გახდა) და “შევრონი”, შემდეგ შემოგვიერთდა ზოგიერთი ქართული კომპანია, მაგალითად, სასტუმრო “თბილისი-მარიოტის” მფლობელი კომპანია, “თი-ბი-სი ბანკი”. პირველი დიდი ღონისძიება იყო პირველი წლიური კონფერენცია ვაშინგტონში 1998 წლის შემოდგომაზე. ორგანიზაციას ორი ძირითადი მაზნი აქვს: 1 - მივეხმაროთ მის წევრ კომპანიებს საქართველოში საქმიანობაში; 2 – საქართველოს, როგორც ბიზნესის განვითარებისათვის ხელსაყრელი ქვეყნის, გაცნობა ამერიკელებისათვის. ღონისძიებები, რომლებსაც ვატარებთ, იპყრობს ხალხის ყურადღებას და იწვევს ბიზნესმენთა დაინტერესებას.

- რამდენად მჭიდრო კონტაქტები გაქვთ საქართველოსთან?

მამუკა წერეთელი: ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, ხშირად მიწევს ჩამოსვლა. წელიწადში, მინიმუმ, 2-3-ჯერ. გამუდმებით მაქვს სატელეფონო კავშირი, გარკვეული ვარ ყველა სიტუაციაში, ასე რომ, საქართველოში მომხდარ ამბავს ხშირად ჩემგან იგებენ საქართველოში. თუმცა, როცა შორს ხარ, ყველაფერი სხვანაირად აღიქმება – კარგსაც და ცუდსაც უფრო მეტად განიცდი.

- სამაგიეროდ, შეფასება და ანალიზი შორიდან უკეთ ხერხდება?

მამუკა წერეთელი: გეთანხმებით. აქ მყოფ ადამიანებს ზოგჯერ თავიანთი რთული მდგომარეობა, განწყობა ხელს უშლის რეალურ შეფასებაში. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ რადგან მე ამერიკაში ვარ, ძალიან ლაღი ცხოვრება მაქვს და ამიტომ ყველაფერს ოპტიმისტურად ვუყურებ.

- საერთოდ, ოპტიმისტი ხართ?

მამუკა წერეთელი: კი, უდავოდ.

- და საქართველოს მდგომარეობასაც ოპტიმიზმით უყურებთ?

მამუკა წერეთელი: დღევანდელ მდგომარეობას არა, მე საქართველოს მომავალს ვუყურებ ოპტიმიზმით.

- რამდენად შორი მომავალია ეს, თქვენი აზრით?

მამუკა წერეთელი: ეს უკვე ფილოსოფიური შეკითხვაა.არ უნდა ველოდოთ, რომ ძალიან მალე სიტუაცია რადიკალურად შეიცვლება. ეს არის ისტორიული პროცესი,რომელიც დაიწყო 1991-92 წლებში. ეს უზარმაზარი ტრანსფორმაციის საკითხია – შეიცვალა ქვეყნის წყობილება, სოციალიზმიდან გადავედით კაპიტალიზმზე. მართალია, ეს არ არის კაპიტალიზმი, მაგრამ, გვინდა, რომ იყოს. უნდა შეიცვალოს, შესაბამისად, ხალხის მენტალიტეტი. ამდენი ხანი კოლონია ვიყავით და უნდა გავხდეთ დამოუკიდებელი სახელმწიფო.

მთელი რიგი სახელმწიფო ინსტიტუტებისა შესაქმნელია, მათი უმრავლესობა ტრადიციულად არც არსებობდა. ეს საქმე დაიწყო ძველი თაობის ხალხმა, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, მოვა ახალი თაობა, რომელიც მას უკეთ გააგრძელებს. ჩემი ყველაზე ოპტიმისტური შეფასებით, ისეთ ცვლილებებს, რომელიც თითოეული მოქალაქისათვის საგრძნობი იქნება, უნდა ველოდოთ სადღაც 2015 წლისათვის. მაგრამ მანამდე უნდა მიმდინარეობდეს ევოლუცია. თუ ზოგადად განვიხილავთ საქართველოს პერსპექტივას, მსოფლიოში ადგილის დამკვიდრებისა და ჩვენდამი ინტერესის ზრდის თვალსაზრისით პროგრესი აშკარაა. დღევანდელი საერთაშორისო ურთიერთობების არქიტექტურა ხელს უწყობს ჩვენს მიმართ ინტერესის შენარჩუნებას და ზრდას. მეორე საკითხია - ჩვენ რამდენად ვართ მზად იმისათვის, რომ დღევანდელი საერთაშორისო განწყობა ჩვენი ქვეყნისთვის მაქსიმალურად სასარგებლოდ გამოვიყენოთ. ვგულისხმობ, მაქსიმალურად გამოვიყენოთ საზღვარგარეთ განათლების მიღების შესაძლებლობა, თავისი პირდაპირი დანიშნულებით გამოვიყენოთ საერთაშორისო დონეზე გაწვრთნილი და აღჭურვილი ჯარი, ნამდვილ მიზანს უნდა მოხმარდეს ყოველგვარი ფინანსური თუ ტექნიკური დახმარება. აქ ძალიან ბევრი პრობლემაა ისევ ჩვენგან გამომდინარე. მაგალითად, მე ძალიან მაწუხებს განათლების პრობლემა საქართველოში. თუ ჩვენ არ შევინარჩუნეთ განათლების დონე და ჩამოვრჩით დანარჩენ მსოფლიოს, ეს მძიმე შედეგს მოგვიტანს, პროგრესის ნაცვლად რეგრესს მივიღებთ.

- უკვე განათლებული ვინც იყო, იმათი დიდი ნაწილი წასულია და საზღვარგარეთ მოღვაწეობს...

მამუკა წერეთელი: ეს დიდი პრობლემაა. საერთოდ, ყველა ერს ჰყავს თავისი მოწინავე ინტელექტუალური ძალა, დაახლოებით 10 000 კაცზე 2-3 პიროვნება, ვისაც აქვს ცვლილების გამოწვევის, მერე მისი განხორციელების შინაგანი ენერგია, ნიჭი და სურვილი. უმრავლესობა კი, არავის შეურაცხყოფას არ ვაყენებ - ეს ყველგან ასეა, მიჰყვება დინებას. სწორედ, იმ ერთეულებზე - მათში, შეიძლება, გლეხიც იყოს და მეცნიერ-მუშაკიც - ბევრი რამ არის დამოკიდებული.

- თქვენ ახლაც თქვენს საქმიანობასთან დაკავშირებით ჩამოხვედით. ამჯერად თუ იქნა მიღებული რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილება, ან ხომ არ დაიდო რაიმე კონტრაქტი. რა გეგმები დაისახა?

მამუკა წერეთელი: პირველ რიგში მინდა აღვნიშნო, რომ ეს სასტუმრო “მარიოტი”, სადაც ახლა ჩვენ ვიმყოფებით, ჩვენი საბჭოს უშუალო მონაწილეობით აშენდა: ხალხი, ვინც განახორციელა ინვესტიციები, ჩვენი დახმარებით ჩამოვიდა. მე ძალიან ამაყი ვარ, რომ ამ საქმეში ჩემი მოკრძალებული წვლილიც არის. თუმცა, რა თქმა უნდა, ლომის წილი მიუძღვის სააქციო საზოგადოება “თბილისს”. ბევრი ასეთი წვრილი თუ მსხვილი პრობლემა გვაქვს მოგვარებული ბიზნესის სფეროში მომუშავე ხალხისათვის.

ამ დღეებში მიმდინარეობდა რიგით V წლიური კონფერენცია. მისი მიზანი იყო არა რაიმე კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტა, არამედ ეს უფრო ჩატარებული სამუშაოების ანგარიში იყო. ამ კონფერენციაზე პირველად იქნა წარმოდგენილი ასეთი რაოდენობის და ასეთი დონის ქართული კომპანიები, უმაღლეს საერთაშორისო დონეზე ჩატარდა 12 თუ 13 ქართული კომპანიის პრეზენტაცია. ჩვენი სტუმრები სასიამოვნოდ გაოცებულნი და აღფრთოვანებულნი იყვნენ. ასე რომ, კონფერენციამ თავისი მიზანი - დღევანდელი მდგომარეობის ჩვენება და კონტაქტების გაფართოება ქართველ და უცხოელ ბიზნესმენებს შორის - შეასრულა. ქართული კომპანიების წარმომადგენლები შეხვდნენ როგორც დონორი ორგანიზაციების, ასევე კერძო კომპანიების წარმომადგენლებს და რამდენიმე მნიშვნელოვან სფეროში მათი ურთიერთთანამშრომლობის დიდი შანსი არსებობს. ესენია: საბანკო, სადაზღვევო, სატრანსპორტო (მაგალითად, იქმნება რეგიონალური ავიახაზების ავიაკომპანია, დაერქმევა “კავკასიური ავიახაზები”) სფეროები.

- ძალიან საინტერესოა. განსაკუთრებით, ახალი ავიაკომპანიის შექმნა. ეს ამჟამად აქტუალური პრობლემაა.

მამუკა წერეთელი: რეისები იქნება ბაქოში, ტაშკენტში, ალბათ, თურქეთში და მომავალში - ვნახოთ... გარდა ამისა, ერთი სპეციალური სესია დაეთმო იმ ამერიკული კომპანიების წარდგენას, რომლებიც ეხმარება ამერიკულ ბიზნესს და მასთან დაკავშირებულ სხვა ქვეყნების ბიზნესს. ეს არის საზღვარგარეთ კერძო ინვესტიციების კორპორაცია “ოპიკი”, რომელსაც ბევრი საქმე აქვს გაკეთებული (მათ შორის, ამ სასტუმროსთვის გაცემული აქვს 26 მლნ დოლარის სესხი). იყვნენ, აგრეთვე, ვაჭრობისა და განვითარების სააგენტოს წარმომადგენლები, რომლებიც ტექნიკურ დახმარებასაც უწევენ კომპანიებს (მათ შორის, ქართულს) და ეხმარებიან ბიზნეს-გეგმების დასაბუთებაში და მრავალი სხვა. ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. მთავარი იყო, რომ ჩვენ წარმოვადგინეთ ქართული ბიზნესის პოტენციალი. სხვათა შორის, უცხოელი სტუმრების თვალთახედვით იმდენად პერსპექტიულად და “ვარდისფრად” გამოიყურებოდა ყველაფერი, რომ ობიექტური სურათის შესაქმნელად, როგორც ჩანს, მართლა საჭირო იყო, ისინი სტადიონზე ყოფილიყვნენ და ენახათ, როგორ ჩაქრა შუა თამაშში სინათლე. ამ მომენტიდან უფრო მიუახლოვდნენ რეალობას.

- მოდით, ცოტა გადახვევა გავაკეთოთ. რვა წელია, ამერიკაში ცხოვრობთ. თქვენი შვილები უფრო ამერიკელები არიან თუ უფრო ქართველები?

მამუკა წერეთელი: ჩემი შვილები ნამდვილი ქართველები არიან და მე ვამაყობ ამით. უფროსი ვაჟი - გიორგი 13 წლისაა. 5 წლის იყო, როდესაც წავედით. არც ერთი სიტყვა ინგლისურად არ იცოდა. სანამ ინგლისურს ისწავლიდა, ვასწავლეთ წერა-კითხვა ქართულად. ასე რომ, მისი პირველი ანბანი ქართულია. მას შემდეგ, ინგლისურთან ერთად, ქართულ წიგნებსაც კითხულობს და, იმედი მაქვს, ქართველ ბავშვებს მომავალშიც არ ჩამორჩება. პატარა ვაჟი ჯერ ორი წლისაა.

- საბოლოოდ სად წარმოგიდგენიათ თქვენი თავი?

მამუკა წერეთელი: ჩემი ოცნებაა, დავბრუნდე და დავბრუნდები კიდეც.

- დაახლოებით მაინც თუ გაქვთ დაგეგმილი - როდის მოხდება ეს?

მამუკა წერეთელი: მე ერთი რამ არ მითქვამს და, ალბათ, უნდა ვთქვა. ვაშინგტონის უნივერსიტეტში, როგორც “მოწვეულმა პროფესორმა”, ლექციების კითხვა დავიწყე. ვკითხულობ კურსს - რუსეთისა და ცენტრალური ევრაზიის ქვეყნების საერთაშორისო ურთიერთობების საკითხები. ძალიან საინტერესო საქმეა და კმაყოფილი ვარ. მე ამერიკაში დავამთავრე მაგისტრატურა საერთაშორისო ურთიერთობების დარგში და მაქვს ხარისხი. ძალიან მომწონს ჩემი სამუშაო. თქვენ რომ მკითხეთ: მერე რას ვაპირებ? აი, დღეისათვის იდეალურ ვარიანტზე ვოცნებობ - ისე ავაწყო, რომ 6 თვე იქ ვასწავლო, 6 თვე კი აქ ვიყო და ვასწავლო.

და კიდევ, ვოცნებობ - სადმე პატარა ვენახი მქონდეს და ღვინო მე თვითონ დავწურო.

მართალი გითხრათ, არასოდეს მიფიქრია ამერიკაში დარჩენაზე. ჩვენ, ფაქტობრივად, ყოველ წელიწადს ვდგავართ ამ დილემის წინაშე - ხომ არ წავიდეთ, ხომ არ დავბრუნდეთ...

- ნოსტალგია გაწუხებთ...

მამუკა წერეთელი: ძალიან. ჩემს მეუღლეს ჩემზე მეტად.

- მეუღლესაც ხომ არ გაგვაცნობთ?

მამუკა წერეთელი: რა თქმა უნდა, - მაია ყუფუნია, პროფესიით თეატრის მხატვარი. თუმცა, ამერიკაში მოუწია კვალიფიკაციის შეცვლა. იქ გაკეთდა ქართულ-ინგლისური, ან, როგორც ისინი უწოდებენ, ქართულ-ამერიკული ლექსიკონი. მის შექმნაში მაია ძალიან აქტიურად მონაწილეობდა. ეს სფერო მისთვის არცთუ უცხოა, თავისი წარმომავლობიდან გამომდინარე (მაია ცნობილი დრამატურგის - ნახუცრიშვილის შვილიშვილია). ეს იქნება ყველაზე სრულყოფილი ლექსიკონი, რომელიც კი არსებობს.

- ამერიკაში ადაპტაცია გაგიჭირდათ?

მამუკა წერეთელი: თავიდან - ძალიან. პირველ წელს ვფიქრობდით, რომ მომავალ წელს დავბრუნდებითო. მართალი გითხრათ, ყოველ წელიწადს ასე ვართ. უბრალოდ, მიმაჩნია, რომ დღეს მე იქ უფრო მეტის გაკეთება, მეტი სარგებლობის მოტანა შემიძლია.

საერთოდ, ჩვენ ყველას - ქართველებს, ერთი და იგივე პრობლემები გვაქვს, ყოველდღიური ყოფითი პრობლემები გვახრჩობს. ლაპარაკია ნავთობსადენებზე, სასტუმროებზე, სხვადასხვა ინვესტიციაზე... თუ ეს ყველაფერი ადამიანებამდე არ მივიდა, თითოეულმა ჩვენგანმა არ იგრძნო, არაფერს მნიშვნელობა და ფასი არ ექნება. ჩემი მრწამსია - პიროვნების თავისუფლება. ადამიანი უნდა იყოს მაქსიმალურად თავისუფალი. საქართველოში დღეს ამ მხრივ არაფერი კეთდება. ადამიანებს თავისუფლად ცხოვრების საშუალება არა აქვთ. რაც მთავარია, თავისუფლად საქმიანობის საშუალება არა აქვთ. თავისუფალი საქმიანობა კი არის საფუძველი იმისა, რომ ჰქონდეს ქვეყანას ბიუჯეტი, ადამიანებს - განათლების საშუალება და ა.შ. ყველაფერი დანარჩენი ამაზეა დამოკიდებული. ამჟამად საქართველოს ეკონომიკის, მინიმუმ, 70 პროცენტი - არალეგალური ეკონომიკაა. სახელმწიფო ისეთ პირობებს ქმნის, რომ ადამიანები გარბიან ლეგალური სისტემიდან და იძულებულნი არიან, კანონს გვერდი აუარონ. უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ პირობების შექმნას, როდესაც წესიერად და კანონიერად საქმის კეთება უფრო ხელსაყრელი და ადვილი იქნება, ვიდრე - არაწესიერად საქმიანობა. ეს სიტუაცია საქართველოში ხელს აძლევს, ალბათ, 10 ათას კაცს, მეტს - არა. ბოლოს და ბოლოს დადგება იმის აუცილებლობა, რომ ამ 10 ათას კაცს როგორმე უნდა მოევლოს.

- არ მიგაჩნიათ, რომ ამის აუცილებლობა, დიდი ხანია, არსებობს?

მამუკა წერეთელი: კი, დიდი ხანია. მაგრამ, ჯერჯერობით, არ ჩანს ძალა, რომელიც მათ მოუვლის. პოპულისტი პოლიტიკოსები ამ საქმეს ვერ მოუვლიან. ვიცი, რომ ჩემი სიტყვები “ვისაც ჯერ არს”, ვერ დააფიქრებს. მაგრამ, მე მაინც ვიტყვი ჩემს სათქმელს: თუ კონკრეტულმა ადამიანებმა არ იგრძნეს რაღაც სიკეთე ცვლილებებიდან, მაშინ გროშია მათი ფასი. მაგალითად, დედაჩემი და მამაჩემი პენსიონერები არიან. მე რომ არ გამოვუგზავნო, საარსებო მინიმუმიც არ გააჩნიათ. ასე არსებობს ბევრი და რამდენია ისეთი, ვისაც არავინ უგზავნის...

მაგრამ მაინც, მე იმედით ვუყურებ მომავალს. ყველაფრის მიუხედავად, აქ ვცხოვრებ.

- და ვენახიც გექნებათ. სოფელი თუ გაქვთ, სად არის თქვენი ძირები?

მამუკა წერეთელი: მამა-პაპისეული სახლი გვქონდა სოფელ გუნდაეთში. 1924 წელს ეს სახლი გაძარცვეს და ცეცხლი წაუკიდეს, მოგვიანებით კი ნაწილობრივ აღადგინეს და იქ გახსნეს სკოლა, კლუბი და ბიბლიოთეკა. სხვათა შორის, ამ სოფელში არსებობდა წმინდა გიორგის სახელობის ძალიან ცნობილი ეკლესია. ქართლიდანაც კი მოდიოდნენ სალოცავად. საინტერესო ეკლესია იყო. კედლებში ქვევრები ჰქონდა ჩატანებული და ეკლესიაში საოცარი აკუსტიკა იყო. იქ გალობის მოსმენას არაფერი სჯობდა. დაახლოებით 1928 წელს, ეს ეკლესია ააფეთქეს. მაგრამ იმდენად მყარი ნაშენები იყო, ნაწილი მაინც დარჩა და დღესაც არსებობს. ყველაზე საინტერესო იყო მიზეზი, რის გამოც, თურმე, ეკლესია დაანგრიეს: - ქვები გვჭირდება სკოლის ასაშენებლადო. იცით, ამ სოფელში, ფაქტობრივად, არაფერი მოდის, ძალიან მწირი მიწაა. ერთადერთი, რითიც სავსეა ეს მხარე, სწორედ რიყის ქვა არის. ძალიან მეეჭვება, რომ სკოლა იმ ეკლესიის ქვით აეშენებინათ. ნეტავი, ასე ყოფილიყო. სხვათა შორის, სოფელში იყო საუბარი ეკლესიის აღდგენაზე.

- იმედია, ახლა სკოლას არ დაანგრევენ ეკლესიის აღსადგენად...

მამუკა წერეთელი: გამორიცხული არაფერია.

წარმატება

„ჩვენ განვიცადეთ კვლევის მთელი სილამაზე"

ლუნდელი მკვლევარების ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ ინსულტის შემდეგ ხდება ახალი ნერვული უჯრედების წარმოქმნა. ამ ახალმა ამბავმა, რომელიც აგვისტოში გამოქვეყნდა, მთელი შვედეთი და საზღვარგარეთი განაცვიფრა.



ზაალ კოკაია, ანდრიას არვიდსონი და ულე ლინდვალი გამარჯვებას ზეიმობენ

"ჯერ კიდევ ბევრი სიახლე გველოდება," - ამბობს პროფესორი ულე ლინდვალი, რომელიც ასოცირებულ პროფესორ ზაალ კოკაიასთან ერთად ხელმძღვანელობს კვლევით ჯგუფს, - **ამ სტატიის ისეთ პრესტიჟულ ჟურნალში გამოქვეყნება, როგორიცაა Nature Medicine, რაღა თქმა უნდა, ზრდის ჩვენს კონკურენტუნარიანობას და კვლევითი გრანტების მიღებას გაგვიადვილებს. ამასთანავე, მსგავსი აღმოჩენა უდიდესი სიხარულია მკვლევრისთვის. მთელი სამეცნიერო კარიერის მანძილზე ასეთი რამ, შესაძლოა, მხოლოდ რამდენჯერმე განიცადო."**

მკვლევრებს ულე ლინდვალს, ზაალ კოკაიას და მათ ასპირანტს ანდრიას არვიდსონს სახეები უბრწყინავთ, როცა თავიანთი აღმოჩენის შესახებ საუბრობენ. ეს მათი განწყობა და ის გამოხმაურება, რაც მათ მიერ გამოქვეყნებულ სტატიას მოჰყვა, იმით აიხსნება, რომ ლუნდელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს აქამდე უცნობი ბიოლოგიური მოვლენა - ტვინს უნარი შესწევს, თავად შეასწოროს ინსულტით გამოწვეული დაზიანება.

"ჩვენ ვმუშაობდით ტვინის ერთ-ერთ სტრუქტურაზე, რომელსაც სტრიატუმი ჰქვია. ინსულტი ხშირად აზიანებს ამ სტრუქტურას და მის მახლობლად განლაგებულ ტვინის ქერქს. აღმოვაჩინეთ, რომ ინსულტის შემდეგ ტვინის ამ უბანში ღეროვანი უჯრედები ახალ ნერვულ უჯრედებს აძლევენ დასაბამს. ეს სრულიად ახალი მოვლენაა - აქამდე არავის არ უნახავს, რომ სტრიატუმში, შესაძლოა, ახალი ნეირონების წარმოქმნა," - ამბობს ზაალ კოკაია.

სიურპრიზი

მკვლევარებისთვის სიურპრიზი იყო, სასიხარულო სიურპრიზი, როდესაც მათ აღმოაჩინეს, რომ ახლად წარმოქმნილი ნეირონები ტვინის დაზიანებული უბნისკენ მიგრირებენ და იქ იმ ტიპის ნეირონებად გარდაიქმნებიან, რომლებიც ინსულტის შედეგად დაიღუპა. ულე ლინდვალი ამბობს, რომ ეს მოვლენა მათ, პირველად, ჯერ კიდევ გასული წლის აპრილში აღმოაჩინეს: **"თავიდან ვიფიქრეთ, რომ ეს ფენომენი ძნელად დასაჯერებელია და სასწრაფოდ დამატებითი ექსპერიმენტები ჩავატარეთ. ჩვენდა საბედნიეროდ, ამ ექსპერიმენტების შედეგებმა ჩვენი აღმოჩენის სისწორე დაადასტურეს."**

მკვლევარები მიხვდნენ, რომ მათ ფუნდამენტურ ბიოლოგიურ მოვლენასთან ჰქონდათ საქმე და ინტენსიური მუშაობა განაგრძეს, რათა მოსაზრება საფუძვლიანად დაესაბუთებინათ. საკმაო დრო და გარჯა დაჭირდა იმას, ჟურნალს ლუნდელი მეცნიერების ნაშრომი დასაბეჭდად რომ მიეღო.

"ღეროვანი უჯრედების კვლევა ძალზე აქტუალურია. ვიცოდით, რომ სხვა ქვეყნებში მკვლევართა რამდენიმე ჯგუფი მსგავს ექსპერიმენტს ატარებდა. ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო, რომ პირველები ვყოფილიყავით," - ამბობს ულე ლინდვალი - **ამჟამად სამეცნიერო კვლევა ძალზე ძვირი სიამოვნებაა და ასევე ძალზე მაღალია კონკურენციაც. მეცნიერმა კარგი შედეგები უნდა აჩვენოს, რომ დაფინანსება მიიღოს და კვლევის გაგრძელების შესაძლებლობა მიეცეს. ამ თვალსაზრისით, ჩვენი სტატიის Nature Medicine-ში გამოქვეყნება ერთობ მნიშვნელოვანია".**

ექსპერიმენტები ტარდებოდა ვირთაგვებზე, რომლებსაც ტვინში სისხლის მიმოქცევას ხელოვნურად უმცირებდნენ, რასაც იშემიური ინსულტი მოჰყვება - ტვინის სწორედ ისეთი დაზიანება, რომელიც ხშირია ადამიანებში.

სპონტანური აღდგენა

ადამიანები, რომლებიც ინსულტის შედეგად არ დაიღუპებიან, როგორც წესი, გარკვეულწილად, სპონტანურად აღიდგენენ დაკარგულ ფუნქციას. შესაძლოა, რომ ეს მოვლენა აიხსნას ახალი ნერვული უჯრედების წარმოქმნით?

"ჯერჯერობით, ჩვენ ეს არ დაგვიდასტურებია. ვფიქრობთ, რომ ახლად წარმოქმნილი ნეირონები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ, მაგრამ ასევე სავარაუდოა, რომ მათთან ერთად, მრავალი ფაქტორი მონაწილეობს აღდგენით პროცესში, - ამბობს ულე ლინდვალი. ახლად წარმოქმნილი უჯრედები არ არის საკმარისი რაოდენობით, რათა სრულად მოხდეს დაღუპული უჯრედების შეცვლა, მაგრამ დადებითი მხარე ისაა, რომ ეს უჯრედები საკმაოდ სიცოცხლისუნარიანია."

ზაალ კოკაია ამბობს, რომ განვითარებულ ქვეყნებში, გულსისხლძარღვთა დაავადებებისა და კიბოს შემდეგ, სიკვდილიანობის მიხედვით, ინსულტი მესამე ადგილზეა. შვეციაში ინსულტი ყოველწლიურად ემართება 30 000 ადამიანს. გადარჩენილ პაციენტთა ორი მესამედი სხვადასხვა დონის ინვალიდი ხდება. ამდენად, გასაკვირი არაა, თუ რატომ გამოიწვია ამ სტატიამ ასეთი გამოხმაურება.

- შეიძლება ითქვას, რომ ამ აღმოჩენამ ინსულტის განკურნებას მიგვაახლოვა?

ულე ლინდვალი ფიქრობს, რომ ჯერ ადრეა კონკრეტულ კლინიკურ გამოყენებაზე ლაპარაკი: **"ჯერ კიდევ ბევრი ფუნდამენტური კვლევაა ჩასატარებელი. ჩვენ უნდა დავადგინოთ, თუ რა მექანიზმი უდევს საფუძვლად ახალი ნეირონების წარმოქმნას და რა ფაქტორები განაპირობებს ამ უჯრედების მიგრაციას ტვინის დაზიანებულ უბანში. ჩვენ მიზნად ვისახავთ, შევისწავლოთ ეს მექანიზმები გენეტიკურად მოდიფიცირებულ თაგვებში. ჩვენ ასევე შევისწავლით, არის თუ არა ეს მოვლენა დამოკიდებული ასაკზე. კლინიკური პრაქტიკიდან ცნობილია, რომ ახალგაზრდა პაციენტები გაცილებით უკეთ აღიდგენენ ინსულტის შედეგად დაკარგულ ფუნქციებს, ვიდრე ხანდაზმულები."**

კლინიკური გამოყენება

რა თქმა უნდა, ჩვენ ამ აღმოჩენის კლინიკურ პოტენციალზე ვიმუშავებთ. თუ შევძლებთ, შევისწავლოთ ტვინის თვითგანკურნების სტიმულირება და მართვა, ეს ინსულტის მკურნალობის სრულიად ახალი მეთოდების დანერგვის საშუალებას მოგვცემს.

მკვლევართა ეს აღმოჩენა შვედეთის სტრატეგიული ფონდის გადაწყვეტილებას ემთხვევა - ლუნდში ღეროვანი უჯრედების კვლევის ცენტრის გახსნის დაფინანსებას.

"მსგავსი აღმოჩენა დიდი სტიმულია შემდგომი კვლევისთვის და ამასთანავე, დაფუძნებულია მრავალი წლის ინტენსიურ მუშაობაზე. დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ განვიცადეთ კვლევის მთელი სილამაზე და ეს განცდა ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია. ეს ისეთი შეგრძნებაა, რომელიც გინდა, შენს გარშემო მყოფ ადამიანებს გაუზიარო," - ამბობს ულე ლინდვალი.

ემიგრაცია

„ჯერჯერობით, ჩვენც იქ ვცხოვრობთ და ვმუშაობთ„

გიორგი ცარციძე

იძულებითი და ტოტალური ემიგრაციული პროცესების გამო ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალიც ვერ შენარჩუნდა და საბოლოოდ, ყველა "სიკეთესთან" ერთად, საქართველო არაპროფესიონალიზმის ტყვეობაშიც აღმოჩნდა.

უცხოეთში მომუშავე ქართველი მეცნიერები, პირობითად, სამ ნაწილად იყოფიან. პირველ კატეგორიას სამუდამოდ დარჩენილები განეკუთვნებიან, მეორეს - დროებით სამუშაოდ ჩასულნი, ხოლო მესამეს - ე.წ. პერიოდულად ჩამსვლელები. ასეთ "პერიოდულ ჩამსვლელებს" გენეტიკოსი ცოტნე ჯავახიშვილიც განეკუთვნება. სწორედ, მან მოგვითხრო ამერიკაში მოღვაწე ქართველ მეცნიერების შესახებ.

დასამალი არაა, რომ უცხოეთში ქართველ მეცნიერთა გარკვეული ნაწილის წასვლამ ქვეყნის შემდგომ განვითარებაზე უარყოფითად იმოქმედა. არადა, ამის დეფიციტს ქვეყანა მწვავედ განიცდის, რაც თითოეულ დარგშიც ასე ნათლად აისახა.

ქართველ მეცნიერთა თავმოყრა, ძირითადად, შეერთებულ შტატებში მოხდა. იქ ცხოვრების ტემპი დამღლელია და მასთან შეგუება ჭირს, ამიტომ ბევრს უკან დაბრუნება ურჩევნია. მაგრამ, თავისი პროფესიით წასულებისთვის შეგუების ბარიერის გადალახვა შესაძლებელი აღმოჩნდა. ოფიციალურად მიწვეულების გარდა, შემთხვევით მოხვედრილებიც არიან და შრომისა თუ ნიჭის წყალობით, ყველაფერს აღწევენ.

შეიძლება, ამერიკაში ქართველ მეცნიერთა ასე მრავლად განთავსება იმ ფაქტმაც გამოიწვია, რომ პროფესიონალიზმის წყალობით, ადვილია რეპუტაციისა და კარგი მეცნიერის სახელის მოპოვება. საბჭოთა მეცნიერებისგან განსხვავებით, საჭირო არაა რაიმე მაქინაციებით კარიერის გაკეთება, რაც იმ პერიოდის ჩაკეტილი სისტემის გამოისობით, სამწუხაროდ, ხშირი მოვლენა იყო. ინტრიგები, რა თქმა უნდა, ამერიკაშიც არსებობს, მაგრამ ყველაფერი მინიმუმამდეა დაყვანილი და განვითარებასაც ხელს არ უშლის.

"24 საათი": საქართველოში, საბჭოთა მმართველობის დროს, ყველაფერი დანაგვიანებული იყო, მათ შორის მეცნიერებაც. რა არის აუცილებელი ამის გამოსასწორებლად? საჭიროებს თუ არა ქართული მეცნიერება განახლებას?

ცოტნე ჯავახიშვილი: მიზეზი მრავლადაა, მაგრამ ძირითადი მაინც ძველი კადრების არსებობაა. მათი საქმისადმი მიდგომა მოძველებულია, ხოლო აზროვნება მოუქნელი. ამ ადამიანებს ვეღარ გადააკეთებ, ამიტომ უმჯობესია და აუცილებელიც ახალგაზრდა კადრების შეცვლა. მეცნიერება ხომ მარტო ქართული არ არის, იგი მსოფლიო დიდი მეცნიერების განუყოფელი ნაწილია.

სამწუხაროდ, ჩვენს კვლევით ინსტიტუტებში პირამიდული სტრუქტურა არსებობდა - მკაცრად დაცული იერარქიული წესებითა და თავის შინაგანი პოლიტიკით. მეცნიერებაში ეს არ უნდა არსებობდეს, რადგან ამით დამოკიდებულობას კარგავ და კორუმპირებული სისტემაც აქედან წარმოიშობა.

მოხდა ისე, რომ საქართველოში მეცნიერი პრაქტიკულ შრომას გადაჩვეულია. ამის მაგალითია ისიც, რომ ნიჭიერ მეცნიერი, რომელიც ასეთ პირამიდულ სტრუქტურაში მოექცევა, პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმისთვის თავს იკავებს. მას აღარ ძალუძს, დამოუკიდებლად აწარმოოს კონტაქტები უცხოელ პარტნიორებთან, გამონახოს სახსრები ლაბორატორიის ასამუშავებლად და სხვა. ყველაფერი ამ სამკუთხედშია მოქცეული და დღემდე მოძველებული მეთოდებით მოქმედებს.

შეიძლება, საქართველოში არსებული პრობლემა კადრების სიმრავლეთაც აიხსნებოდეს. უმაღლესი სასწავლებლები დღემდე ყოველწლიურად ათასობით მომავალ ე.წ. მეცნიერს უშვებს და ესეც გარკვეულწილად ხელს უშლის მაღალი ხარისხის მიღწევას. ამ მხრივ, ამერიკაში და საერთოდ, დასავლეთში განსხვავებული სიტუაციაა. იქ ყველას ზუსტად აქვს განსაზღვრული მომავალი პროფესია. ამიტომაც, ამ ქვეყნების სიდიდისა და მოსახლეობის სიმრავლის მიუხედავად, უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელების კონტინგენტი შეზღუდულია.

დასანანია, მაგრამ მუდმივად მოუგვარებელმა და არასტაბილურმა პირობებმა საქართველოში დაბრუნებაზე მრავალ ადამიანს აუცრუა გული და ისინი იძულებულნი არიან, თავიანთი გონებრივი შესაძლებლობები უცხო ქვეყანას მოახმარონ.

ცოტნე ჯავახიშვილი: საქმის კეთების თვალსაზრისით ამერიკაში მირჩევნია მუშაობა. მართალია, რაღაც კონტინგენტს სურს ამერიკელობა, მაგრამ მეც და სხვა მრავალი ადამიანი ასე არ ვფიქრობთ. თუმცა, ჯერჯერობით, ჩვენც იქ ვცხოვრობთ და ვმუშაობთ, რადგან საქართველოში, სამწუხაროდ, პირობები არ არსებობს.

გენეტიკოსი ჯავახიშვილი პროფესიონალი მფრინავიცაა. 2000 წლის 5 მარტს მისი თვითმფრინავიდან ასე ჩანდა "ტყუპები"

„საქართველოში ცხოვრებას ვაპირებ და სხვანაირად ვერც წარმომიდგენია"

ლია თოფურია

როგორც თვითონ ამბობს, "ერთი თბილისელი ბიჭია" და გულწრფელად გაოცდა, როდესაც ინტერვიუს ჩასაწერად შეხვედრა ვთხოვე; შეხვედრისას მორცხვად გაიღიმა: **"ნამდვილად არაფერი გამიკეთებია, დასაწერად რომ ღირდეს, რიგითი მოქალაქე ვარ: დათო ჭყონია, დაბადებული 1978 წელს."**

- საქართველოს რიგითი მოქალაქე - ეს ძალიან საინტერესოა. დათო, როგორ აღმოჩნდი ინგლისში და, საერთოდ, რა გზა გაიარე თბილისიდან ლონდონამდე?

დათო ჭყონია: 53-ში ვსწავლობდი. მე-11 კლასში, ერთი ამერიკელი მეგობრის მიპატიჟებით, ამერიკაში წავედი. მინდოდა, გარკვეული პერიოდი იქ მესწავლა, ჩემი შესაძლებლობები მომესინჯა. მეთერთმეტე და მეთორმეტე კლასები იქ დავამთავრე და ჩავაბარე ერნენ-კოლეჯში, ინდიანაში. დამინიშნეს სტიპენდიაც. ამასობაში გამოიკვეთა ჩემი ინტერესების სფეროც - ფინანსები. ჩავაბარე სანხოსეს სახელმწიფო უნივერსიტეტში ბიზნეს-ადმინისტრატორის სპეციალობაზე, ფინანსების განხრით. თან ბანკში ვმუშაობდი. ვცხოვრობდი საერთო საცხოვრებელში, ვთამაშობდი ფეხბურთს უნივერსიტეტის გუნდში. ერთხელ საერთო საცხოვრებლის ჩემპიონიც კი გავხდი ბილიარდში (იცინის). ძალიან საინტერესო წლები იყო – კარგიც, რთულიც, ზოგჯერ, სასაცილოც. ერთხელ (ერთადერთხელ!) ჩვენს საერთო საცხოვრებელში დენი გამოირთო. ვერ წარმოიდგენთ, რა საშინელი პანიკა ატყდა, ყველა შეძრწუნებული იყო, უფროსები გამუდმებით აცხადებდნენ: არ შეშინდეთ, დარჩით ადგილებზე, ფრთხილად იყავით!.. მერე ყველას უკვირდა – მე რატომღა ვიყავი ასე მშვიდად და ამ ალიაქოთის შემყურეს, მეცინებოდა კიდევაც...

სწავლის ბოლო სემესტრში დავიწყე იმაზე ფიქრი, რომ, თუ გინდა, მართლა ძლიერი სპეციალისტი გახდე, უნდა იმუშაო ფინანსურ ცენტრში, სადაც არის დიდი მოთხოვნები, დიდი კონკურსი და დიდი სკოლა. მოკლედ, დავიწყე ფიქრი ნიუ-იორკში გადასვლაზე. ჩემმა ბანკირმა გამიწია რეკომენდაცია და 2000 წელს გადავედი სამუშაოდ ნიუ-იორკის საინვესტიციო ბანკში ინვესტიციების ანალიტიკოსად. აქ ვმუშაობდი ბოლო დრომდე. მე უკვე კონკრეტული მიზნები გამიჩნდა – მაინტერესებდა მუშაობა აღმოსავლეთ ევროპასთან და, საბოლოოდ, საქართველოსთან. ამ დროს გამოჩნდა ადგილი ლონდონში, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკში. გავიარე საკმაოდ დიდი კონკურსი, ლონდონში მქონდა რამდენიმე გასაუბრება ბანკირებთან, იყო ტესტები. როდესაც ყველა ეტაპი დამთავრდა და მაცნობეს, რომ მიღებული ვარ, ჩამოვედი თბილისში. სექტემბერში კი დავიწყე მუშაობა.

აი, ეს არის ჩემი გზის ეტაპები, რაც, ცოტა არ იყოს, ხმამაღლა ნათქვამია. ვთვლი, რომ ჩემი გზა ჯერ წინ არის და ჯერ მთავარი გასავლელია.

– ცხოვრების როგორი რეჟიმი გაქვს იქ?

დათო ჭყონია: მკაცრი, განსაკუთრებით – ბოლო სამი წელი. ეს არის მონოტონური შრომა. მაგრამ, როდესაც დასახული გაქვს კონკრეტული მიზანი და მისი მიღწევის ნამდვილი ინტერესი გაქვს, აუცილებლად მიაღწევ. ჩემი აზრით, "აქ" და "იქ" ცნებებს შორის ეს ძირითადი განსხვავებაა.

– როდის უფრო გაწუხებდა ნოსტალგია, დასაწყისში თუ ახლა?

დათო ჭყონია

დათო ჭყონია: ნოსტალგია სულ მაწუხებს. გამუდმებით მენატრება და ვფიქრობ აქაურობაზე. სრულიად სხვა განწყობით ჩასული ქართველებიც შემხვედრია – მოხედვაც რომ აღარ უნდათ. ზოგს, დროთა განმავლობაში, თანდათან გაუქრა ნოსტალგია. ასე რომ, როგორც ჩანს, ეს გრძნობა სრულიად ინდივიდუალურია.

– რამდენად ხშირად ჩამოდიხარ საქართველოში და საბოლოოდ სად აპირებ ცხოვრებას?

დათო ჭყონია: ჩამოვდიოდი ხოლმე ზაფხულის არდადეგებზე და ზოგჯერ ზამთარშიც. რაც მუშაობა დავიწყე, წელიწადში ერთხელ თუვახერხებ. საბოლოოდ კი საქართველოში ვაპირებ ცხოვრებას და სხვანაირად ვერც წარმომიდგენია. თუ აქ დაიწყება იმ სფეროს განვითარება, რომელშიც მე ვმუშაობ და შესაძლებლობა მექნება, იქ შეძენილი ცოდნა აქ გამოვიყენო, ცხადია, არც კი დავფიქრდები. სამწუხაროდ, ჯერ ადრეა ამაზე საუბარი. იმედი მაქვს, ხუთი წლის შემდეგ, ხუთი წლის თუ არა, ათი წლის შემდეგ მაინც ვიცხოვრებ აქ. მე ოპტიმისტი ვარ და მჯერა – მეც და ყველა ჩემნაირიც დავბრუნდებით და აქ ვიპოვნით ასპარეზს ჩვენთვის. მართალია, ჯერ ვერ ვარ ფიზიკურად აქ, მაგრამ ვცდილობ, რამენაირი კავშირი მაინც მქონდეს. ეს იყო მთავარი მიზეზი, რატომაც გადმოვედი ნიუ-იორკიდან ლონდონის ბანკში – ეს ბანკი ხომ აღმოსავლეთ ევროპასთან თანამშრომლობს, ე. ი. საქართველოსთანაც. სპეციალობის არჩევის დროსაც საქართველოზე ვფიქრობდი და არცერთი წუთით არ ვკარგავ იმედს, რომ რაიმე სარგებლობის მოტანას მაინც შევძლებ.

– ერთწლიანი შუალედებით რომ ჩამოდიხარ, რაიმე ცვლილებებს თუ ამჩნევ?

დათო ჭყონია: ყოველ ჩამოსვლაზე ვამჩნევ ყველანაირ ცვლილებას. ვფიქრობ, დიდი ხანია, დროა, ცვლილება მხოლოდ ქუჩაში კი არ ჩანდეს (მაღაზიებისა და რესტორნების მომრავლებას ვგულისხმობ), არამედ უკვე სხვაგან უნდა მოხდეს, ანუ ღრმა ცვლილებებია აუცილებელი.

– ახლა ბევრი იყურება უცხოეთისკენ და ბევრი ოცნებობს წასვლაზე...

დათო ჭყონია: თუ წახვალ, გარკვეული მიზნით უნდა წახვიდე და ყველა შანსი გამოიყენო მიზნის მისაღწევად. ძალიან ბევრი შრომაა საჭირო. იქ ასეა – გასაკეთებელი უნდა გაკეთდეს! 11 სექტემბერს, სწორედ იმ საშინელ მომენტში, ჩვენ ბანკში - მანჰეტენზე, მსოფლიო სავაჭრო ცენტრთან ახლოს, 35-ე სართულზე ადრე დაგეგმილი შეხვედრა ჩავატარეთ. აი, ეს არის მუშაობის ამერიკული სტილი. მხოლოდ შემდეგ ჩამოვედით ქვემოთ.ხშირად ღამეც დავრჩენილვარ სამსახურში. მე ვიცოდი, რომ გარკვეულ მიზანს ვემსახურებოდი.

– იქაც არის პროტექცია?

დათო ჭყონია: უფრო რეკომენდაცია. შეიძლება, პროტექციაც გაგიწიონ, მაგრამ საქმე თუ ვერ გააკეთე, ვერანაირი პროტექტორი ვერ გიშველის. პროტექტორმა შეიძლება გასაუბრებამდე მიგიყვანოს, რაც საკმაოდ რთულია დიდი კონკურენციის პირობებში, მაგრამ დანარჩენი მთლიანად შენზეა დამოკიდებული.

– რას გვეტყვი გასამხნევებელს?

დათო ჭყონია: ჩემი თანამემამულეების გამხნევება რთული საქმეა. ალბათ, ყველა გაიფიქრებს, რომ შორიდან ეს ადვილია. მაგრამ მე შორს სულაც არ ვარ, ყველაფერი მშვენივრად ვიცი და მაინც იმ აზრზე ვრჩები, რომ – მთავარია, ადამიანმა იმედით იცხოვროს.

ბინები

იყიდება

იყიდება ლეონიძის (კიროვის) ქუჩაზე 3-ოთახიანი იზოლირებული ბინა სათავსოებით ე.წ. "სტალინის სახლში", III სართულზე. 38-20-89, 899 58-96-31

სასწრაფოდ იყიდება 220 კვ/მ 5 ოთახიანი არასტანდართული ბინა 10(12), 3 დიდი აივნით. სახლში ორი ლიფტია. საწყისი ფასი 37 000 დოლარი. მის: ფანასკერტელის ქ. XI კორპუსი, ტელ: 38-41-15, 899 94 44 84 (თინა ან რომა).

იყიდება 3-ოთახიანი ბინა კრწანისის ქუჩაზე. 93 58 00

იყიდება კავსაძეზე 1,5 ოთახიანი სამხატვრო ბინა-სახელოსნო მე-2 სართ.

ფასი: 14000.

ტელ: 893 31-17-72

სასწრაფოდ იყიდება ბინა ფილარმონიასთან. 8(93) 32 87 82

იყიდება 3,5-ოთახიანი ბინა კაპიტალური რემონტით I სართულზე, მეტრო ისანთან. ფასი შეთანხმებით. 77 34 79

იყიდება 5-ოთახიანი ბინა 3(9) ავტოფარეხით, ბუხრით ბახტრიონზე. 38 38 44, 8(99) 54 74 20

სასწრაფოდ იყიდება ჩეხური 2-ოთახიანი მეტრო "ახმეტელთან". 8(99) 93 05 33

იყიდება ვაკეში საოფისე და სამაღაზიე ფართები დამთავრებულ სახლში. 202 კვ.მ. და 278 კვ.მ. 8(99) 50 30 66, 98 95 67, 99 56 93

იყიდება 4-ოთახიანი არასტანდარტული ბინა პეკინის 35. 140 კვ.მ. ფასი 32 000. 8(99) 56 27 54

იყიდება 110 კვ.მ. ბინა 3(8) იოსებიძეზე. 8(99) 59 86 30

იყიდება 3-ოთახიანი ბინა ვაკეში, ჭავჭავაძის პროსპექტზე (მე-9 საავადმყოფოს პირდაპირ). ფასი 40 000 $. 22 25 00

ბინები

ქირა, გირაო

ქირავდება 1,5-ოთახიანი ბახტრიონზე. 37 17 48

გირავდება 7-ოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა 2 წლით, 25 000-ად, ბარნოვის დასაწყისში. 29 49 89

ვიქირავებ 2-ოთახიან ბინას დიღომში 70-ად. 98 66 67

ქირავდება 3-ოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა ავეჯით უზნაძის ქუჩაზე. ფასი 180 $. 95 40 23

ვიგირავებ 1000-1500 დოლარის ფარგლებში იზოლირებულ ბინას. ტელ: 897 58 34 04, 897 58 34 00

ქირავდება 2-ოთახიანი ბინა ბუდაპეშტის №10. მე-5 სართული. ავეჯით, რემონტით. ფასი 170 $. 8(99) 56 27 54

საოფისე ფართი

ქირავდება ოფისი რუსთაველზე. 34 14 58

მანქანები

იყიდება "06", 1985 წლის, კარგ მდგომარეობაში. 600-ად. 52 67 37

იყიდება BMW-525, 1990 წლის, ტყავის სალონით, საუკეთესო მდგომარეობაში, სრული ელექტროპაკეტით. 4 500-ად. 8(99) 94 70 17

სასწრაფოდ იყიდება 1991 წლის ფოსფორისფერი "ფორდ-ესკორტი" იდეალურ მდგომარეობაში ძრავა – 1,4; ეკონომიური (წვა – 6ლ 100 კილომეტრზე). ფასი – 2500 დოლარი. ტელ: 899 50 30 13, მაია.

სწავლება

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში. 38 44 43, 61 29 76

მოვამზადებ გერმანულ ენაში. ფასი 15 $. 68 36 49

მოვამზადებ დაწყებითი კლასის მოსწავლეებს ყველა საგანში. ვასწავლი ხატვას ბინაზე მისვლით. 32 63 91 პაპუნა (საღამოს)

შევასწავლი სასაუბრო თურქულ ენას და გრამატიკას ნებისმიერი ასაკის მსურველს. წერეთლის 8. 34 79 44

კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელი ინდივიდუალური კურსები: Windows, Word, Excell, Internet, E-mail - 60 ლარი. პროფესიული კურსი - 120 ლარი. Photo shop - 80 ლარი . Pagemaker - 60 ლარი. Adobe-premier - 200 ლარი

მის. ი.ჭავჭავაძის №74, IX სართ. ოთახი - 908. 25-35-48, 23-53-69

შეგასწავლით კომპიუტერის საოფისე პროგრამებს (Windows, Word, Internet). მოგიძებნით ინტერნეტში ინფო-რმაციას, მათ შორის საზღვარგარეთ საქმიან (სამეცნიერო) პარტნიორებს. დაგეხმარებით საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლაში. შეგიქმნით Web - გვერდს.

ტელ: 63-37-40 (საღამო), 33-17-59, 893 304942

მოვამზადებ გერმანულ ენაში. ფასი 15 $.

ტელ: 68 36 49

სხვადასხვა

სამუშაო. 8(22) 009 070

იყიდება დალმატინელის და ინგლისური კოკერ-სპანიელის ლეკვები. 60 82 44

კვალიფიციური მასაჟისტი გთავაზობთ ბინაზე მისვლით სამკურნალო-გამაჯანსაღებელ მასაჟებს დიდებზე და ბავშვებზე. 32 06 43

გიწვევთ სამუშაოდ რუსულ კომპანიაში სოლიდური ანაზღაურებით. 34 20 19 ოფისი, 8(77) 74 18 68 იკითხეთ ლია

იყიდება კომპიუტერი PENTIUM II. სრული კომპლექტით, კარგ მდგომარეობაში. ფასი 270$. ტელ: 34-63-57

დაიკარგა არაქელოვი იურის მართვის მოწმობა და მანქანის საბუთები. 96-21-92

ვიყიდი მხატვრის სახელოსნოს.

ტელ: 70-69-65

899 970234

სასწრაფოდ გიწვევთ პრესტიჟულ სამსახურში მიზანდასახულ ადამიანებს. სასურველია რუსული ენის ცოდნა. 37 91 16 ჯულეტა

გაზქურების და კალონკების, ელგაყვანილობის, სანტექნიკის, ავზების (გამორეცხვა), შეკიდული ჭერის შეკეთება და მონტაჟი. 79 27 29 ვახტანგი

იყიდება კომპიუტერი PENTIUM 1. ფასი 120 $. 30 83 45 ზურა

ვისესხებ-გავასესხებ. 96 21 10

ვასრულებ კლასიკურ - ქართულ სტილში ნებისმიერი ინტერიერის დეკორატიულ-ფერწერულ მოხატვას. 79 60 84

შევიძენ მარმარილოს, გრანიტს და კროშკას. 64 81 73

გვესაჭიროება ექოსკოპისტი სამკურნალო ცენტრში. 79 06 01

შევიძენ უჟანგავი მასალისაგან დამზადებულ თაფლის გამოსაწურ ციბრუტს (ცენტრიფუგას). 23 05 06

იყიდება საძინებელი და სასტუმრო ოთახის გარნიტურები "D-10" I გამოშვება. ფასი შესაბამისად 2 900 და 5 500. 22 46 96

ვისესხებ თანხას კორპუსის ბინის მყარი გარანტიით. პასუხისმგებლობას ვიღებ საბუთების მართებულობაზე. 99 95 75, 8(99) 95 74 55

- პარკეტი გემბანური;
- პარკეტის გერმანული აქსესუარები.

ტელ: 333560

8(77) 739129

გავასესხებ თანხას ბინის მყარი გარანტიით. დაგეხმარებით საბუთების შეგროვებაში ჩვენი თანხით. 92 09 63, 8(99) 95 74 55

იყიდება ჭაღი საუკეთესო ხარისხის ჩეხური ბროლის, 5-სართულიანი "ყურძნის მტევნები". ფასი 450 ლარი. ტელ: 30-26-25

სამრეცხაო "VIP"-ი ინდივიდუალურად გაგირეცხავთ ყველა სახის სარეცხს. სურვილისამებრ, მოგემსახურებით ბინაზე. თამარაშვილის 13 ა. 29 25 90

მოსკოვში კვალიფიციური სპეციალისტი გთავაზობთ ყველანაირ სამღებრო-სარემონტო სამუშაოებს: შპალერის გაკვრა, შეთეთრება, ღებვა ფერებში, ბიაზი (მთლიანად ევრორემონტი),. აგრთვე შემიძლია მაღალ დონეზე კაფელისა და მეტლახის დაგება ხელმისაწვდომ ფაებში. 63-08-69, იკითხეთ ნუგზარი.

ყველაზე იაფად საქართველოში! ოთახების გადაკეთება, ლესვა, ელექტრობა, რემონტი. 8(77) 72 39 41 გივი

15 ნოემბერს 12 სთ-ზე გაიმართება ს.ს "ბაზალტის" აქციონერთა საერთო კრება.

1. საორგანიზაციო საკითხები;
2. წესდებაში ცვლილებების შეტანა;

მის: მარნეულის რ-ნი სოფ. ყიზილაჯლო.

განცხადება

ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმის ბაზაზე იხსნება
სამხატვრო სკოლა-სტუდია:

☐ **სკოლის მოსწავლეთათვის:**

ფერწერა, ხატვა, ქანდაკება, კომპოზიცია, გობელენი, მოდელირება, კომპიუტერული გრაფიკა, მულტიპლიკაცია, დიზაინი, არქიტექტურა, ხატწერა, რესტავრაცია, რელიგიისა და ხელოვნების ისტორია.

☐ **აბიტურიენტებისათვის:**

მოსამზადებელი ჯგუფი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში და იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში შესასვლელად (მიზნობრივი სწავლება).

სკოლა სტუდიის მოსწავლეები სისტემატიურად მიიღებენ მონაწილეობას საერთაშრისო და
რესპუბლიკურ გამოფენებში. სასწავლო წლის ბოლოს მოეწყობა
საზაფხულო შემოქმედებითი ბანაკი.
მოსწავლეები იმუშავებენ სამხატვრო სახელოსნოში და კომპიუტერულ კლასში.
სკოლა უზრუნველყოფილია გათბობით, მუდმივი დენით, მუშაობს ბუფეტი.
მეცადინეობა ჩატარდება კვირაში სამჯერ 15.00 საათზე.
მოსწავლეთა მიღება იწარმოებს მიმდინარე წლის 20 ოქტომბრიდან.
სწავლა დაიწყება 3 ნოემბერს.

მისამართი: ნუცუბიძის 223. (საქართველოს ბანკის შენობასთან).
ტელეფონი: 32 97 83 (9.00-15.00) სკოლა ლიცეუმი.

15 ოქტომბრიდან ტელეფონით
მიღებული განცხადების
(12 სიტყვა) ფასი განისაზღვრება
1 ლარით

98-86-43, 53-76-43

გაზეთი 24 საათი
2210.02 N-142

აფიშა

საკონცერტო დარბაზები

კონსერვატორიის მცირე დარბაზი
გერმანელი გიტარისტის კლაუს ბოესერ-ფერარის კონცერტი (ორგანიზატორი გოეთეს ინსტიტუტი)
დას: 19:00 სთ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (I კორპუსი)
საქველმოქმედო კონცერტი თანამედროვე ქართული ესტრადის ვარსკვლავების მონაწილეობით
დას: 15:00 სთ, ფასი 2,3 ლარი

თეატრები

რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია
ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა".
დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.

რუსთაველის თეატრი
"შობის მეთორმეტე ღამე, ანუ როგორც გენებოთ", რეჟ. რობერტ სტურუა
დას: 18:00 სთ, ფასი 1-5 ლარი

ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო„
"ღამე და თუთიყუში", რეჟ. დიმა ღვთისიაშვილი
დას: 19:00 სთ; ფასი 3 ლარი

თეატრალური სარდაფი
"ეტცეტერა", რეჟ. ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

საგამოფენო დარბაზები

TMS
ია გიგოშვილის პერსონალური გამოფენა

„ქარვასლა„
შვეიცარიელი ფოტოგრაფის ანდრიას ჰაგენბახის ფოტოგამოფენა
გახსნა 17:00 სთ

ძველი გალერეა
ნინო ფურცხვანიძის ფოტოგამოფენა, "ქართული პორტრეტი და ჰოლანდიური პეიზაჟი"

ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი
გელა სამსონიძის გრაფიკული ნამუშევრების გამოფენა

კინოთეატრები

„ამირანი„
"შიშის ფასი", მთავარ როლებში; ბენ აფლეკი, მორგან ფლიმაკი
დას: 14:00; 20:00 სთ, ფასი 5-7 ლარი
"ცეცხლის ძალა", რეჟ. რობ ბაუმენი
დას: 17:00 სთ, ფასი 5 ლარი
"ესაუბრე მას", რეჟ. პედრო ალმადოვარი
დას: 22:00 სთ, ფასი: 6,7 ლარი

„რუსთაველი„
"სამი იქსი", რეჟ. რობ კოენიz
დას: 15:00; 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ლამაზმანი", რეჟ. კამერონ დიასი
დას: 17:00; 21:30 სთ; ფასი 5,7 ლარი

სკანდინავიური კროსვორდი



ფეხბურთი

ევროფეხბურთი - დაუმარცხებელი არც "რეალია"

ესპანეთი – VI ტური

გასულ კვირას გრანდები დამარცხდნენ

19 ოქტომბერი	
ვილარეალი – დეპორტივო	**3:1**
სანტანდერი – რეალი	**2:0**
ატლეტიკო – ვალენსია	**1:1**
20 ოქტომბერი	
ბეტისი – მაიორკა	**0:1**
ბილბაო – მალაგა	**1:1**
სელტა – რაიო ვალეკანო	**0:1**
ალავესი – სოსიედადი	**2:2**
ესპანიოლი – რეკრეატივო	**2:0**
ოსასუნა – სევილია	**2:1**
ვალიადოლიდი – ბარსელონა	**2:1**

ზინედინ ზიდანი

REUTERS

შაბათს, 19 ოქტომბერს, მადრიდის “რეალი” წლევანდელ სეზონში პირველად დამარცხდა. “ეს იყო ჩვენი ყველაზე ცუდი მატჩი იმ ხნის მანძილზე, რაც მე აქ ვარ”, - განაცხადა მადრიდელთა მწვრთნელმა ვისენტე დელ ბოსკემ სანტანდერის “რასინგთან” დამარცხების შემდეგ. შეგახსენებთ, რომ დელ ბოსკე “რეალს” 1999 წელს ჩაუდგა სათავეში.

“სამეფო კლუბი” დაშავებული ფიგუსა და რაულის გარეშე ჩავიდა სანტანდერში. “რეალმა” მატჩის ვერც ერთ მონაკვეთში ვერ შეძლო, თამაშის სადავეები ხელში ჩაეგდო. ვერც რონალდომ, რომელიც “რეალში” გადასვლის შემდეგ პირველად გამოჩნდა სასტარტო შემადგენლობაში, ვერ იპოვა საკუთარი თამაში. სამაგიეროდ, საკუთარი თავის სრული რეაბილიტაცია მოახდინა “რეალის” მიერ გარიყულმა და “რასინგში” განათხოვრებულმა პედრო მუნიტისმა, რომლის ანგარიშზეცაა მადრიდელთა კარში გატანილი მეორე გოლი.

იმავე დღეს დამარცხდა კიდევ ერთი ესპანური გრანდი – ლა კორუნიის “დეპორტივო”. ესპანეთის თასის მფლობელმა, ასევე სტუმრად, 1:3 წააგო “ვილარეალთან”.

ბილბაოს “ატლეტიკს”, მიმდინარე წლის მარტიდან მოყოლებული, საკუთარ მოედანზე არ გაუმარჯვია. “მალაგასთან” შინ მიღწეულმა ფრემ (1:1) წარუმატებელი სერია ვერ შეწყვიტა – ბილბაოელი გულშემატკივარი კვლავ გამარჯვების მოლოდინშია. არადა, სანტი ესკეროს მე-6 წუთზე გატანილი გოლის წყალობით, “ატლეტიკი” მატჩის 85-ე წუთამდე იგებდა, თუმცა, მალაგელმა როტეტამ წონასწორობა მაინც აღადგინა.

“ვალენსიას” მწვრთნელი, რაფაელ ბენიტესი, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინათ კლუბთან კონტრაქტი 2005 წლამდე გააგრძელა, საკუთარი გუნდის თამაშით უკმაყოფილო იყო, რადგან “დასანანია, როდესაც მთელი მატჩის განმავლობაში წინ ხარ და ბოლოს ასეთ სულელურ ბურთს გაუშვებ”. “ვალენსიას”, მართლაც, ჰქონდა მადრიდის “ატლეტიკოსთან” გამარჯვების შანსი, თუმცა, ძნელია, ბენიტესს დაეთანხმო იმაში, რომ მისი გუნდი მთელი მატჩის მანძილზე ფლობდა უპირატესობას. შეხვედრის პირველი ტაიმი აშკარად “ატლეტიკოს” კარნახით მიმდინარეობდა. მეკარე ბურგოსის შეცდომამ და “ვალენსიელი” ბარახას გოლმა სტუმრები სრულიად დაუმსახურებლად გაიყვანა წინ. 74-ე წუთზე, თავის მხრივ, უხეში შეცდომა დაუშვა სანტიაგო კანისარესმაც და ატლეტიკოელმა ხავი მორენომ ანგარიში გაათანაბრა. მატჩი ფრედ – 1:1 დასრულდა.

კვირას, 20 ოქტომბერს, დამარცხდა კიდევ ერთი ესპანური გრანდი - “ბარსელონა”. კატალონიელები “ვალიადოლიდს” ესტუმრნენ და წააგეს – 1:2. ლუი ვან გაალის ექსპერიმენტებმა შედეგი ვერ გამოიღო. ესპანეთის ჩემპიონატის ცხრილში “ბარსელონა” მე-11 ადგილზეა.

იტალია - V ტური

˝მილანი˝ ცხრილის სათავეშია

19 ოქტომბერი	
ემპოლი – რომა	**1:3**
ინტერი – იუვენტუსი	**1:1**
20 ოქტომბერი	
ატალანტა – მილანი	**1:4**
ბოლონია – ბრეშა	**3:0**
კომო – პიაჩენცა	**1:1**
ლაციო – პერუჯა	**3:0**
ტორინო – კიევო	**1:0**
უდინეზე – რეჯინა	**1:0**
მოდენა – პარმა	**2:1**

იტალიის ჩემპიონატის ცხრილის პირველ საფეხურს ორი მილანური კლუბი ეცილება ერთმანეთს – “ინტერი” და “მილანი”. უკანასკნელი ტური კახი კალაძის კლუბის წარმატებით აღინიშნა – ცხრილის სათავეში სწორედ “მილანი” მოექცა. მილანელები ჩემპიონატის აუტსაიდერ “ატალანტას” ესტუმრნენ და გაიმარჯვეს – 4:1. “ბიჭებმა ფანტასტიკურად ითამაშეს და ბევრი გოლი გაიტანეს. იმედი მაქვს, ასეც გავაგრძელებთ”, - განაცხადა თავდამსხმელმა ფილიპო ინძაგიმ, რომელიც მწვრთნელმა ანჩელოტიმ ბერგამოში დაასვენა, რადგან მას ჯერ კიდევ არ მოშუშებია ცოტა ხნის წინ მიღებული ტრავმა. ინძაგის არყოფნა “მილანს” ნამდვილად არ დასტყობია - ბრაზილიელმა რივალდომ ერთდროულად შეითავსა დისპეტჩერისა და გოლეადორის ფუნქციები და პირველი გოლიც თავად გაიტანა, რასაც მოჰყვა საგოლე პასი და იონ დალ ტომასონის გოლი. მილანელთა მესამე (თერთმეტმეტრიანი) და მეოთხე გოლები ანდრეა პირლოს ანგარიშზეა. “ალბათ, ჩვენ დავბრძენდით. “მილანი” თავის მეორე სეზონს ატარებს ახლანდელი შემადგენლობით. ჩვენ, უბრალოდ, დრო გვჭირდებოდა, რათა შევთამაშებულიყავით, ერთმანეთი კარგად გაგვეცნო. ამას ერთ კვირაში ვერ გააკეთებ. ჩვენ ამას ერთი წელიწადი მოვანდომეთ და, შეხედეთ, რა გამოვიდა!” - არ მალავს თავის კმაყოფილებას “მილანის” ქართველი ლეგიონერი კახი კალაძე.

მილანელთა ცხრილში აღზევებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ “ინტერი” “იუვენტუსს” დაუზავდა და მატჩი ფრედ – 1:1 დაასრულა. “მილანსაც” და “ინტერსაც” ერთნაირი რაოდენობის ქულები აქვთ, თუმცა, გატანილი ბურთებით “მილანი” წინ არის (9 ბურთით მეტი), რის გამოც ცხრილის სათავეში სწორედ ეს უკანასკნელია.

დამაჯერებლად გაიმარჯვეს რომაულმა კლუბებმაც. ფაბიო კაპელოს „რომამ“ სტუმრად მოუგო „ემპოლის“ (3:1), ხოლო „ლაციომ“ შინ, ანგარიშით 3:0 დაამარცხა „პერუჯა“. აღსანიშნავია, რომ ამ მატჩში თავისი დაბრუნება იზეიმა ენრიკო კიეზამ. მას ტრავმის გამო ერთი წელი გაუცდა. „პერუჯასთან“ კიეზამ თანაგუნდელი შეცვალა და დაბრუნება ორი გოლით აღნიშნა (76-ე და 90-ე წუთებზე). ანგარიში კი მატჩის მე-11 წუთზე სიმონე ინძაგიმ გახსნა.

ამ გამარჯვებით „ლაციო“ ცხრილის მეოთხე ადგილზე დამკვიდრდა. მესამე ადგილს კი „ბოლონია“ იკავებს. კვირას ჯუზეპე სინიორის გუნდმა „ბრეშას“ უმასპინძლა და დაამარცხა - 3:0. მატჩის საუკეთესო მოთამაშედ შეიძლება დავასახელოთ არგენტინელი ხულიო კრუზი, რომლის ანგარიშზეცაა ორი გოლი (76-ე და 90-ე წუთებზე) და საგოლე პასი.

ინგლისი – X ტური

˝არსენალის˝ წაუგებელი სერია დასრულდა

19 ოქტომბერი	
ლიდსი – ლივერპული	**0:1**
ბლექბერნი – ნიუკასლი	**5:2**
ევერტონი – არსენალი	**2:1**
ფულჰემი – მანჩესტერი	**1:1**
მან. სიტი – ჩელსი	**0:3**
სანდერლენდი – ვესტ ჰემი	**0:1**
ვესტ ბრონვიჩი – ბირმინგემი	**1:1**
20 ოქტომბერი	
ჩარლტონი – მიდლსბრო	**1:0**
ტოტენჰემი – ბოლტონი	**3:1**
21 ოქტომბერი	
ასტონ ვილა – საუთჰემპტონი	**0:1**

16 წლის ევერტონელმა უეინ რუნიმ ლონდონის „არსენალის“ 30-მატჩიანი წაუგებელი სერია დაასრულა: „ევერტონი“-„არსენალის“ მატჩის უკანასკნელ წუთზე თინეიჯერმა „მეთოფეებს“ გოლი გაუტანა და თავის გუნდს გაამარჯვებინა (2:1). ამ მარცხით „არსენალმა“ ცხრილის სათავეში ადგილი დაკარგა და წლევანდელ სეზონში ასევე დაუმარცხებელ „ლივერპულს“ დაუთმო პირველობა. ეს უკანასკნელი შაბათს „ლიდსს“ ესტუმრა და მინიმალური ანგარიშით – 1:0 გაიმარჯვა. უეფას თასის 2001 წლის გამარჯვებულმა ინგლისის ახლანდელ ჩემპიონ „არსენალს“ ერთი ქულით გაუსწრო. „მეთოფეთა“ ფრანგი მწვრთნელი, დამარცხების მიუხედავად, კმაყოფილი იყო. „მინდა, ჩემს გუნდს უკანასკნელი თვეების წარმატებები მივულოცო. დღეს ბიჭებმა 90 წუთის მანძილზე იბრძოლეს, მაგრამ თამაში არ წაგვივიდა“, - განაცხადა ვენგერმა.

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ ვერ შეძლო სტუმრად „ფულჰემის“ დამარცხება და ფრეს დასჯერდა – 1:1. ფერგიუსონის გუნდს ბედმა გაუღიმა, რომ მასპინძლებმა „მანჩესტერის“ კარში დანიშნული თერთმეტმეტრიანი ვერ გამოიყენეს, ხოლო თანაგუნდელის შესაცვლელად შემოსულმა „მარადიულმა ჯოკერმა“ ოლე გუნარ სოლსკიაერმა 62-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრა. „მანჩესტერი“ „ლივერპულს“ 6 ქულით ჩამორჩება და ცხრილში მე-4 ადგილს იკავებს.

თავისებური იუბილე ჰქონდა ალან შირერს: „ნიუკასლის“ თავდამსხმელმა, „ბლექბერნთან“ გასვლით მატჩში, „პრემიერ ლიგაში“ თავისი მე-300 და 301-ე გოლები გაიტანა. თუმცა, ვეტერანის დუბლმა „ნიუკასლს“ მაინც ვერ უშველა, ბლექბერნმა სტუმრებს 5 საპასუხო გოლი გაუტანა – 5:2.

ლონდონის „ჩელსიმ“ „მანჩესტერ სიტის“ დამარცხებით (3:0) პრემიერლიგის ცხრილში მე-6 ადგილი დაიმკვიდრა. მატჩში დუბლი შეასრულა იტალიელმა ჯანფრანკო ძოლამ. მესამე გოლი კი ჰოლანდიელმა ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკმა გაიტანა.

გერმანია – IX ტური

ზე რობერტოს თავისი პირველი გოლი გააქვს

19 ოქტომბერი	
ლევერკუზენი – კაიზერსლ.	**1:0**
დორტმუნდი – არმინია	**0:0**
კოტბუსი – ჰერტა	**0:2**
ჰამბურგი – მიონხენგლად.	**1:0**
ჰანოვერი – ვერდერი	**4:4**
ჰანზა – ბაიერნი	**0:1**
მიუნხენ 1860 – შალკე	**3:0**
20 ოქტომბერი	
ბოხუმი – ვოლფსბურგი	**4:2**
ნიურნბერგი – შტუტგარტი	**1:2**

ჩემპიონთა ლიგაში მიუნხენის “ბაიერნი” გამოვარდნის საშიშროების წინაშე დგას, თუმცა, “ბუნდესლიგაში” ყველაფერი კარგად მიდის. როსტოკში, ადგილობრივ “ჰანზასთან”, მიუნხენელთა გამარჯვება (1:0) ნაკლებად სანახაობრივი, თუმცა, ძალიან საჭირო იყო: “ბაიერნი” გერმანიის ჩემპიონატს უკვე ერთპიროვნულად ლიდერობს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც უშუალო კონკურენტებმა, დორტმუნდის “ბორუსიამ (0:0 “არმინიას” წინააღმდეგ) და ბრემენის “ვერდერმა” (4:4 “ჰანოვერის” წინააღმდეგ) თავიანთი მატჩები ფრედ დაასრულეს.

თავად მიუნხენელები მიიჩნევენ, რომ როსტოკის “ოსტზეეშტადიონზე” მიღწეული გამარჯვება დიდი ფსიქოლოგიური ფორაა ჩემპიონთა ლიგის გადამწყვეტი მატჩის წინ, როდესაც ოთხშაბათს, “ჯუზეპე მეაცას სტადიონზე”, “ბაიერნი” ადგილობრივ “მილანს” ესტუმრება. “როსტოკში რომ ქულები დაგვეკარგა, იმედი გაგვიცრუვდებოდა. ასე კი “მილანთან” მატჩზე კონცენტრირება გაგვიადვილდება”, - განაცხადა ოტმარ ჰიტცფელდმა. აღსანიშნავია, რომ მატჩის ერთადერთი გოლი “ბაიერნის” ბრაზილიელმა ლეგიონერმა ზე რობერტომ გაიტანა. იგი, არცთუ სასურველი სპორტული ფორმის გამო, ბოლო დროს მუდმივი კრიტიკის ობიექტია. გატანილი გოლი კი ზე რობერტოზე ბალზამივით იმოქმედებს. ოპტიმისტურად არის განწყობილი კაპიტანი ოლივერ კანიც: “მილანში მოსაგებად ჩავალთ!”

“ბაიერნის” რიგებში ოპტიმიზმი სუფევს, დორტმუნდში კი – თვითკრიტიკა. “14-დღიანი პაუზის განმავლობაში ვერ შევძელი, გუნდი სწორ გზაზე დამეყენებინა. მე თვითკრიტიკული ვარ და, იმედი მაქვს, არა ერთადერთი ამ გუნდში”, - ამბობს “ბორუსიას” მწვრთნელი მათიას ზამერი. ბილეფელდის “არმინიასთან” ულიმღამოდ ჩატარებულ მატჩში განტევების ვაცად იქცა თავდამსხმელი მარსიო ამორუზო, თუმცა, ბრაზილიელის თამაში მთელი გუნდის მიერ ნაჩვენებ შედეგს ასახავს.

უკმაყოფილოა ბრემენის “ვერდერის” ხელმძღვანელობაც. ჰანოვერში სტუმრად მოპოვებული ფრე ბრემენელებს აშკარად არ აკმაყოფილებთ. “როდესაც 4:2 იგებ, ერთი ქულა ნამდვილად ცოტაა. მიუხედავად იმისა, რომ ცხრილის ზედა ნაწილში ვართ, ეს არ ნიშნავს, რომ სუპერ-გუნდზეა საუბარი”, - ამბობს კლუბის სპორტული დირექტორი კლაუს ალოფსი.

“კაიზერსლაუტერნში”, ბელგიელი ერიკ გერეტსის სახით, ახალი მწვრთნელის მოსვლის მიუხედავად, კრიზისი გრძელდება. “წითელი ეშმაკუნები” შაბათს ლევერკუზენში კიდევ ერთხელ დამარცხდნენ (0:1). ადგილობრივი “ბაიერი” მატჩის 57 წუთის განმავლობაში უმცირესობაში თამაშობდა, თუმცა, შეხვედრის მე-19 წუთზე ტომას ბრდარიჩის მიერ გატანილი ერთბურთიანი უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა. “კაიზერსლაუტერნი” 9 თამაშიდან 6 ქულით მე-17 ადგილზეა.

ჩემპიონთა ლიგა - იტალიური პასუხი ფრანგებს

დღეს განახლდება უეფას ჩემპიონთა ლიგის 2002-03 წლის სეზონის შეხვედრები. რამდენიმე ჯგუფში სიტუაცია უკიდურესად დაძაბულია. სერია A-ს ერთ-ერთი გრანდი, მილანის “ინტერი”, იტალიური შურისძიებითა და საფრანგეთის “ლიონის” განადგურებით იმუქრება. ფრანგებმა, წინა ტურში გამარჯვებით, სერიოზულად გააბრაზეს იტალიელები და კიდევ ერთი დარტყმა მიაყენეს ამ ქვეყნის ფეხბურთის საერთაშორისო პრესტიჟს.

დიმიტრი ობოლაძე

A ჯგუფი
“ბორუსია” - “ეინდჰოვენი”
“არსენალი” - “ოსერი”

ფრანგული ფეხბურთის პრესტიჟის დაცვა დღეს “ოსერს” მოუწევს. თუმცა, ამოცანა ურთულესია. ფრანგი ვენგერის გუნდი სტაბილურად ასპარეზობს და საკუთარ მოედანზე ქულის დაკარგვას არ აპირებს. ლონდონელებს სამ მატჩში გოლი არ გაუშვიათ, ფრანგებს კი, ამდენივე შეხვედრაში, მხოლოდ ერთი გოლი აქვთ გატანილი. მოკლედ, აქ ყველაფერი, მეტ-ნაკლებად, ნათელია. დიდი საფიქრალი არც დორტმუნდელებს ექნებათ. სიტუაცია აქაც საკმაოდ მარტივია. ზამერის გუნდმა საკუთარ მოედანზე უნდა მოუგოს მსოფლიო ჩემპიონატის გმირის, ჰოლანდიელი მწვრთნელის გუს ჰიდინკის გუნდს. “არსენალს” 9 ქულა აქვს, ”ბორუსიას” - 6, “ოსერსა” და ჰოლანდიელებს - თითო.

B ჯგუფი
“სპარტაკი” - “ლივერპული”
“ბაზელი” - “ვალენსია”

მოსკოვის “სპარტაკის” სიტუაცია ნათელია. რომანცევის გუნდი ბოლო ადგილზეა და, თამაშის ხარისხის გათვალისწინებით, მეტს ვეღარც შეძლებს. ამ წყვილში, მიუხედავად იმისა, რომ მატჩი რუსეთის დედაქალაქში გაიმართება, ფავორიტი “ლივერპულია”, რომელიც, ქულის დაკარგვის შემთხვევაშიც კი, შეიძლება ლიგის მიღმა აღმოჩნდეს. გაცილებით საინტერესოა მეორე შეხვედრა. შვეიცარიის “ბაზელი”, უდავოდ, მიმდინარე სეზონის აღმოჩენაა. დღეს შვეიცარიელებს უმნიშვნელოვანესი მატჩი ელით. “ვალენსიასთან” გამარჯვების შემთხვევაში, შეიძლება ყველაზე დიდი სენსაცია მოხდეს. გუნდის ლიდერები, თურქული წარმოშობის ძმები იაკინები, ოპტიმისტები და რეალისტები არიან. მურატ იაკინი: “ჩვენთვის მაქსიმუმი და კარგი შედეგი მესამე ადგილზე გასვლა და უეფას თასზე ასპარეზობა იქნება. თუმცა, შანსი მოგვეცა. “ვალენსიას” ფავორიტად მიიჩნევენ და, იმედია, ესპანელებიც ასევე ფიქრობენ. ამას ჩვენს სასარგებლოდ გამოვიყენებთ”. შვეიცარიელთა ყველა ფეხბურთელი მწყობრშია. ასე რომ, ევროპა სენსაციას ელის.

C ჯგუფი
"რეალი" - "აეკი"
"რომა" - "გენკი"

აქ მხოლოდ ერთი რამ არის ცნობილი: მადრიდის “რეალი” მომდევნო ეტაპზე ითამაშებს. სამაგიეროდ, სერიოზული პრობლემები აქვს იტალიის “რომას”, რომელიც 3 თამაშიდან 4 ქულით მეორე ადგილზეა. მაგრამ, შესაძლოა, ყველაფერი დღესვე მარტივად გადაწყდეს: იტალიელებმა საკუთარ მოედანზე უნდა დაამარცხონ “გენკი” (რაც სავსებით რეალურია) და “რეალმა” უნდა მოუგოს საბერძნეთის "აეკს". ამ შემთხვევაში ჯგუფური ტურნირის მომდევნო მატჩებს მხოლოდ ერთი დატვირთვა ექნება – გაირკვას, ვინ გავა მესამე ადგილზე, ანუ უეფას თასზე.

D ჯგუფი
"ლიონი" - "ინტერი"
"აიაქსი" - "როსენბორგი"

მთავარი ინტრიგა სწორედ ამ ჯგუფშია ჩადებული. იტალიელებს საკუთარ მოედანზე წაგებას ძნელად პატიობენ. მით უმეტეს, თუ ისინი ჩემპიონთა ლიგაში, თანაც, ფრანგებთან მარცხდებიან. ახალგაზრდა და სწრაფი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ “ლიონს” კი ნაკლებად აღელვებს იტალიური ფეხბურთისა და, კერძოდ, “ინტერის” პრესტიჟი და ძველი მიღწევები. “ჩვენ უნდა მოვიგოთ, - განაცხადა ფრანგების მწვრთნელმა ლე გუენმა, - წავიდა ის დრო, როდესაც საფრანგეთში ფავორიტად სხვა გუნდს თვლიდნენ. ფეხბურთელებმა საკუთარი ძალა ირწმუნეს და, იმედია, პრობლემები არც მოედანზე გვექნება”. რაც შეეხება “ინტერნაციონალეს”, აქ უფრო საგულისხმოა “ტიფოზების” აზრი. “კიდევ ერთ წაგებას არ გაპატიებთ”, “მოიგეთ ან შინ არ დაბრუნდეთ” და ასე შემდეგ. არადა, წაგების შემთხვევაში, კუპერის გუნდს სერიოზული პრობლემა შეექმნება. თავის შანსს ელის ამსტერდამის “აიაქსიც”, რომელიც საკუთარ მოედანზე “როსენბორგს” მასპინძლობს. იმისთვის, ვინც ჰოლანდიელთა წინა მატჩები ნახა, ცხადია, რომ “აიაქსს” თავისუფლად შეუძლია ნორვეგიელთა დამარცხება.

დღეს, 23 საათსა და 45 წუთზე, თქვენ გელით პირდაპირი რეპორტაჟი საფრანგეთიდან. “რუსთავი-2” გთავაზობთ “ლიონისა” და “ინტერის” მატჩს. იტალიელებმა საკუთარი პრესტიჟის აღდგენაზე უნდა იზრუნონ.

კაპელო და ტოტი "გენკის" განადგურებას შეეცდებიან

REUTERS

მოკლედ

ფეხბურთი. ოლივერ კანმა განაცხადა, რომ დიდ ფეხბურთში 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატამდე დარჩება. ჩემპიონატი გერმანიაში გაიმართება და კანიც იმედოვნებს, რომ ბუნდესნაკრებს გამარჯვებაში დაეხმარება. როგორც ჩანს, მსოფლიოს საუკეთესო მეკარემ საკუთარ თავში ძალები გამონახა და აპირებს, ძველებური შემართებით ითამაშოს. შეგახსენებთ, რომ ამას წინათ ოლივერ კანი სპორტული კარიერის დასრულებაზე ფიქრობდა. ამის შესახებ მან გერმანულ "ბილდს" განუცხადა.

■ ■ ■

ფეხბურთი. "ინტერის" პრეზიდენტი მასიმო მორატი მიიჩნევს, რომ "ინტერისა" და "იუვენტუსის" ამასწინანდელ შეხვედრაში მატჩის არბიტრმა პიერლუიჯი კოლინამ თავისი მოვალეობა ხუთიანზე შეასრულა. "კოლინამ შესანიშნავად იმსაჯა. 95-ე წუთზე, როცა ანგარიში გავათანაბრეთ, ბუფონის ("იუვენტუსის" მეკარე) წინააღმდეგ არავითარი ჯარიმა არ ყოფილა. პენალტი კი, რომელიც ჩვენს კარში დაინიშნა, ჰგავდა "ვენეციასთან" შეხვედრაში დანიშნულ პენალტს (თერთმეტმეტრიანი მაშინაც "ინტერის" კარში დაინიშნა). მაშინ ფორვარდმა აღიარა, რომ პენალტი არ იყო. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი მცველი და ფორვარდი სულ ოდნავ შეეხნენ ერთმანეთს. თავდამსხმელს თავისუფლად შეეძლო, წონასწორობა შეენარჩუნებინა", - განაცხადა მორატიმ.

■ ■ ■

ფეხბურთი. გერმანული "კაიზერსლაუტერნის" ნახევარმცველი მარიო ბასლერი მსაჯის კრიტიკისთვის დაისჯება. ბუნდესლიგის მორიგ ტურში "კაიზერმა" ლევერკუზენის "ბაიერთან" წააგო (0:1). გოლი ტომას ბრდარიჩმა გაიტანა. ბასლერს მოეჩვენა, რომ გოლი თამაშგარე მდგომარეობიდან გავიდა და არბიტრს, უვე კემლინგს, პრეტენზია წაუყენა. პროტესტისთვის სუპერმარიომ გაფრთხილება მიიღო. თამაშის შემდეგ კი განაცხადა, რომ მსაჯი გარტყმასაც იმსახურებდა. გერმანიის საფეხბურთო კავშირმა ინციდენტის გამოძიება უკვე დაიწყო და, ალბათ, ფეხბურთელს დასჯის. საინტერესოა, რომ ბასლერისთვის ეს პირველი შემთხვევა არ არის. მან მსაჯი თებერვალშიც შეურაცხყო. რაც შეეხება ბოლო ეპიზოდს, გამეორებაზე ნათლად გამოჩნდა, რომ ბრდარიჩმა წესების სრული დაცვით გაიტანა გოლი.

■ ■ ■

კრივი. პროფესიული კრივის ლეგენდამ, მუჰამედ ალიმ, "უდიდესი მოკრივის" თვითგამოცხადებული ტიტული ინგლისელ ლენოქს ლუისს გადასცა. ეს ამბავი კვირას ტორონტოში მოხდა. ქალაქის საფეხბურთო მოედანზე, ეგზალტირებული გულშემატკივრის წინ გამოსულმა ალიმ თქვა: "აქ იმიტომ მოვედი, რომ "უდიდესი" ვიყავი. მე "უდიდესი" აღარ გახლავართ. ის არის "უდიდესი მოკრივე". ის ჩემპიონია!" - შესძახა მუჰამედ ალიმ და ხელი ლენოქს ლუისისკენ აღმართა.

■ ■ ■

კრივი. კიდევ ერთი ღირსსახსოვარი მოვლენა კრივის სამყაროში: კვირას, ასევე ლეგენდარული მოკრივე ჯორჯ ფორმენი, დიდების დარბაზში შეიყვანეს. საზეიმო ცერემონიალი, 2000 სტუმრის თანდასწრებით, ლოს-ანჟელოსში გაიმართა. მისასალმებელ სიტყვაში "დიდმა ჯორჯმა" (როგორც მას უწოდებენ), თავისი ძველი მეტოქეების ჯო ფრეზერისა და კენ ნორტონის დამსახურებაზე ისაუბრა. 54 წლის ჯორჯ ფორმენი 10 შვილის მამაა.

■ ■ ■

ჩოგბურთი. ჩეხი ირჟი ნოვაკი არ ითამაშებს სანკტ-პეტერბურგის ტურნირზე. მან მადრიდში გამართულ "მასტერსის" ტურნირის ნახევარფინალში ტრავმა მიიღო. ის მატჩი ფრანგ ფაბრის სანტოროს მაინც მოუგო, მაგრამ ფინალში, ამერიკელი ანდრე აგასის წინააღმდეგ, აღარ გამოვიდა. ნოვაკს პეტერბურგის ტურნირზე რუმინელი ანდრეი პაველი შეცვლის.

■ ■ ■

კალათბურთი. "კლივლენდ კავალიერზმა" ტრანსფერზე დააყენა მცველი ვანტიგო კამინგსი. საინტერესოა, რომ კამინგსის შეძენიდან ერთი თვეც არ გასულა. კალათბურთელმა "კლივლენდის" მხოლოდ სამ სეზონისწინა მატჩში ითამაშა. იმის გათვალისწინებით, რომ გუნდში ამჟამად ხუთი ნომინალური მცველია, გაუგებარია, საერთოდ, რისთვის შეიძინა კლუბმა კამინგსი. მით უმეტეს, რომ "ფილადელფიაში" გატარებული შარშანდელი სეზონი ყველაზე უარესი იყო კამინგსის სპორტულ კარიერაში.

■ ■ ■

ჰოკეი. NHL-ის ცნობილი კლუბი "კალგარი ფლეიმზი" ადგილობრივი მედიის ყურადღების ცენტრში მოექცა. წითელწინდებიანმა დედიშობილა მამაკაცმა ჩრდილოამერიკული გაზეთების უმრავლესობა მოიარა. საქმე ის არის, რომ შეუპოვარი ფანი კალგარის "სედლდოუმის" ყინულისსაფარიან არენაზე გადაძვრა, წაიქცა და თავი გაუტყდა. იგი საავადმყოფოში მოათავსეს. ასე აღმოჩნდა შეშლილი ფანი პრესის ფურცლებზე. ამ ფაქტთან დაკავშირებით შეშფოთება გამოთქვა "ფლეიმზის" მთავარმა მწვრთნელმა გრეგ ჟილბერმა. მისი აზრით, უსაფრთხოების სამსახური ცუდად მუშაობს, რაც, რეგულარული ჩემპიონატის მსვლელობისას, გუნდისთვის შეიძლება სახიფათო აღმოჩნდეს. მწვრთნელის შეფასებას არ ეთანხმება სტადიონის უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელობა. მისი წარმომადგენლის ლიბი რეინზის აზრით, სტადიონის 160 მომსახურე პერსონალს არ შეუძლია, 16 ათასი ფანის მოქმედება გააკონტროლოს. "ძნელია, თვალყური ადევნო იმას, თუ მატჩის მსვლელობისას რა ახალ ხრიკს შემოგვთავაზებენ ფანები. თუ თითოეულ ფანს თითო მოსამსახურეს მივუჩენთ, ეს სხვა საქმეა", - განაცხადა რეინზმა.

D1 ანი გეგუჩაძე ასაკი-16, 170/78/53/84, თვალის-ღია ყავის, თმა-წაბლის

D2 თამუნა ოთხოზორია ასაკი-18, 168/88/72/93, თვალის-წაბლის, თმა-წაბლის

D3 თამუნა ქავთარაძე ასაკი-18, 176/88/58/92, თვალის-თაფლის, თმა-მუქი წაბლის

D4 სოფიკო ხოლებაშვილი ასაკი-15, 171/82/67/93, თვალის-ჭრელი, თმა-წაბლის

D5 ნათა გულიაშვილი ასაკი-20, 170/90/71/92, თვალის-მუქი ყავის, თმა-შავი

D6 მაკა ჩუბინიძე ასაკი-15, 169/87/63/90, თვალის-ყავის, თმა-მუქი წაბლის

TV პროგრამა 22 ოქტომბერი

რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 ჯადოქარი
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 ქალთა ქვეყანა
10.40 გურმანთა მეგზური
11.10 ხალხის პირისპირ
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი "მაცდური სიყვარული"
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.05 ქალთა ქვეყანა
18.00, 21.00, 02.50 კურიერი
18.20 ჯადოქარი
18.45 სერიალი "ტალღის ქიმზე"
19.35 პერეკროსტოკი
20.05 სერიალი "მაცდური სიყვარული"
22.00 "ვის უნდა ოცი ათასი"
22.50 კურიერი
23.40 ჩემპიონთა ლიგა. "ლიონი" - "ინტერი"
02.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა
03.00 კლასიკა

პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 "დრო და ფული"
10.00 მხ. ფილმი "ლუჟინის დაცვა"
11.45 "საკვირაო გამოფენა"
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 ტელესერიალი "რვაფეხა"
13.00 ნაშუადღევს
14.05 "ლერერის შოუ"
15.15 შემეცნებითი ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო"
15.40 სერიალი "ძილის წინ"
15.55 19 წლის ფეხბურთელთა ევროპის პირველობის შესარჩევი ტურნირის მატჩი: საქართველო - ბელგია
17.45 დოკ. სერიალი "დროშა"
18.00 ვესტნიკი
18.20 ბასტი-ბუბუ
18.40 "და არს მუსიკა"
19.05 "ვიდეოპატრული"
19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე"
21.00 სერიალი "რვაფეხა"
22.00 "დრო და ფული"
22.15 ტრადიციული მრავალხმიანი პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი
23.00 "დღის ბოლოს"
23.40 ტელესერიალი "ძილის წინ"
00.00 მხ. ფილმი "შეაწიეთ სიტყვა საბრალო ჰუსარს"

პირველი სტერეო

07.00 კლიპ-მიქსი
07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა"
08.00 "ტოროლა"
11.00 "მუსიკალური ათეული". განმეორებით
13.00 "ვიდეო-რადიო". განმეორებით
13.45 მხ. ფილმი
17.00 "კომედია" მხ.ფ. "მე, ისევ მე და კვლავ მე"
19.00 ქართული მუსიკა
19.30 "მო"
21.00 ევროპული ათეული
22.00 ჩაძიროგბანა
23.00 მოკლე სეანსი
23.00 მუსიკა
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "ღამე მაკულას ბარში".
02.10 "ღამურა" მხ.ფ. "მორიელთა მეფე".
03.10 ნონ-სტოპი

მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები"
20.30 ამბები ჩვენზე
21.00 "მღერის კაპელა"
21.30 ასპარეზი
22.10 ჰიტ-პარადი
22.20 მხ. ფილმი "ოთხეული"

ევრიკა

10.00 მხ. ფილმი "მრბოლელები"
11.45 მუსიკალური კოლაჟი
12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.20 "ვესტი"
12.25, 21.30 "სალონი"
14.00 მუსიკალური პაუზა
15.15 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
18.30 რუსული ენის გაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 მუსიკალური ტაიმ-აუტი
20.00 მსოფლიო სპორტი
23.00 სტუდია "ეკონომისტი"
00.00 მუსიკა
00.40 მხ.ფ. "ჩიხში"

იბერია

08.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
08.15 ანონსი, მულტფილმი
08.20 აღსავალი
08.30 ბურთი და მოედანი
09.05 მხ. ფილმი "მტრის ზურგში"
10.25 დოკ. სერიალი
10.45, 14.10, 17.20, 19.30, 00.45 მუსიკა
10.50 მხ.ფ. "კლუბი"
13.10, 17.30 მულტფილმი
18.00 დოკუმენტური ფილმი
20.00 მხ.ფ. "კარიერა"
22.30 ძველი კინო "დაელოდე სიბნელეს"
00.50 ღამის ფილმი

კავკასია

12.00 დოკ.ფილმი "შიშველი პისტოლეტი"
13.30 მხ. ფილმი "ფლიუკი"
15.00 მხ. ფილმი "სიჩქარე"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 "დღეს"
17.15 მხ. ფილმი "რეალობა იკბინება"
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი "შიშველი პისტოლეტი 2"
22.30 მხ. ფილმი "შემართულად"

მეცხრე არხი

09.00, 14.30, 00.00 "დღის ამბები"
09.20 მულტფილმი "ბანანის ზოოპარკი"
09.45 საბავშვო სერიალი "ჰორასი და თინა"
10.15 მხ. სერიალი "მოჯადოვება"
11.15 მხ. ფილმი "საჰაერო განგაში"
12.45 მულტფილმი "ტომი და ჯერი"
13.00 დოკ. ფილმი "უკვდავი სული"
13.50, 23.50 მუსიკა
14.00 გადაცემა "მსოფლიო რაგბი"
14.45 "ყრმა სახელად იესო" 1-ლი ნაწილი
15.40 ფილმი ბალეტი "ქორეოგრაფია მ. ბეჟარი"
16.30 დოკ. ფილმი "ველური ბუნება"
17.45 მულტფილმი "ბანანის ზოოპარკი"
18.15 საბავშვო სერიალი "ჰორასი და თინა"
18.45 "გაიხსენეთ საბჭოთა საქართველო"
19.00 მხ. სერიალი "მოჯადოვება"
20.00 "ევროპის სტადიონებზე"
21.10 "მსოფლიო კულტურის საგანძური". "სვეშტარის თრაკიული სამარხები - ბულგარეთი".
21.30 დოკ. ფილმი "ყრმა სახელად იესო"
22.15 მხ.ფ. "დედამიწა მინუს ნული"
00.20 მხ.ფ. "ბინძური ჭორები".

აჭარის ტელევიზია

07.00, 08.00, 09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 სათავგადასავლო ფილმი "ბებერი ბოში"
11.20 დოკუმენტური ფილმი
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 მელოდრამა "ანჟელიკა ანგელოზების მარკიზა"
13.45 თრილერი "ლეონი"
16.15, 19.50, 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
16.20 მულტფილმი "მაგიური მარგალიტი"
17.25 თრილერი "მაფიის ხალხი"
19.30, 22.30, 00.30 "ნოვოსტი"
20.00 ქართული მხატვრული ფილმი "ჩემი ქალაქის ვარსკლავები"
22.00, 00.00 "დღეს"
23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.05, 01.05 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
23.10 დოკუმენტური ფილმი
01.10 მელოდრამა "განუმეორებელი ანჟელიკა"
03.30 მელოდრამა "პროვინციული რომანი"
05.20 დოკუმენტური ფილმი

VII არხი

09.00 ანონსი
09.05 ამინდის პროგნოზი
09.30 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
09.35 "აჩიკუდა"
10.00 "ბედნიერი ერი"
10.05 "სახლიდან გაუსვლელად"
10.40 მოკლედ... სპორტი
10.45 "ავტოტრეკინგი"
11.30 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი"
12.05 ანიმაცია
12.25 "ბრძოლა წესების გარეშე"
12.50 მოკლედ... ტექნიკა
12.55 "სახლიდან გაუსვლელად"
13.25 "ბიორითმი"
13.45 დისნეი და მისი მეგობრები
14.05 "სახლიდან გაუსვლელად"
14.45 სპორტი
14.50 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
18.10 პრესა
18.20 "სახლიდან გაუსვლელად"
18.55 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
19.00 "აჩიკუდა"
19.40 "სახლიდან გაუსვლელად"
20.10 "ფაქტი, აზრი, კომენტარი"
20.20 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი"
20.55 მოკლედ... ასტროლოგიური პროგნოზი
21.00 "ღამის კაპრიზი"
22.05 მოკლედ... სპორტი
22.15 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
22.20 "სახლიდან გაუსვლელად"
22.45 "კინოკლუბი" - "მეკობრე მორგანი".
00.20 პრესის მიმოხილვა
00.40 "სახლიდან გაუსვლელად"
01.15 "ბიორითმი"
01.35 პრესის მიმოხილვა

ОРТ

07.00 "Доброе утро"
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости
10.15 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ"
11.05 "Что? Где? Когда?" Финал
12.20 "Фабрика звезд"
12.35 Дисней-клуб
13.15 Детектив "МЕРТВЫЙ ГРУЗ"
14.55 Сериал "СВЕТСКИЕ ХРОНИКИ"
16.15 Независимое расследование
16.55 Худ.фильм "ПО ТУ СТОРОНУ ВОЛКОВ"
18.00 "Большая стирка"
19.25 Кумиры. В.Мулерман
20.00 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ"
21.00 "ПОСЛЕДНИЙ ГЕРОЙ 2"
22.00 Время
22.40 Сериал "ПО ТУ СТОРОНУ ВОЛКОВ"
23.45 "КАРИБСКИЙ УЗЕЛ". Фильм 1
00.35 "Фабрика звезд"
01.00 Ночное "Время"
01.15 Сериал "СВЕТСКИЕ ХРОНИКИ"
02.20 Боевик "ПОСЛЕДНИЙ РАУНД"

РТР

06.45 "Доброе утро, Россия"
09.45 Сериал "ТАЙГА"
10.50 Сериал "ЛИНИЯ ЗАЩИТЫ"
11.45 ВЕСТИ. ДЕЖУРНАЯ ЧАСТЬ
12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.15 ВЕСТИ
12.20 Ток-шоу "Цена успеха"
13.15 Сериал "КОМИССАР РЕКС"
14.15 "Экспертиза".
14.30 "Колоссальное хозяйство"
14.45, 19.20, 21.35 ВЕСТИ - МОСКВА
15.25 "Что хочет женщина"
16.20 х.ф."СЕМНАДЦАТЬ МГНОВЕНИЙ ВЕСНЫ"
17.45 ВЕСТИ. ДЕЖУРНАЯ ЧАСТЬ
18.20 Сериал "ДИКИЙ АНГЕЛ. ВОЗВРАЩЕНИЕ"
19.50 Сериал "ВОРОВКА. СЧАСТЬЕ НАПРОКАТ"
20.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 Сериал "ТАЙГА"
22.55 Сериал "ЛИНИЯ ЗАЩИТЫ"
00.00 ВЕСТИ. ДЕЖУРНАЯ ЧАСТЬ
00.30 Детектив "ПОД ПОДОЗРЕНИЕМ"

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრმა"

გაზეთი "24 საათი" და მოდელების სააგენტო "იმიჯ-ცენტრი" წარმოგიდგენთ სილამაზის კონკურსს

მის ფოტო მოდელი 2002

მონაწილეობის მისაღებად იწვევენ 15-დან 30 წლამდე ასაკის გოგონებს.

[illegible]

1. მის ფოტო მოდელი 2002
2. ვიცე მის ფოტო მოდელი 2002
3. საუკეთესო საცურაო კოსტუმი

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა მობრძანდით მისამართზე
[illegible]

მის ფოტო მოდელი 2002 1 2 3 4 5 6

[illegible]

D

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

[illegible]

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

[illegible]

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

[illegible]